კრისტალი
ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია
ქუთაისი, ნიკეას 22
ტელ: (032) 2 02 20 20 | *2244
contact@crystal.ge | www.crystal.ge
ს/კ : 212896570

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“
პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ვადასტურებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობითი ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2024 წლის 10 იანვარი
თბილისი, საქართველო

კრისტალი



წლიური

ანგარიში





ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ („კრისტალი“) საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და ლიდერი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. „კრისტალი“ მართავს 389 მილიონიან სასესხო პორტფელს. მის 50 ფილიალში დასაქმებული თითქმის 1,000 თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 120 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალი“ ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ (მათ შორის, სალიზინგო) პროდუქტებსა და არაფინანსურ (კონსულტაცია და ტექნოლოგიები) მომსახურებას აწვდის. „კრისტალი“ რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება (B- Stable) მიიღო. გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza-საგან სოციალური რეიტინგი „A-“ მიიღო.

ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროექტებისთვის 2021 წელს კრისტალს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მთავარი ჯილდო გადაეცა. საერთაშორისო მიკროსაფინანსო ასოციაციამ (MFC) კომპანიის „მწვანე მიმართულება“ (ენერგოეფექტური კრედიტები და განვადებები) მსოფლიოს მასშტაბით 5 საუკეთესო ინიციატივას შორის დაასახელა. საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსში BARTA „კრისტალი“ საქართველოში მეოთხედ გახდა ჯილდოს მფლობელი. ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს „კრისტალს“ წარმატებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით და ცხადყოფს მის სამართლიან მისწრაფებას ბანკად ტრანსფორმირებისაკენ.

მეტი ინფორმაცია, ისე როგორც ანგარიშის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: https://ir.crystal.ge/

შინაარსი

სტრატეგიული ანგარიში 3

მიმოხილვა 6

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

თავმჯდომარის განცხადება 8

უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი 10

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა 12

კორპორაციული სტრატეგია 18

ბიზნესმოდელი 20

ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება 24

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა 26

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 29

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში 33

ინფორმაციული ტექნოლოგიები 35

მმართველობითი ანგარიში 38

სამეთვალყურეო საბჭო 42

თავმჯდომარე 42

საბჭოს შემადგენლობა 43

კორპორაციული მართვა 46

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 47

მმართველი გუნდი 49

კომიტეტების ანგარიშები 51

ფინანსური ანგარიში 56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 59

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 63

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 64

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 65

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 66

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 67

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 68

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 69

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 70

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 71

დანართები 127

ანექსი 1. გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა

2022 წლის მდგომარეობით 128


ანექსი 2. შემოკლებების ჩამონათვალი 129



სტრატეგიული ანგარიში



ფოტოს ავტორი: აჩი გეგენავა



მიმოხილვა

„კრისტალის“ მისიაა მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან.

„კრისტალის“ ხედვაა გახდეს ლიდერი ფინანსური ინსტიტუტი მიკრო და მცირე მეწარმეების მომსახურების სფეროში. ჩვენი მიდგომა სცდება საკრედიტო პროდუქტებზე ფოკუსირებას და მოიცავს ხელმისაწვდომობის გაზრდას ისეთ მრავალფეროვან სერვისებზე, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშები, ბარათები, ლიზინგი და არაფინანსური მომსახურება, მათ შორის, კონსულტაციის გაწევა ბიზნესისა და ფინანსების სფეროში, ტექნოლოგიური გადაწყვეტები, განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები. ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომლებიც „კრისტალს“ სურს ხელმისაწვდომი გახადოს თავისი მომხმარებლებისათვის.

„კრისტალი“ საქართველოში წამყვანი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. იგი მართავს 389 მილიონიან სასესხო პორტფელს და 50 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით 1,000 თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 120 ათას უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის“ ინსტიტუციური აქციონერები არიან Incofin IM და Developing World Markets. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, რომელთა შორისაც არიან საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები.

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

	Δ	2022	2021
წმინდა მოგება	+147.64%	7,875	3,180
მთლიანი აქტივები	+14.41%	453,256	396,179
სასესხო პორტფელი	+11.74%	388,795	347,941
მთლიანი კაპიტალი	+11.43%	67,073	60,195
ROA	+1.02%	1.85%	0.83%
ROE	+7.00%	12.38%	5.38%
უმოქმედო სესხები	+0.40%	8.70%	8.30%
რისკის ხარჯი	+0.91%	1.68%	0.77%
ხარჯი შემოსავალთან მიმართებით	-6.07%	76.84%	82.91%
ფილიალები	0.00%	50	50
მომხმარებლები	-1.10%	118,453	119,775
თანამშრომლები	+4.92%	1,045	996

თავმჯდომარის განცხადება



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

მას შემდეგ, რაც COVID-19-ის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მაღალი ინფლაცია გამოიწვია, შეცვალა რა სიღარიბის შემცირების გლობალური ტენდენცია, ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების მოწმე გახდა. საქმე აშკარად წარმოუდგენელი მასშტაბის ადამიანურ ტრაგედიასთან გვაქვს. ქართველების უმეტესობამ ომისა და მისი დამანგრეველი შედეგების შესახებ მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან როდი იცის. ამიტომ, ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

უკრაინაში ომის გამო, პოტენციური ეკონომიკური რისკები, რომლებიც წინა წლის ანგარიშშია აღწერილი, 2022 წელს არ განხორციელებულა. ამის საპირისპიროდ, ხალხისა და კაპიტალის ნაკადებმა ზომიერად დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკურ აღდგენაზე, რამაც მშპ-ს 10.1%-იანი წლიური ზრდა გამოიწვია.

გაუმჯობესებულმა ექსპორტმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა და ფულადი გზავნილების ზრდამ, გონივრული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ფონზე, საქართველოს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა თითქმის ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი (იხ. თავი „მაკროეკონომიკური და ბაზრის მიმოხილვა“), რაც Fitch Ratings-ის მიერ სუვერენული რეიტინგის „BB“-მდე გაუმჯობესებით აღინიშნა. ეს კი საინვესტიციო რეიტინგს მხოლოდ ერთი ნაბიჯით გვაშორებს*.

ამავდროულად, ქვეყნის ძლიერი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და რეგიონში პოტენციურად მზარდი ეკონომიკური როლი არ არის მოსახლეობის კეთილდღეობის უპირობო გარანტი. სიღარიბისა და უთანასწორობის დონის შემცირება ავტომატურად არ მოხდება, არამედ მოითხოვს ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის სექტორების აქტიურ განვითარებაზე, ქალთა და ახალგაზრდობის გაძლიერებულ მონაწილეობაზე ეკონომიკურ ცხოვრებაში და მიგრაციის ეფექტიან მართვაზე.

„კრისტალის“ მიზანია წვლილი შეიტანოს ფინანსური ჩართულობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევაში იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს აქციონერებისათვის გრძელვადიანი ეკონომიკური ღირებულების შექმნას. შესაბამისად, ჩვენ ვმოქმედებთ როგორც განვითარების პლატფორმა მიკრო და მცირე მეწარმეებისა და მცირე ფერმერებისათვის. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა და სერვისების ფართო ხელმისაწვდომობა მაღალკონკურენტულ ბაზარზე კვლავ ზრდის საშუალებას გვაძლევს. სტრატეგიულ ანგარიშში შეგიძლიათ მეტი წაიკითხოთ ჩვენი ბიზნესმოდელის, კონკურენტული უპირატესობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

* 2023 წლის 27 იანვარს, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ „Fitch Ratings“ საქართველოს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (IDR) ‘BB’ დაადასტურა, პროგნოზი კი „სტაბილურიდან“ „პოზიტიურით“ შეცვალა.

2022 წელი „კრისტალისათვის“ პრაქტიკულად ყველა ძირითადი ინდიკატორის გაუმჯობესებით იყო გამორჩეული. ჩვენი სასესხო პორტფელი 11.7%-ით გაიზარდა, ხარჯისა და შემოსავლის კოეფიციენტი 76.8%-მდე (82.9% 2021 წელს) შემცირდა, უკუგებამ კაპიტალზე კი 12.4%-ს (5.4% 2021 წელს) მიაღწია. ჩვენ ასევე შევძელით კაპიტალის ადეკვატურობის მაღალი, 17.93%-იანი მაჩვენებლის* შენარჩუნება (20.47% — 2021 წელს).

მივაღწიეთ ხელშესახებ პროგრესს მმართველობის სისტემის განმტკიცებისა (იხილეთ თავი „მმართველობითი ანგარიში“) და საბანკო ლიცენზიისათვის მომზადების კუთხით. ამ ტენდენციის საფუძველზე, 2023 წელს „კრისტალი“ მოელის COVID 19-ის პერიოდამდელ მაჩვენებლებზე დაბრუნებას. როგორც ეს 2023-2025 წლების ახალი კორპორაციული სტრატეგიით არის განსაზღვრული, ჩვენ დავიწყებთ სვლას საუკეთესო მდგრადი ბანკის შექმნისაკენ. აღსანიშნავია, რომ „კრისტალმა“ უზბეკეთის რეგიონულ MFI-სთან გრძელვადიანი პარტნიორობა დაამყარა და ამგვარად გეოგრაფიული გაფართოებისაკენ პირველი აშკარა ნაბიჯი გადადგა.

ფინანსურ შემოსავალთან ერთად (მოგება), ჩვენ თანაბარ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანებისა და პლანეტის კეთილდღეობას და იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ეს ყოველივე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამ მოხსენებიდან მალევე, ჩვენ გამოვაქვეყნებთ „კრისტალის“ 2022 წლის მდგრადობის ანგარიშს, რომელიც გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით მიღებულ შედგებს ასახავს.

2023 წელს „კრისტალს“ 25 წელი შეუსრულდება. გვსურს ეს იუბილე აღვნიშნოთ საბანკო ლიცენზიის მოპოვებით, ფინანსური მაჩვენებლებისა და მომგებიანობის პანდემიამდელი პერიოდის დონეზე დაბრუნებით და რეგიონული გაფართოების სტრატეგიის განსახორციელებლად პრეცედენტის შექმნით.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს აქციონერებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, პარტნიორებს, ტექნიკური მხარდაჭერის დამფინანსებლებსა და „კრისტალის“ გასაოცარ გუნდს, მათ შორის, მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს კოლეგებს.

პატივისცემით,

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

* კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (CAR) განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის წესებისა და მითითებების და არა ფასს-ის საფუძველზე.



უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ძვირფასო აქციონერებო,

2022 წელი თავდაუზოგავი შრომისა და შედეგების გაუმჯობესების წელიწადი იყო, როგორც საქართველოს ეკონომიკის, ისე „კრისტალისათვის“. პანდემიითა და უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებული ომით გამოწვეული კრიზებისის წარმატებით დაძლევის შემდეგ, კომპანიამ გააუმჯობესა მომგებიანობა და, ამავდროულად, შეიტანა რა მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანიზაციულ სტრუქტურაში, პროცესებსა და სისტემებში, საგულისხმოდ გააძლიერა ჩვენი ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის წარმატება ყველაზე ნათლად ციფრებით გამოიხატება: ისე როგორც 2021 წელს, წელსაც გავაუმჯობესეთ ჩვენი შედეგები: სასესხო პორტფელმა 400 მლნ ლარს* გადააჭარბა, ხოლო ჩვენი აქტიური მსესხებლების რაოდენობამ 120,000-ს მიაღწია. ჩვენი გუნდი ფოკუსირებული იყო **მომგებიანობის გაუმჯობესებაზე**, რაც წარმატებით განხორციელდა ბიზნესის წარმოების გაზრდილი ხარჯების, რეგიონული არასტაბილურობის, გამკაცრებული სარეგულაციო მოთხოვნების და ინფლაციის რეკორდული მაჩვენებლის მიუხედავად. **შედეგად, „კრისტალის“ უკუგებამ კაპიტალზე 12.4%-ს მიაღწია და 2021 წელთან შედარებით 7%-ით გაუმჯობესდა, პორტფელი 11.7%-ით გაიზარდა.** მიკროსეგმენტის მომხმარებლების კვალიფიციური გარე კვლევის მიხედვით, **„კრისტალს“ ასევე ჰქონდა მომხმარებელთა კმაყოფილებისა (10-დან 9.3) და რეკომენდაციის გაწევის (10-დან 9) ყველაზე მაღალი, ხოლო ლოიალობის რიგით მეორე მაჩვენებელი (10-დან 9.4), რითაც გადაუსწრო მსხვილ სისტემურ ბანკებსა და ბაზრის სხვა მოთამაშეებს.** ჩვენი **სამომხმარებლო ლოიალობის ინდექსი (NPS) რეკორდულად მაღალი იყო და 86 ქულას შეადგენდა. გარდა ამისა, ჩვენ ფინანსურ ინდუსტრიაში რიგით მე-5 ყველაზე ცნობად ბრენდად დაგვასახელეს.**

2022 წელს ჩვენ გავეცით 154 მლნ ლარი მცირე ბიზნესისთვის, 99 მლნ ლარი კი — სოფლის მეურნეობისთვის, რაც რეკორდული შედეგია წინა წლებთან შედარებით. ამავდროულად, მაღალი საკრედიტო რისკის გონივრული მართვის წყალობით, შენარჩუნდა აქტივების ხარისხი. მინდა ხაზგასმით გამოვყო სალიზინგო მიმართულების წარმატება, რომლის პორტფელიც 73.8%-ით გაიზარდა და 10 მლნ ლარს მიაღწია. 63%-ით გაიზარდა ლიზინგის მომხმარებელთა რაოდენობა, იურიდიული პირების, თვითდასაქმებულებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ჩათვლით.

რაც შეეხება არასაკრედიტო ოპერაციებს, უცხოური ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებმა 2022 წელს მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი შემოსავალი, ვინაიდან კონვერტაციისა და გადაფასების ოპერაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5.5 მლნ ლარს გადააჭარბა. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილები და კომუნალური გადასახადები — 59,520 მომხმარებლის მომსახურების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 700,000 ლარი შეადგინა.

წელიწადი აგრეთვე ნაყოფიერი გამოდგა ფონდების მოზიდვის გუნდისათვის, ჩვენ განვაგრძეთ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი ხანგრძლივი და ახალი საერთაშორისო პარტნიორებისაგან, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი, როგორც საიმედო ფინანსური ინსტიტუტის რეპუტაცია და გახსნა დამატებითი შესაძლებლობები ჩვენი ძირითადი მისიის განსახორციელებლად. 2022 წელს მოზიდული ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 240 მლნ ლარი შეადგინა, რაც 53 მლნ ლარით მეტია 2021 წელთან შედარებით.

ჩვენი წარმატებული საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი: „კრისტალმა“ მიიღო მნიშვნელოვანი აღიარება ბიზნესის კეთების კუთხით:

- ზედიზედ მეოთხედ მოვიგეთ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდო BARTA-2022, რაც ადასტურებს, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციული ღირებულების — გამჭვირვალობის ერთგული ვართ.

* სასესხო პორტფელის ძირი თანხა

- Fitch Ratings-მა თავისი პროგნოზით 2022 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა „კრისტალის“ გრძელვადიანი სტაბილურობა, რაც გლობალური გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანი წარმატებაა.
- GITI-2022-ის IT ინოვაციების დაჯილდოებაზე „კრისტალ კონსალტინგის“ მიერ მცირე ბიზნესისათვის შემუშავებული ERP-სისტემა წლის საუკეთესო კომპლექსურ ბიზნესგადაწყვეტად დასახელდა.

უკრაინაში ამ საშინელი კონფლიქტის მიმდინარეობისას, ჩვენ სხვა კომპანიებთან ერთად დახმარება გავუწიეთ საქართველოში ჩამოსულ უკრაინელებს და გავაგზავნეთ ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში. ვამაყობ, რომ ჩვენმა კომპანიამ და მისმა თანამშრომლებმა განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწიეს თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლ უკრაინელ ხალხს.

ამავდროულად, ჩვენ ორიენტირებულები ვიყავით სამომავლო განვითარებაზე, აქტიურად ვმუშაობდით საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

ჩვენ განვაგრძეთ ფართომასშტაბიანი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება „კრისტალის“ ორგანიზაციული სტრუქტურის, პროცესებისა და პროდუქტების ბანკის სტრუქტურასთან, პროცესებთან და პროდუქტებთან დაახლოების მიზნით. პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიკრობანკების შესახებ. როგორც ბევრმა თქვენგანმა იცის, „კრისტალი“ მტკიცედ უჭერდა მხარს ამ საკანონმდებლო რეფორმის მიღებას, რომელიც მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია და ჩვენს კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, გაცილებით უკეთესად მოემსახუროს მომხმარებლებს. მიკრობანკად ტრანსფორმაცია ასევე დადებითად იმოქმედებს მომხმარებელთა შენარჩუნების კუთხით და გაზრდის არასაკრედიტო შემოსავლებს, აგრეთვე ხელს შეუწყობს საკრედიტო პორტფელის ზრდას, რაც შემდგომში მასშტაბის ეფექტიანობასაც გაზრდის. მკაცრად რეგულირებული საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელი დაბალი რისკებისა და საქართველოს სტაბილური მაკროპრუდენციული მაჩვენებლების ფონზე, ტრანსფორმაცია ასევე განამტკიცებს „კრისტალის“ პოზიციონირებას და გაზრდის კომპანიის ღირებულებას.

აღსანიშნავია, **რომ 2022 წელს დაგეგმილი ყველა პრიორიტეტული მიმართულება — პროცესების ავტომატიზაცია, ფინანსური შედეგების გაუმჯობესება, ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება და შვილობილი კომპანიების განვითარება — წარმატებით განვახორციელეთ** და თითოეულ სფეროში ხელშესახებ პროგრესს მივაღწიეთ.

პერსპექტივა

საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები და „კრისტალის“ მძლავრი ბიზნესმოდელი სამომავლო პერსპექტივას უზრუნველყოფს. არსებული გამოწვევების ფონზე, „კრისტალის“ წარმატება დადებითად აისახება არა მხოლოდ ჩვენი კომპანიის მდგრად განვითარებაზე, არამედ მთლიანად საქართველოს მეწარმეობასა და ეკონომიკურ აღორძინებაზე. მჯერა, რომ 2023 წელსაც განვაგრძობთ იმავე კურსით სვლას და ერთობლივი გუნდური ძალისხმევით შევძლებთ „კრისტალი“ წარმატებულ და ძლიერ ბანკად ვაქციოთ. 2023 წლის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. საბანკო ტრანსფორმაციის პროგრამის წარმატებით დასრულება.
2. ფინანსური შედეგების შემდგომი გაუმჯობესება.
3. სესხის განაცხადების დამუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია.
4. ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

ჩვენი გუნდი


ასეთი მასშტაბური პროექტებისა და ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ურთიერთგაგების, ერთმანეთის შრომის დაფასებისა და პატივისცემის, ასევე მუდმივი ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლების გარეშე. **მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელი გამოირჩეოდა ბაზარზე მნიშვნელოვანი გაურკვევლობით, ძლიერი გუნდური მუშაობა და მენეჯერული შორსმჭვრეტელობა დაგვეხმარა მნიშვნელოვანი ცვლილებების წარმატებით მართვაში.**

ალბათ ვერ შევძლებ სრულად გამოვხატო ჩემი მადლიერება „კრისტალის“ უბადლო გუნდის, სამეთვალყურეო საბჭოს, ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორის მიმართ იმ თავდადებისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც მათ გასული წლის განმავლობაში გამოავლინეს. მე გულწრფელად მადლობელი ვარ ჩვენი თანამშრომლებისა საქმისადმი გამოხატული ერთგულებისათვის, ერთმანეთის მიმართ ზრუნვისათვის, მუდმივი სწრაფვისათვის დაუღალავად ემსახურონ ჩვენს მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმატება მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, ის, პირველ ყოვლისა, საქართველოს მასშტაბით ჩვენი 1000 პროფესიონალი თანამშრომლის დამსახურებაა!

წარმატება „კრისტალისთვის“ ჩვენს გუნდს მოაქვს!

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი


მაკროეკონო
და ბაზ
მიმოხი



მთლიანი შიდა პროდუქტი

2022 წელი რთული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრას. ამავდროულად, მეტად გაურკვეველი და რთული გეოპოლიტიკური გარემო, რა თქმა უნდა, იყო და კვლავაც არის შეშფოთების საგანი. ამას დაემატა ომიკრონის შტამის შემთხვევების საგრძნობად ზრდა წლის დასაწყისში და 2-ნიშნა ინფლაცია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მდგრადობა. მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან მოიხსნა კოვიდის ყოველგვარი რეგულაცია, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა მაკროპარამეტრებზე. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საგრძნობლად მოიმატა მიგრაციამ საქართველოში, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა გზავნილებისა და ტურიზმიდან შემოდინებების კუთხით. აღნიშნულს თან დაერთო ქართველების საგრძნობლად მომატებული მიგრაცია უცხოეთში. კერძოდ, შემოსავლები ტურიზმიდან თითქმის 182%-ით გაიზარდა, საგრძნობლად მოიმატა ფულადმა გზავნილებმაც და წინა წელიწადთან შედარებით 86.1%-ით გაიზარდა. დამატებით, გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (61%), ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 4.1%-მდე შემცირდა. დიდი გავლენა ჰქონდა დაკრედიტების მკვეთრ ზრდას. ამასთანავე, ლარის გამყარებამ საგრძნობლად შეამცირა ლარის ეკვივალენტში იმპორტის ზრდა. შედეგად, 2022 წელს, ეკონომიკის ნომინალური ზრდა 20% დაფიქსირდა, თუმცა მაღალი ინფლაციის გამო წლის რეალური მშპ-ს საშუალო ზრდამ 10.1% შეადგინა.

რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში - %-ში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2020-2022 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გაზარდა სამეწარმეო ხარჯები. შესაბამისად, შეიქმნა ინფლაციის ზრდის რისკი, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მთელი წლის განმავლობაში მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნა. პანდემიის პერიოდში ინფლაციის ზრდაზე მოქმედი ფაქტორებისა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების ზრდის შედეგად, საშუალო წლიური ინფლაცია 2021 წელთან შედარებით 2.3 პპ-ით გაიზარდა და 11.9% შეადგინა. 2022 წელს ამას დაემატა რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც საგრძნობლად გაზარდა სამომხმარებლო პროდუქტების ფასები. ასევე, რუსეთ-უკრაინიდან დიდი მიგრაციის გამო, გაიზარდა მოთხოვნაც, რამაც ფასების შოკური ზრდა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, 2023 წელს ინფლაცია უკვე დაუბრუნდა სამიზნე მაჩვენებელს — 3%-ს. ზოგადად, ინფლაცია მნიშვნელოვან მსოფლიო გამოწვევად გადაიქცა პანდემიის დაწყების შემდეგ.

2021-2022 წლებში ინფლაციის მოსათოკად, რეგულატორმა რამდენჯერმე გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ჯამურად 2021 წელს 2.5, ხოლო 2022 წელს — 0.5 საპროცენტო პუნქტით. შედეგად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2022 წლის ბოლოს 11.0% დაფიქსირდა.

ინფლაცია და MPR საქართველოში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკი

დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განაახლა დასაქმებისა და უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, თვითდასაქმებულად აღარ ჩაითვლება საკუთარ საოჯახო მეურნეობაში მომუშავე პირი, რომელიც პროდუქციის უმეტეს ნაწილს (50%-ზე მეტს) პირადი მოხმარებისათვის აწარმოებს. ასეთი პირები გადანაწილდებიან უმუშევართა ან მოსახლეობის იმ კატეგორიაში, რომელიც სამუშაო ძალად არ მოიაზრება. ახალი სტანდარტის დანერგვის გამო, აუცილებელი გახდა ისტორიული მონაცემების გადაანგარიშება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზრუნველყო 2010 წლიდან არსებული მონაცემების განახლება.

2021 წელთან შედარებით 2022 წელს უმუშევრობის დონე 3.3 საპროცენტო პუნქტით შემცირდა და 17.3% შეადგინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო მთავრობისა და ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით, მომატებული მოთხოვნით რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციის გამო და საქართველოდან უმუშევარი ხალხის გადინებით.

უმუშევრობის დონე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ექსპორტი და იმპორტი

ეკონომიკის გახსნის და ბოლო 2 წლის განმავლობაში ორნიშნა მშპ-ს ფონზე, 2022 წელს საქონლის ექსპორტმა 5.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებსა (48.2%) და ევროკავშირზე (15.4%).


ეკონომიკის გახსნამ, რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციამ, ტურიზმის აღდგენამ, ვალუტის გამყარებამ და გზავნილების მატებამ გაზარდა შიდა მოთხოვნა და, შესაბამისად, იმპორტიც. 2022 წელს საქონლის იმპორტმა 13.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 34.6%-ით მეტია. იმპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე (27.4%), ევროკავშირსა (22.6%) და თურქეთზე (17.5%).



ტურიზმი

2022 წლისათვის ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი) 7.6%-ით. ასევე საგრძნობი გაუმჯობესებაა წლიდან წლამდეც. კერძოდ, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 182.5%-ით გაიზარდა შემოსავლები ტურიზმიდან და 3,517 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2022 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება წლიურად 86.1%-ით (2,023 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა და 4,372 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის მთავარი კონტრიბუტორი რუსეთიდან გზავნილებია, კერძოდ, 2021 წელთან შედარებით 402% — იანი ზრდა დაფიქსირდა.

ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წილი — 47.5%, რუსეთზე მოდიოდა (2,068 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 29.8 პპ-ით ზრდას), მეორე ადგილი 9.9%-ით ეჭირა იტალიას (431.7 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 6.5 პპ-ით შემცირებას), რომელსაც 7.5%-ით მოსდევდა აშშ (327 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 4.6 პპ-ით შემცირებას) და საბერძნეთი 5.1%-ით (223.9 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 5.1 პპ-ით შემცირებას).

ფულადი გზავნილების შემოდინება საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით 2022 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 2,000 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 61.1%-ით მეტია 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით. ასევე ეს არის ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

ამავე მონაცემებით 2021 წელს განხორციელებული FDI-ის ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ფინანსურ სექტორზე — 26.3%, რომელსაც მოსდევდა უძრავი ქონება 20.3%-ით, წყალმომარაგება 9.3%-ით, ენერგეტიკა 7.5%-ით.

FDI საქართველოში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიმდინარე ანგარიში

2022 წელს 2021 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილმა გზავნილებმა, ექსპორტმა, უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა, ვალუტის გამყარებამ და ეკონომიკის გახსნამ დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. 2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 4.1% შეადგინა.

CA დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის რეზერვები

2022 წელს 2021 წელთან შედარებით ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 9.5%-ით, ევროსთან მიმართებით 19.3%-ით და რუსულ რუბლთან მიმართებით 1.1%-ით გაუფასურდა და თურქული ლირის მიმართ 52.2%-ით გამყარდა.

ლარის გაცვლითი კურსის გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსისა და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის, წლიდან წლამდე, შესაბამისად, 24.9%-ითა და 15%-ით ზრდაში აისახა. 2021 წლის უცხოური ვალუტის რეზერვების რაოდენობამ 4,902 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საკრედიტო ბაზარი

საკრედიტო ბაზარი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100 ათასი ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით კომერციული ბანკების პორტფელი 14.24%-ით (1,057 მლნ ლარი) გაიზარდა და 8,478 მლნ ლარი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი გაიზარდა 15.72%-ით (214 მლნ ლარი) და 1,574 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საკრედიტო ბაზრის ჯამური ზომა გაიზარდა 14.47%-ით (1,271 მლნ ლარი) და 10,052 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით სასესხო კონტრაქტების ბაზარი გაიზარდა 2.74%-ით (91.7 ათასი) და 3.43 მლნ კონტრაქტი შეადგინა. კომერციული ბანკების კონტრაქტები შემცირდა 0.33%-ით (8.7 ათასი) და 2.61 მლნ კონტრაქტი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები კი 13.82%-ით (100.4 ათასი) შემცირდა და 827.2 ათასი სასესხო კონტრაქტი შეადგინა.

საერთაშორისო რეიტინგები — S&P გლობალური რეიტინგი

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური მაკროეკონომიკური ტენდენციები და მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი აისახა S&P საკრედიტო რეიტინგშიც, რომელშიც საქართველოს პერსპექტივის შეფასება პოზიტიურიდან ნეგატიურით შეიცვალა, ხოლო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად BB დონეზე დარჩა. 2022 წლის პოზიტიური შედეგებიდან გამომდინარე, S&P-მ გააუმჯობესა საქართველოს პერსპექტივის შეფასება ნეგატიურად სტაბილურამდე, ხოლო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად დატოვა BB დონეზე.



კორპორაციი
სტრატე



მიკრობანკის მოახლოებული ლიცენზირების და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გაჩენის ფონზე, ჩვენ ახლებურად შევხედეთ ჩვენს მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ამავდროულად, განვაახლეთ ჩვენი ბრენდის დაპირება, ჩამოვაყალიბეთ ახლებური ხედვა მომხმარებელთა სეგმენტის, პროდუქტებისა და იმ სერვისების მიმართ, რომელთა შეთავაზებასაც ვგეგმავთ.

„კრისტალის“ განახლებული **მისიაა გააძლიეროს მეწარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით**, რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

განახლებული ხედვის მიხედვით, „კრისტალი“ უნდა იყოს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/ გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“, როგორც **ბრენდის დაპირებაა, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა**, უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალურ მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

„კრისტალის“ **სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და, ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია**, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის კონვერტაციას, მობილურ ბანკს, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურებას როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით **სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებზე**. მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, „კრისტალი“ გააგრძელებს მომხმარებელთა იმავე სეგმენტის მომსახურებას, თანდათანობით მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს ბევრად უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით და შექმნის მეტ ღირებულებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, სტრატეგიული ამოცანები შემდეგია:

1. წამყვანი პოზიციის მოპოვება ბაზრის მიკროსაფინანსო სეგმენტში და გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.

2. ძირითად (მიკრო) მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში ბიზნესის წილის თანმიმდევრული ზრდა.


3. შემნახველი პროდუქტების დანერგვა, ფოკუსირება ძირითად მომხმარებლებზე ან იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც ამჟამად მცირე თანხა აქვთ დასაზოგი, მაგრამ არ აქვთ ბანკებთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე მაღალი შემოსავლის მქონე პირებზე და კორპორაციებზე.

4. არსებული საკრედიტო პროდუქტების (სესხები, ლიზინგი და ა.შ.) შემდგომი განვითარება.

5. არასაკრედიტო პროდუქტების შემუშავება.

6. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და ოპერაციული პროცედურების განახლება ტრანსფორმირებული ინსტიტუტის საჭიროებების მხარდასაჭერად.

7. ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.








„კრისტალი“ არის წამყვანი ქართული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას სთავაზობს.






ბიზნესმოდელი

ჩვენ ფოკუსირებული ვართ მიკროსაფინანსო მომხმარებლისათვის საუკეთესო და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებაზე ფილიალებისა და ციფრული არხების გამოყენებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს „კრისტალის“ ბიზნესმოდელს:

პროდუქტები		არხები	სეგმენტები
მიკროსესხები	განვადებები	ფილიალები	მცირე ფერმერები
SME სესხი	ენერგოეფექტური/ განახლებადი	პირდაპირი	მიკრო მეწარმეები
ლიზინგი	ფაქტორინგი*	მობილური	მცირე და საშუალო მეწარმეები
		ონლაინ	საცალო კლიენტები
გადახდები	კონსალტინგი	ქოლ-ცენტრი	სპეციალური ჯგუფები: ახალგაზრდები; ქალები; დიასპორა*; სატრ. საშუალების, იპოთეკის მომხმარებლები
ვალუტა	ტექნოლოგია	აგენტების ქსელი	
დაზღვევა	ელ. კომერცია	მერჩანტები	

ჩვენი საკრედიტო მიმართულება საცალო და ბიზნეს მომხმარებლებს პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს, ხოლო კომფორტული და ინოვაციური მიკროსაფინანსო გადაწყვეტილებები, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებით გათვალისწინებულ პერსონალიზებულ კონსულტაციებთან და განვითარებაზე მიმართულ სერვისებთან ერთად მომხმარებელთათვის განსაკუთრებულ გამოცდილებას უზრუნველყოფს.

ჩვენი არასაკრედიტო მიმართულება მომხმარებლებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, როგორიცაა გადახდები, ფულადი გზავნილები, ვალუტის კონვერტაცია, დაზღვევა და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

„კრისტალის“ დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და მიღებულია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენს. გარდა ამისა, „კრისტალმა“ შეიმუშავა დაფინანსების ალტერნატიული წყარო, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება.

* სამომავლო პროდუქტები და სეგმენტები

ბიზნესის მნიშვნელოვანი სიახლეები

2022 წელი, გამოწვევებით აღსავსე საოპერაციო გარემოს მიუხედავად, ბიზნესისათვის შედეგების გაუმჯობესების წელიწადი იყო.

2022 წელს „კრისტალის“ საკრედიტო პორტფელი დაახლოებით 12%-ით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 400 მლნ ლარი* შეადგინა. აქტიური საკრედიტო კლიენტების რაოდენობა 120,000-ს გადასცდა.

2022 წელს კომპანია 180,000-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%-ით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აქცენტი უმთავრესად აგრო და მიკროდაკრედიტებაზე გაკეთდა და წლის განმავლობაში დაახლოებით 50 მლნ ლარით გაიზარდა, რაც 2021 წელთან შედარებით 41%-ით მეტია.

ეს წელიწადი პროდუქტების განახლების კუთხითაც საკმაოდ აქტიური იყო. წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ავტოპროდუქტის მიმართულებით, სრულად განახლდა მისი მახასიათებლები და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს მოერგო. პროდუქტის გაყიდვაში მთლიანი ქსელი ჩაერთო და მომხმარებელთა უფრო ფართო სეგმენტისათვის გახდა ხელმისაწვდომი. შედეგად, პორტფელი 300%-ით გაიზარდა და წლის ბოლოს 14.7 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს მთავარი ფოკუსი გაკეთდა 30,000 ლარამდე სესხის გაცემის პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაზე. წლის განმავლობაში კომპანია აღნიშნული მიმართულებით 80,000-მდე მომხმარებელს მოემსახურა. გაცემული სესხების მოცულობამ 310 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელზე 23%-ით მეტია.

კომპანია წარმატებით ახორციელებს DFC/USAID/Sida საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში სესხების გაცემას. გარანტიით გაცემულია 6000-ზე მეტი სესხი 23 მლნ ლარის მოცულობით. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სირთულეების ფონზე, საგარანტიო სქემა გარკვეულ მოქნილობასა და სითამამეს მატებს კომპანიას დაფინანსებისას, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსებზე. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ საგარანტიო მექანიზმით 75-მდე პრობლემური სესხის ანაზღაურება შეძლო, რომელთა მოცულობაც დაახლოებით 170,000 ლარია.

კომპანია აქტიურად განაგრძობს მწვანე მიმართულების განვითარებას. 2022 წელს მწვანე მიზნობრიობის დაფინანსებით გაცემული თანხა 22 მლნ-ზე მეტ ლარს შეადგენს, რაც 46%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული ასევე მოიცავს „კრისტალის“ მომხმარებლისათვის მზის პანელების (მზის ელექტროსადგურის) დაფინანსებას, რაც ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

არასაკრედიტო პროდუქტების განვითარება მიმდინარე წელს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. მაგალითად, კომპანიაში დაინერგა ახალი არასაკრედიტო პროდუქტი — მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) მომსახურება, რომელიც, როგორც დამატებითი კომფორტი, საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

2022 წლის ბოლოს მნიშვნელოვნად გამარტივდა ფულადი გზავნილების მიღების პროცესი, რამაც საშუალება მისცა კომპანიას წლის განმავლობაში 183,000-მდე მომხმარებელს მომსახურებოდა. ჯამურად 2022 წელს კომპანიამ ფულადი გზავნილებიდან 650,000 ლარამდე შემოსავალი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით მეტია.

2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სადაზღვევო პროდუქტის მოდიფიცირებისა და ახალი სადაზღვევო პროდუქტების დანერგვის კუთხით. კერძოდ, მომხმარებლებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, დააზღვიონ რისკები სიცოცხლის, ავტო და აგრო მიმართულებით. პარტნიორი სადაზღვევო კომპანიების მრავალფეროვნება კი მომხმარებლებს მათზე მორგებული პირობების არჩევის შესაძლებლობას აძლევს. ჯამურად დაზღვეულია 90,000-მდე კლიენტი. 2022 წლის

* სასესხო პორტფელის ძირი თანხა

განმავლობაში სიცოცხლის დაზღვევის პორტფელი 130 მლნ ლარით გაიზარდა და წლის ბოლოს დაახლოებით 300 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალის მოცულობამ 420,000 ლარამდე შეადგინა.

2022 წლის გაზაფხულიდან კომპანიაში დაინერგა სრულიად ახალი სადაზღვევო პროდუქტი — ავტოდაზღვევა, რომელიც, თავისი შინაარსით, მორგებულია მომხმარებლებსა და ავტოსესხის პროდუქტის საჭიროებებზე. ამ მიმართულებით დაზღვევის პორტფელი 12 მლნ ლარს შეადგენს, კლიენტთა რაოდენობა კი 1,100-ს აღემატება.

2022 წლის ივლისიდან გაფართოვდა „ფეი ბოქსების“ ქსელი, რამაც საშუალება მისცა კომპანიას 500 ლარამდე ტრანზაქციები სრულად გადმოეტანა სალაროებიდან. განიტვირთა სალაროებთან რიგები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომხმარებელთა მომსახურების პროცესი.

მომხმარებლებისა და პროცესების ხარისხის მიმართ „კრისტალის“ მიერ გამოჩენილმა მუდმივმა ყურადღებამ სათანადო შედეგი გამოიღო. 2022 წელს ACT-ის მიერ ჩატარებული ბრენდისა და ბაზრის კვლევის მიხედვით, „კრისტალი“ მსხვილ სისტემურ ბანკებს შორის წამყვან პოზიციას იკავებს: კომპანიის მომხმარებელთა კმაყოფილების საშუალო ქულა 10 ქულიანი სკალიდან 9.3-ს აღწევს.

ლიზინგი

ლიზინგი სს „მისო კრისტალის“ სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც 2020 წლიდან წარმატებით ვითარდება. დღეისათვის ლიზინგის ჯამური პორტფელი 10 მლნ ლარს შეადგენს და 250 მომხმარებელს მოიცავს. მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი მეწარმე იურიდიული პირია.

2022 წლის განმავლობაში პორტფელის ზრდამ 74% შეადგინა. პორტფელში, ძირითადად, კონცენტრირებულია შემდეგი სექტორები: მშენებლობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, წარმოება, სოფლის მეურნეობა. ამ უკანასკნელის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ მართულმა იაფი აგროლიზინგის პროგრამამ.

გასული წლის განმავლობაში მომგებიანობამ (yield) 26.4% შეადგინა. ასევე მკვეთრად გაუმჯობესდა საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი და ეფექტიანობა. „კრისტალმა“ გახსნა წარმომადგენლობა ქალაქ ბათუმში, ასევე იგეგმება შესვლა სხვადასხვა რეგიონში. 2023 წელს კომპანიის ამოცანაა, თბილისსა და ბათუმთან ერთად, ქუთაისშიც იყოს წარმოდგენილი.

პორტფელის ზრდასთან ერთად, მიღწეულ იქნა პორტფელის ხარისხის დაგეგმილი პარამეტრებიც. NPL-ი (PAR 90+რესტრუქტურიზებული) 5.5%-ს შეადგენს. განვითარდა შეწყვეტილი კონტრაქტების რემარკეტინგის პროცესი. შედეგად, აღნიშნული ოპერაციების ჯამური დანაკარგი ნულს უტოლდება.



ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება

2022 წელს პანდემიის ეფექტს დაერთო რეგიონული არასტაბილურობა, ომი უკრაინაში და გაზრდილი ინფლაციური წნეხი. ეს ყოველივე ზიანს აყენებდა ქვეყნის იმიჯს, რაც ავტომატურად აისახებოდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. გამოწვევების საპასუხოდ, „კრისტალის“ გუნდმა გადაწყვიტა ყოველთვიურად მოემზადებინა და პარტნიორებისათვის მიეწოდებინა სანდო მასალა მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების, ასევე „კრისტალის“ ფინანსური და საოპერაციო შედეგების შესახებ. ამგვარმა გამჭვირვალე მიდგომამ შედეგი გამოიღო და წლის განმავლობაში გუნდმა დაფინანსების არათუ შენარჩუნება, არამედ გაზრდა და ახალი პარტნიორების მოზიდვაც შეძლო.

2022 წელს შესრულდა 24 ტრანზაქცია, ჯამში 238.3 მლნ ლარის მოცულობით, აქედან:

- 6 — საერთაშორისო პარტნიორთან (100.3 მლნ ლარი)
- 18 — ადგილობრივ ბანკთან (138 მლნ ლარი).

ვალუტების თანაფარდობამ კი 82% ლარი და 18% აშშ დოლარი შეადგინა.

პარალელურად, „კრისტალს“ არ შეუწყვეტია დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება და კაპიტალის ბაზარზე აქტიურად მუშაობა. საბროკერო სააგენტო Galt & Taggart-თან თანამშრომლობით, კომპანიამ 25 მლნ ლარის მოცულობის ტრანზაქციაზე მუშაობა დაიწყო. აღნიშნული ტრანზაქცია „კრისტალისათვის“ რიგით მე-3 გარიგება იყო, რამაც მას ადგილობრივ ბაზარზე სანდოობა შემატა და გაზარდა მისით დაინტერესება. საბოლოოდ, შეთანხმება აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს ბანკს შორის შედგა. მათი თანამონაწილეობა, შესაბამისად, 75%-ითა და 25%-ით განისაზღვრა. აღნიშნული ტრანზაქციის მიმართ ინტერესს აღძრავდა ისიც, რომ ეს იყო პირველი გარიგება, რომელიც „კრისტალსა“ და ADB-ს შორის დაიდო. გარდა ამისა, გამოიცა სპეციალური დანიშნულების ობლიგაციები, კერძოდ, ქალი მეწარმეების დაფინანსების გასაძლიერებლად. ტრანზაქციის დასრულების თარიღად 2023 წლის 8 თებერვალი განისაზღვრა.

დაფინანსების ზემოაღნიშნული წყაროების (ადგილობრივი ბანკები, საერთაშორისო პარტნიორები, კაპიტალის ბაზარი) გარდა, „კრისტალის“ გუნდმა ალტერნატიული დაფინანსების არხის განვითარება დაისახა მიზნად. ვიდრე კომპანია მიკრობანკის სტატუსსა და დეპოზიტების მიღების უფლებას მოიპოვებდა, დაიგეგმა მომხმარებლისათვის თამასუქის პროდუქტის შეთავაზება, რაც ამ მიმართულებით წარმატებით შესრულებული სამუშაოების შემდეგ 2022 წლის მე-4 კვარტალში ოფიციალურად დაინერგა.

გართულებული საერთაშორისო სიტუაციის ფონზე, „კრისტალმა“ გამოწვევებს ჯეროვნად უპასუხა და წელიწადი, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო FITCH RATINGS-ის შეფასებით, სტაბილურად დაასრულა. სააგენტოსთან პარტნიორობა 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს და ამ ხნის განმავლობაში მხარეებმა ნდობაზე დაფუძნებული, მტკიცე თანამშრომლობა განავითარეს.

2022 წელს განხორციელებული ტრანზაქციები



FMO · BlueOrchard · symbiotics · Developing World Markets

Triodos Investment Management

თიბისი ბანკი TBC BANK · საქართველოს ბანკი · PASHA Bank · ბაზისბანკი BASISBANK

ლის იკური არება

დაფინანსების პროცესის პარალელურად, გუნდმა ტექნიკური დახმარების მიმართულებითაც იმუშავა. წლის დასაწყისიდან მთავარი აქცენტი საბანკო ტრანსფორმაციის პროექტის მხარდაჭერაზე გაკეთდა და საzგრანტო პროგრამების მიზნობრიობაც სწორედ საბანკო საჭიროებებით განისაზღვრა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა ჰოლანდიის განვითარების ბანკთან (FMO), რომლის ფარგლებშიც 200,000 ევროს მოცულობის 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. შეთანხმება საბანკო ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული პროექტების თანადაფინანსებას ითვალისწინებს.



მნიშვნელო
რისკებ
განუსაზღ
ლობა 2022 წ

რისკის მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. რისკის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით 2022 წელს კომპანიამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

საკრედიტო რისკის მართვა

- 2022 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა კომპანიის რისკის მადა, რაც საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

- მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილების ინსტრუმენტების დანერგვის შედეგად, გაძლიერდა კომპანიის ანდერაიტინგის მიმართულება. აღნიშნული ინსტრუმენტები ემყარება როგორც ექსპერტულ ცოდნას, ისე მონაცემებს, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

- პორტფელური რისკების მიმართულება მონაცემებსა და სტატისტიკურ ანალიზზე დამყარებულ გადაწყვეტილებებზე გაცილებით მეტად გახდა ორიენტირებული. პორტფელის ანალიზის პროცესი მნიშვნელოვნად განახლდა და გაცილებით ინფორმაციული გახდა, რაც ხელს უწყობს რისკის უკეთ იდენტიფიცირებას.

- მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დათვლის მოდელი IFRS-9 მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა. განახლებული მოდელი საშუალებას აძლევს კომპანიას გაცილებით მაღალი სიზუსტით დათვალოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და უზრუნველყოს მისი პრევენცია.

- განახლდა საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის (დივერსიფიკაციის) ლიმიტები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონცენტრაციის რისკი; ეს კი, თავის მხრივ, პორტფელის სტაბილურ მართვას უზრუნველყოფს.

- შეიქმნა კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც კონტრაგენტის რისკის შეფასებასა და მონიტორინგს, შესაბამისი ლიმიტების მართვას უზრუნველყოფს.

საოპერაციო რისკის მართვა

- 2022 წელს დაინერგა რისკის თვითშეფასება (RSA). აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს კომპანიას შეაფასოს კრიტიკულ ბიზნესპროცესებში არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა და სისუსტეები.

- დაინერგა მნიშვნელოვანი რისკების ინდიკატორები (KRI), რაც საშუალებას აძლევს კომპანიას ადრეულ ეტაპზევე მოახდინოს მოსალოდნელი რისკების იდენტიფიკაცია და პრევენცია.

- დაინერგა ახალი რისკების მართვის პროცესი (NRA), რომელიც ხელს უწყობს ახალ პროდუქტებთან, არხებსა თუ პროცესებთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების წინასწარ განსაზღვრასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვას.

- განახლდა უკვე გამოვლენილი რისკების მონაცემთა ბაზა (RED). შედეგად, შეგროვებული მონაცემები გაცილებით უფრო ინფორმაციული გახდა ბიზნესპროცესებში კონტროლის მექანიზმების გასაძლიერებლად.

- განახლდა ბიზნესუწყვეტობის გეგმა (BCP), რომელიც საჭიროა კრიტიკულ სიტუაციაში ბიზნესპროცესების უწყვეტობის შესანარჩუნებლად და რომელმაც კომპანიაში არსებული ყველა კრიტიკული ბიზნესპროცესი მოიცვა.

შესაბამისობის რისკის მართვა
რისკის მიტიგაცია

- 2022 წელს განახლდა შესაბამისობის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ხედვის დანერგვას კომპანიის მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, ქმნის შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩოს.

- შესაბამისობის რისკის მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციასთან შესაბამისობას. 2022 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა აღნიშნული პროცესი, გაითვალისწინა რა რეგულატორის რეკომენდაციები. განახლდა პროცედურები, დაიხვეწა პროცესები და გაუმჯობესდა პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

- შესაბამისობის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიში რეგულარულად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკის მართვა

- 2022 წელს განახლდა ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც ლიკვიდობაზე ზემოქმედებს, ასევე განისაზღვრა პრევენციის მექანიზმები.

- კომპანია რეგულარულად ამზადებს სტრესტესტებს და გეგმავს შესაბამის ნაბიჯებს.

- ერთ წყაროზე დამოკიდებულების თავიდან ასარიდებლად, კომპანიას დადგენილი აქვს დაფინანსების წყაროს კონცენტრაციის ლიმიტი, რომელიც მთლიანი ვალდებულების 20%-ს შეადგენს.

- აღნიშნული რისკის მართვის ეფექტიანი ორგანოა ALCO-ს კომიტეტი, რომელიც 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებიდან მენეჯმენტის დაქვემდებარებაში გადავა. ეს კი უზრუნველყოფს კომიტეტის მოქნილობას და ხელს შეუწყობს მენეჯმენტის მიერ სწრაფ რეაგირებას.

- 2022 წელს კომპანიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა: რისკების დირექტორატში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. მოცემული ცვლილებით, მენეჯმენტმა ლიკვიდობის რისკის მართვის პროცესში სამი დონის დაცვის მექანიზმი დანერგა.

სავალუტო რისკის მართვა

- დამტკიცდა ღია პოზიციის +-10%-იანი ლიმიტი, რომელიც რისკის შეზღუდვას უზრუნველყოფს.

- 2022 წელს დაინერგა VAR-მეთოდი, რომელიც მოსალოდნელი დანაკარგების დაზუსტებულ კალკულაციას მოიცავს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

- 2022 წელს კომპანიამ ვადიანობის გადაფასების გაზომვის ინსტრუმენტი (maturity repricing gap) დანერგა, რომელიც 12 თვის მოსალოდნელი ზარალის დათვლისა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

კაპიტალის ადეკვატურობის რისკის მართვა

- 2022 წელს კომპანიამ დანერგა კაპიტალის ადეკვატურობის მართვის პოლიტიკა, განისაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილებები და პასუხისმგებელი მიმართულებები.

- პოლიტიკასთან ერთად, შემუშავდა კაპიტალის სტრესტესტი, რომელიც სხვადასხვა მაკროფაქტორისა და ბიზნესშედეგის კაპიტალზე ზეგავლენის წინასწარ გაანალიზებისა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

- 2022 წელს კომპანიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა: რისკების დირექტორატში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ლიკვიდობის, სავალუტო, საპროცენტო და კაპიტალის ადეკვატურობის რისკის მართვის პროცესში დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებით, მენეჯმენტმა რისკის მართვის ყველა ზემოხსენებულ პროცესში სამი დონის დაცვის მექანიზმი დანერგა.



კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

ქართველი ქალი მეწარმეებისა და ახალგაზრდების გაძლიერება და მხარდაჭერა

„კრისტალის“ მიერ 2020 წელს USAID Georgia-სთან პარტნიორობითა და ჰოლანდიელებთან ერთად **წამოწყებული საქართველოს ქალთა გაძლიერების მისიის (Buzz Georgia) ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 1,300 ქალი გაძლიერდა.**

- 1,300 მეწარმე ქალის პიროვნული და სამეწარმეო უნარების გაზრდითა და მოტივირებით გავაძლიერეთ 1,500 ქართული ოჯახი, 5,000-მდე მათი ოჯახის წევრი, 30-მდე სოფელი და ქალაქი და ამგვარად ხელი შევუწყვეთ ადგილობრივი დოვლათის შექმნასა და ზრდას საქართველოს რეგიონებში.

- მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 30-მდე ტრენინგი როგორც დისტანციურად, ისე დასწრებულად; ძირითადად მოვიცავით დასავლეთ საქართველოს რეგიონები: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა და ლეჩხუმი.

- დატრენინგებულ მეწარმე ქალთაგან 100-მდე ქალმა მონაწილეობა მიიღო USAID-ის სა-ახალწლო-საშობაო გამოფენა-გაყიდვაში, რომელიც ყოველი წლის დეკემბერში ტარ-დება. მათ შეძლეს გაეყიდათ ათიათასობით ლარის პროდუქცია თბილისში არსებულ დედაენის ბაღში და ამასთანავე გაეცნოთ იგი ასობით მოსული სტუმრისა თუ დამთვალი-ერებლისათვის.

- YES-Georgia-ს პროექტის ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში 5625-მდე ახალგაზრდამ მი-იღო მონაწილეობა (მათ შორის, 3,888 გოგონამ და 1,738 ბიჭმა). 1,500-მდე ახალგაზრდამ წარმატებით გაიარა მეწარმეობის ტრენინგ-კურსი; „კრისტალმა“ 96 ახალგაზრდა მეწარმე დააფინანსა (55 გოგონა და 41 ბიჭი), აღსანიშნავია, რომ 64 საწარმო უწყვეტად განაგრ-ძობს წარმატებით საქმიანობას.

„კრისტალის“ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სისტემის დახვეწა GGF-სთან თანამშრომლობით

- 2022 წელს „კრისტალის“ საერთაშორისო პარტნიორის — Finance in Motion/EFSE/GGF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა „კრისტალის“ გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) სისტემების, პოლიტიკის, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და პროცედურების გეფ-ანალიზი; გადაიხედა მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები; „კრისტალის“ სისუსტეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შე-მუშავდა სამოქმედო გეგმა და განხორციელების სტრატეგია.

- სამომავლოდ, სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება საშუალებას მისცემს „კრისტალს“ დანერგოს მდგრადობის ყოვლისმომცველი ჩარჩო და დააკმაყოფილოს გა-რემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის უნივერსალური სტანდარტები.

DWM-სთან და MSC MicroSave Consulting-სთან წარმატებული თანამშრომლობა

პარტნიორობის ფარგლებში განისაზღვრა კლიმატზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლო-გიური რისკის მართვის მიმართულებით არსებული ხარვეზები, ასევე შემუშავდა ძირითადი რეკომენდაციები.

წარმატებული თანამშრომლობა გერმანულ ფონდ „შპარკასესთან“

აქტიურად დავიწყეთ თანამშრომლობა ჩვენს ერთ-ერთ უცხოელ პარტნიორთან — გერმანული განვითარების საერთაშორისო ფონდთან **German Sparkassenstiftung**. თანამშრომლობა მიზნად ისახავს „კრისტალის“ მწვანე და მდგრადი დაფინანსების კომპასის შესაძლებლობების განხილვასა და დანერგვას, მწვანე დაფინანსების სპიდომეტრისა და დაფინანსების საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას. განხორციელდა მდგრადი დაფინანსების იმპლემენტაციის შეფასება და სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა.

„კრისტალის“ მწვანე პროდუქტების/მწვანე დაფინანსების ფარგლებში:

2022 წლის განმავლობაში დაზოგილ იქნა:

- 3,136,905 (KWH) ენერგია
- გარემოსთვის არიდებულ იქნა 464,119 კგ. CO2

საგანმანათლებლო ღონისძიებები:

2022 წლის ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში კომპანიამ პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების, სტაჟირების პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებისა და გაყიდვების გუნდის წევრების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა ტრენინგები დაზოგვის მნიშვნელობის, ფულის დამცავი ნიშნების, კუპიურების შესამოწმებლად საჭირო ტექნიკებსა და ხელსაწყოების მოხმარების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ყალბი ფულის ამოცნობასა და შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებაში.



ერთად ვმუშაობთ,
ერთად ვვითარდებით...



ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

„კრისტალის“ სოციალური პასუხისმგებლობა დასაქმებულების მიმართ ჯანსაღ, უსაფრთხო, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობასა და საქმიან დამოკიდებულებაში გამოიხატება. კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას იმგვარი გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კონკურენტუნარიან და ღირსეულ სამუშაო პირობებში თავიანთი თავის გამოვლენის, ჩართულობის, პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა მიეცემათ.

2022 წელი კომპანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტალანტების განვითარებისა და მართვის მიმართულებით. ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიუხედავად, კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც HR-მიმართულების საქმიანობის გაუმჯობესების, ისე თანამშრომლებზე ზრუნვის კუთხით.

- 2022 წელი კომპანიამ 1,051 დასაქმებულით დაასრულა.

- 2022 წლის განმავლობაში ეფექტიანად წარიმართა რეკრუტინგის პროცესი. ამ მხრივ, წელიწადი რეკორდული აღმოჩნდა. 2022 წელს „კრისტალის“ გუნდს 395 თანამშრომელი შემოუერთდა: აქედან 122 ახალ პოზიციაზე, 273 კი ყოფილი თანამშრომლის ადგილზე დასაქმდა. რეკრუტინგის პროცესის სწორად მართვის შედეგად, ღია პოზიციები 23%-ით შიდა რესურსით შეივსო, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ „კრისტალში“ კარიერული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა ყველა თანამშრომელს თანაბრად აქვს.

ვ: მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე აღმასრულებელი დირექტორისაგან დამოუკიდებელია, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, იგი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამოუკიდებლად, რადგან მნიშვნელოვანი აქციონერია და 9 წელზე მეტია საბჭოში მოღვაწეობს; სხვა კრიტერიუმების მიხედვით (მათ შორის, კომპანიის საერთო ხელმძღვანელობის ეფექტიანობასთან, ღიაობისა და დებატების ხელშეწყობის, ასევე თავმჯდომარის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით), კომპანია შეესაბამება სტანდარტებს, შესაბამისად, ნაწილობრივ აკმაყოფილებს F-მოთხოვნას.

თ: მიუხედავად საბჭოს წევრების დანიშვნის მკაცრი პროცედურისა, არ არსებობს სამართალმემკვიდრეობის ხელშეწყობის გეგმები. კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ.

ლ: ხელახალი არჩევნები ყოველწლიურად არ ტარდება; თავმჯდომარე დანიშნულია 9 წელზე ხანგრძლივი ვადით, თუმცა 2018 წელს მან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ახალი როლი იტვირთა; კრისტალი არ იყენებს გარე კონსულტაციებს საბჭოს წევრების დასანიშნად; კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ.

კოდექსის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.frc.org.uk/directors/corporate-governance-and-stewardship/uk-corporate-governance-code

დანართი 2

შემოკლებების ჩამონათვალი

AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო
ALCO	აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი
AML	ფულის გათეთრების საწინააღმდეგო
BARTA	საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო
CA	მიმდინარე ანგარიში
CAR	კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი
CO2	ნახშირორჟანგი
DFC	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (ყოფილი OPIC)
DWM	მსოფლიო ბაზრის განვითარება
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
ERP	საწარმო რესურსების დაგეგმვის სისტემა
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
FMO	ჰოლანდიის განვითარების ბანკი
GGF	ფონდი მწვანე ზრდისათვის
HR	ადამიანური რესურსები
KPI	საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელი
MPR	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
NPL	ვადაგადაცილება მთლიან სესხებში
ROA	უკუგება აქტივებზე
ROE	უკუგება საკუთარ კაპიტალზე
SDG	მდგრადი განვითარების მიზანი
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
MSME	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო
SMS	მოკლე ტექსტური შეტყობინება
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
USAID	აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
მისო	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
პპ	პროცენტული პუნქტი
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სს	სააქციო საზოგადოება
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია

წლიური ანგარიში 2022

ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ („კრისტალი“) საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და ლიდერი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. „კრისტალი“ მართავს 389 მილიონიან სასესხო პორტფელს. მის 50 ფილიალში დასაქმებული თითქმის 1,000 თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 120 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალი“ ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ (მათ შორის, სალიზინგო) პროდუქტებსა და არაფინანსურ (კონსულტაცია და ტექნოლოგიები) მომსახურებას აწვდის. „კრისტალი“ რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება (B- Stable) მიიღო. გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza–საგან სოციალური რეიტინგი „A-“ მიიღო.

ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროექტებისთვის 2021 წელს კრისტალს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მთავარი ჯილდო გადაეცა. საერთაშორისო მიკროსაფინანსო ასოციაციამ (MFC) კომპანიის „მწვანე მიმართულება“ (ენერგოეფექტური კრედიტები და განვადებები) მსოფლიოს მასშტაბით 5 საუკეთესო ინიციატივას შორის დაასახელა. საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსში BARTA „კრისტალი“ საქართველოში მეოთხედ გახდა ჯილდოს მფლობელი. ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს „კრისტალს“ წარმატებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით და ცხადყოფს მის სამართლიან მისწრაფებას ბანკად ტრანსფორმირებისაკენ.

მეტი ინფორმაცია, ისე როგორც ანგარიშის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: https://ir.crystal.ge/

ნათია ბერსიშვილი

დირექტორის ანგარიში 3

მიმოხილვა 3

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები 4

თავმჯდომარის განცხადება 5

უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი 7

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა 10

კორპორაციული სტრატეგია 16

ბიზნესმოდელი 17

ბიზნესის მნიშვნელოვანი სიახლეები 18

ღირებულება 20

ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება 21

ტექნიკური დახმარება 22

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა 2022 წელს 23

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 26

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში 28

ინფორმაციული ტექნოლოგიები 31

მმართველობითი ანგარიში 34

სამეთვალყურეო საბჭო 36

თავმჯდომარე 38

საბჭოს შემადგენლობა 38

კორპორაციული მართვა 40

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 41

მმართველი გუნდი 44

კომიტეტების ანგარიშები 47

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და დამტკიცებაზე 54

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 56-59

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 60
ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 61
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 62
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 63
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 64
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 65
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 66
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 67

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 68-152

დამატებები ..... 153 - 154

ნათია ნემსიწვერიძე

სტრატეგიული ანგარიში

„კრისტალის" მისიაა მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან.

მიმოხილვა

„კრისტალის" ხედვაა გახდეს ლიდერი ფინანსური ინსტიტუტი მიკრო და მცირე მეწარმეების მომსახურების სფეროში. ჩვენი მიდგომა სცდება საკრედიტო პროდუქტებზე ფოკუსირებას და მოიცავს ხელმისაწვდომობის გაზრდას ისეთ მრავალფეროვან სერვისებზე, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშები, ბარათები, ლიზინგი და არაფინანსური მომსახურება, მათ შორის, კონსულტაციის გაწევა ბიზნესისა და ფინანსების სფეროში, ტექნოლოგიური გადაწყვეტები, განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები. ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომლებიც „კრისტალს" სურს ხელმისაწვდომი გახადოს თავისი მომხმარებლებისათვის.

„კრისტალი" საქართველოში წამყვანი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. იგი მართავს 389 მილიონიან სასესხო პორტფელს და 50 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით 1,000 თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 120 ათას უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის" ინსტიტუციური აქციონერები არიან Incofin IM და Developing World Markets. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, რომელთა შორისაც არიან საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები.

ნათია ტუხაშვილი

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

წმინდა მოგება	
Δ	**+ 147.64%**
2022	7,875
2021	3,180

მთლიანი აქტივები	
Δ	**+ 14.41%**
2022	453,256
2021	396,179

სასესხო პორტფელი	
Δ	**+ 11.74%**
2022	388,795
2021	347,941

მთლიანი კაპიტალი	
Δ	**+ 11.43%**
2022	67,073
2021	60,195

ROA	
Δ	**+ 1.02%**
2022	1.85%
2021	0.83%

ROE	
Δ	**+ 7.00%**
2022	12.38%
2021	5.38%

უმოქმედო სესხები	
Δ	**+ 0.40%**
2022	8.70%
2021	8.30%

რისკის ხარჯი	
Δ	**+ 0.91%**
2022	1.68%
2021	0.77%

ხარჯი შემოსავალთან მიმართებით	
Δ	**-6.07%**
2022	76.84%
2021	82.91%

ფილიალები	
Δ	**0.00%**
2022	50
2021	50

მომხმარებლები	
Δ	**- 1.10%**
2022	118,453
2021	119,775

თანამშრომლები	
Δ	**+ 4.92%**
2022	1,045
2021	996

ნათია ნემსიწვერიძე

თავმჯდომარის განცხადება

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

მას შემდეგ, რაც COVID-19-ის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მაღალი ინფლაცია გამოიწვია, შეცვალა რა სიღარიბის შემცირების გლობალური ტენდენცია, ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების მოწმე გახდა. საქმე ამკარად წარმოუდგენელი მასშტაბის ადამიანურ ტრაგედიასთან გვაქვს. ქართველების უმეტესობამ ომისა და მისი დამანგრეველი შედეგების შესახებ მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან როდი იცის. ამიტომ, ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

უკრაინაში ომის გამო, პოტენციური ეკონომიკური რისკები, რომლებიც წინა წლის ანგარიშშია აღწერილი, 2022 წელს არ განხორციელებულა. ამის საპირისპიროდ, ხალხისა და კაპიტალის ნაკადებმა ზომიერად დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკურ აღდგენაზე, რამაც მშპ-ს 10.1%-იანი წლიური ზრდა გამოიწვია.

გაუმჯობესებულმა ექსპორტმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა და ფულადი გზავნილების ზრდამ, გონივრული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ფონზე, საქართველოს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა თითქმის ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი (იხ. თავი „მაკროეკონომიკური და ბაზრის მიმოხილვა"), რაც Fitch Ratings-ის მიერ სუვერენული რეიტინგის „BB"-მდე გაუმჯობესებით აღინიშნა. ეს კი საინვესტიციო რეიტინგს მხოლოდ ერთი ნაბიჯით გვაშორებს[1].

ამავდროულად, ქვეყნის ძლიერი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და რეგიონში პოტენციურად მზარდი ეკონომიკური როლი არ არის მოსახლეობის კეთილდღეობის უპირობო გარანტი. სიღარიბისა და უთანასწორობის დონის შემცირება ავტომატურად არ მოხდება, არამედ მოითხოვს ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის სექტორების აქტიურ განვითარებაზე, ქალთა და ახალგაზრდობის გაძლიერებულ მონაწილეობაზე ეკონომიკურ ცხოვრებაში და მიგრაციის ეფექტიან მართვაზე.

„კრისტალის" მიზანია წვლილი შეიტანოს ფინანსური ჩართულობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევაში იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს აქციონერებისათვის გრძელვადიანი ეკონომიკური ღირებულების შექმნას. შესაბამისად, ჩვენ ვმოქმედებთ როგორც განვითარების პლატფორმა მიკრო და მცირე მეწარმეებისა და მცირე ფერმერებისათვის. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა და სერვისების ფართო ხელმისაწვდომობა მაღალკონკურენტულ ბაზარზე კვლავ ზრდის საშუალებას გვაძლევს. სტრატეგიულ ანგარიშში შეგიძლიათ მეტი წაიკითხოთ ჩვენი ბიზნესმოდელის, კონკურენტული უპირატესობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

[1] 2023 წლის 27 იანვარს, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ „Fitch Ratings" საქართველოს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (IDR) 'BB' დაადასტურა, პროგნოზი კი „სტაბილურიდან" „პოზიტიურით" შეცვალა.

ნათია ნემსიწვერიძე

2022 წელი „კრისტალისთვის" პრაქტიკულად ყველა ძირითადი ინდიკატორის ზრდებით იყო გამორჩეული. ჩვენი სებებში პორტფელი 11.7%-ით გაიზარდა, ხარჯისა და შემოსავლის კოეფიციენტი 76.8%-მდე (82.9% 2021 წელს) შემცირდა, უკუგებამ კაპიტალზე კი 12.4%-ს (5.4% 2021 წელს) მიაღწია. ჩვენ ასევე შევძელით კაპიტალის ადეკვატურობის მაღალი, 17.93%-იანი მაჩვენებლის შენარჩუნება (20.47% - 2021 წელს).

მივაღწიეთ ხელშესახებ პროგრესს მმართველობის სისტემის განმტკიცებისა (იხილეთ თავი „მმართველობითი ანგარიში") და საბანკო ლიცენზიისათვის მომზადების კუთხით. ამ ტენდენციის საფუძველზე, 2023 წელს „კრისტალი" მოელის COVID 19-ის პერიოდამდელ მაჩვენებლებზე დაბრუნებას. როგორც ეს 2023-2025 წლების ახალი კორპორაციული სტრატეგიით არის განსაზღვრული, ჩვენ დავიწყებთ სვლას საუკეთესო მდგრადი ბანკის შექმნისაკენ. აღსანიშნავია, რომ „კრისტალმა" უზბეკეთის რეგიონულ MFI-სთან გრძელვადიანი პარტნიორობა დაამყარა და ამგვარად გეოგრაფიული გაფართოებისაკენ პირველი აშკარა ნაბიჯი გადადგა.

ფინანსურ შემოსავალთან ერთად (მოგება), ჩვენ თანაბარ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანებისა და პლანეტის კეთილდღეობას და იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ეს ყოველივე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამ მოხსენებიდან მალევე, ჩვენ გამოვაქვეყნებთ „კრისტალის" 2022 წლის მდგრადობის ანგარიშს, რომელიც გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით მიღებულ შედეგებს ასახავს.

2023 წელს „კრისტალს" 25 წელი შეუსრულდება. გვსურს ეს იუბილე აღვნიშნოთ საბანკო ლიცენზიის მოპოვებით, ფინანსური მაჩვენებლებისა და მომგებიანობის პანდემიამდელი პერიოდის დონეზე დაბრუნებით და რეგიონული გაფართოების სტრატეგიის განსახორციელებლად პრეცედენტის შექმნით.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს აქციონერებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, პარტნიორებს, ტექნიკური მხარდაჭერის დამფინანსებლებსა და „კრისტალის" გასაოცარ გუნდს, მათ შორის, მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს კოლეგებს.

პატივისცემით,

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

[2] კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (CAR) განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის წესებისა და მითითებების და არა ფასს-ის საფუძველზე.

ნათია ნემსიძე

უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი

ძვირფასო აქციონერებო,

2022 წელი თავდაუზოგავი შრომისა და შედეგების გაუმჯობესების წელიწადი იყო, როგორც საქართველოს ეკონომიკის, ისე „კრისტალისათვის". პანდემიითა და უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებული ომით გამოწვეული კრიზებისის წარმატებით დაძლევის შემდეგ, კომპანიამ გააუმჯობესა მომგებიანობა და, ამავდროულად, შეიტანა რა მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანიზაციულ სტრუქტურაში, პროცესებსა და სისტემებში, საგულისხმოდ გააძლიერა ჩვენი ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის წარმატება ყველაზე ნათლად ციფრებით გამოიხატება: ისე როგორც 2021 წელს, წელსაც გავაუმჯობესეთ ჩვენი შედეგები: სასესხო პორტფელმა 400 მლნ ლარს[3] გადააჭარბა, ხოლო ჩვენი აქტიური მსესხებლების რაოდენობამ 120,000-ს მიაღწია. ჩვენი გუნდი ფოკუსირებული იყო **მომგებიანობის გაუმჯობესებაზე**, რაც **წარმატებით განხორციელდა** ბიზნესის წარმოების გაზრდილი ხარჯების, რეგიონული არასტაბილურობის, გამკაცრებული სარეგულაციო მოთხოვნების და ინფლაციის რეკორდული მაჩვენებლის მიუხედავად. **შედეგად, „კრისტალის" უკუგებამ კაპიტალზე 12.4%-ს მიაღწია და 2021 წელთან შედარებით 7%-ით გაუმჯობესდა, პორტფელი 11.7%-ით გაიზარდა.** მიკროსეგმენტის მომხმარებლების კვალიფიციური გარე კვლევის მიხედვით, **„კრისტალს" ასევე ჰქონდა მომხმარებელთა კმაყოფილებისა (10-დან 9.3) და რეკომენდაციის გაწევის (10-დან 9) ყველაზე მაღალი, ხოლო ლოიალობის რიგით მეორე მაჩვენებელი (10-დან 9.4), რითაც გადაუსწრო მსხვილ სისტემურ ბანკებსა და ბაზრის სხვა მოთამაშეებს.** ჩვენი **სამომხმარებლო ლოიალობის ინდექსი (NPS) რეკორდულად მაღალი იყო და 86 ქულას შეადგენდა. გარდა ამისა, ჩვენ ფინანსურ ინდუსტრიაში რიგით მე-5 ყველაზე ცნობად ბრენდად დაგვასახელეს.**

2022 წელს ჩვენ გავეცით 154 მლნ ლარი მცირე ბიზნესისთვის, 99 მლნ ლარი კი - სოფლის მეურნეობისთვის, რაც რეკორდული შედეგია წინა წლებთან შედარებით. ამავდროულად, მაღალი საკრედიტო რისკის გონივრული მართვის წყალობით, შენარჩუნდა აქტივების ხარისხი. მინდა ხაზგასმით გამოვყო სალიზინგო მიმართულების წარმატება, რომლის პორტფელიც 73.8%-ით გაიზარდა და 10 მლნ ლარს მიაღწია. 63%-ით გაიზარდა ლიზინგის მომხმარებელთა რაოდენობა, იურიდიული პირების, თვითდასაქმებულებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ჩათვლით.

რაც შეეხება არასაკრედიტო ოპერაციებს, უცხოური ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებმა 2022 წელს მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი შემოსავალი, ვინაიდან კონვერტაციისა და გადაფასების ოპერაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5.5 მლნ ლარს გადააჭარბა. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილები და კომუნალური გადასახადები - 59,520 მომხმარებლის მომსახურების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 700,000 ლარი შეადგინა.

[3] სასესხო პორტფელის ძირი თანხა

ნათია ნემსიწვერიძე

წელიწადი აგრეთვე ნაყოფიერი გამოდგა ფონდების მოზიდვის გუნდისათვის, ჩვენ განვაგრძეთ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი ხანგრძლივი და ახალი საერთაშორისო პარტნიორებისაგან, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი, როგორც საიმედო ფინანსური ინსტიტუტის რეპუტაცია და გახსნა დამატებითი შესაძლებლობები ჩვენი ძირითადი მისიის განსახორციელებლად. 2022 წელს მოზიდული ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 240 მლნ ლარი შეადგინა, რაც 53 მლნ ლარით მეტია 2021 წელთან შედარებით.

ჩვენი წარმატებული საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი: „კრისტალმა" მიიღო მნიშვნელოვანი აღიარება ბიზნესის კეთების კუთხით:

- ზედიზედ მეოთხედ მოვიგეთ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდო BARTA–2022, რაც ადასტურებს, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციული ღირებულების - გამჭვირვალობის ერთგული ვართ.
- Fitch Ratings-მა თავისი პროგნოზით 2022 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა „კრისტალის" გრძელვადიანი სტაბილურობა, რაც გლობალური გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანი წარმატებაა.
- GITI–2022–ის IT ინოვაციების დაჯილდოებაზე „კრისტალ კონსალტინგის" მიერ მცირე ბიზნესისათვის შემუშავებული ERP–სისტემა წლის საუკეთესო კომპლექსურ ბიზნესგადაწყვეტად დასახელდა.

უკრაინაში ამ საშინელი კონფლიქტის მიმდინარეობისას, ჩვენ სხვა კომპანიებთან ერთად დახმარება გავუწიეთ საქართველოში ჩამოსულ უკრაინელებს და გავაგზავნეთ ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში. ვამაყობ, რომ ჩვენმა კომპანიამ და მისმა თანამშრომლებმა განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწიეს თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლ უკრაინელ ხალხს.

ამავდროულად, ჩვენ ორიენტირებულები ვიყავით სამომავლო განვითარებაზე, აქტიურად ვმუშაობდით საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

ჩვენ განვაგრძეთ ფართომასშტაბიანი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება „კრისტალის" ორგანიზაციული სტრუქტურის, პროცესებისა და პროდუქტების ბანკის სტრუქტურასთან, პროცესებთან და პროდუქტებთან დაახლოების მიზნით. პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიკრობანკების შესახებ. როგორც ბევრმა თქვენგანმა იცის, „კრისტალი" მტკიცედ უჭერდა მხარს ამ საკანონმდებლო რეფორმის მიღებას, რომელიც მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია და ჩვენს კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, გაცილებით უკეთესად მოემსახუროს მომხმარებლებს. მიკრობანკად ტრანსფორმაცია ასევე დადებითად იმოქმედებს მომხმარებელთა შენარჩუნების კუთხით და გაზრდის არასაკრედიტო შემოსავლებს, აგრეთვე ხელს შეუწყობს საკრედიტო პორტფელის ზრდას, რაც შემდგომში მასშტაბის ეფექტიანობასაც გაზრდის. მკაცრად რეგულირებული საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელი დაბალი რისკებისა და საქართველოს სტაბილური მაკროპრუდენციული მაჩვენებლების ფონზე, ტრანსფორმაცია ასევე განამტკიცებს „კრისტალის" პოზიციონირებას და გაზრდის კომპანიის ღირებულებას.

აღსანიშნავია, **რომ 2022 წელს დაგეგმილი ყველა პრიორიტეტული მიმართულება - პროცესების ავტომატიზაცია, ფინანსური შედეგების გაუმჯობესება, ორგანიზაციული**

ნათია ნემსიწვერიძე

შესაძლებლობების გაძლიერება და შვილობილი კომპანიების განვითარება - წარმატებით განვაგრძობთ და თითოეულ სფეროში ხელშესახებ პროგრესს მივაღწიეთ.

პერსპექტივა

საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები და „კრისტალის" მძლავრი ბიზნესმოდელი სამომავლო პერსპექტივას უზრუნველყოფს. არსებული გამოწვევების ფონზე, „კრისტალის" წარმატება დადებითად აისახება არა მხოლოდ ჩვენი კომპანიის მდგრად განვითარებაზე, არამედ მთლიანად საქართველოს მეწარმეობასა და ეკონომიკურ აღორძინებაზე. მჯერა, რომ 2023 წელსაც განვაგრძობთ იმავე კურსით სვლას და ერთობლივი გუნდური ძალისხმევით შევძლებთ „კრისტალი" წარმატებულ და ძლიერ ბანკად ვაქციოთ. 2023 წლის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. საბანკო ტრანსფორმაციის პროგრამის წარმატებით დასრულება.
2. ფინანსური შედეგების შემდგომი გაუმჯობესება.
3. სესხის განაცხადების დამუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია.
4. ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

ჩვენი გუნდი

ასეთი მასშტაბური პროექტებისა და ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ურთიერთგაგების, ერთმანეთის შრომის დაფასებისა და პატივისცემის, ასევე მუდმივი ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლების გარეშე. **მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელი გამოირჩეოდა ბაზარზე მნიშვნელოვანი გაურკვევლობით, ძლიერი გუნდური მუშაობა და მენეჯერული მორსმჭვრეტელობა დაგვებმარა მნიშვნელოვანი ცვლილებების წარმატებით მართვაში.**

ალბათ ვერ შევძლებ სრულად გამოვხატო ჩემი მადლიერება „კრისტალის" უბადლო გუნდის, სამეთვალყურეო საბჭოს, ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორის მიმართ იმ თავდადებისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც მათ გასული წლის განმავლობაში გამოავლინეს. მე გულწრფელად მადლობელი ვარ ჩვენი თანამშრომლებისა საქმისადმი გამოხატული ერთგულებისათვის, ერთმანეთის მიმართ ზრუნვისათვის, მუდმივი სწრაფვისათვის დაუღალავად ეშსახურონ ჩვენს მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმატება მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, ის, პირველ ყოვლისა, საქართველოს მასშტაბით ჩვენი 1000 პროფესიონალი თანამშრომლის დამსახურებაა!

წარმატება „კრისტალისთვის" ჩვენს გუნდს მოაქვს!

ილია რევია


უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ნათია ხელიხვეიძე

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტი

2022 წელი რთული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრას. ამავდროულად, მეტად გაურკვეველი და რთული გეოპოლიტიკური გარემო, რა თქმა უნდა, იყო და კვლავაც არის შეშფოთების საგანი. ამას დაემატა ომიკრონის შტამის შემთხვევების საგრძნობად ზრდა წლის დასაწყისში და 2-ნიშნა ინფლაცია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მდგრადობა. მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან მოიხსნა კოვიდის ყოველგვარი რეგულაცია, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა მაკროპარამეტრებზე. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საგრძნობლად მოიმატა მიგრაციამ საქართველოში, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა გზავნილებისა და ტურიზმიდან შემოდინებების კუთხით. აღნიშნულს თან დაერთო ქართველების საგრძნობლად მომატებული მიგრაცია უცხოეთში. კერძოდ, შემოსავლები ტურიზმიდან თითქმის 182%-ით გაიზარდა, საგრძნობლად მოიმატა ფულადმა გზავნილებმაც და წინა წელიწადთან შედარებით 86.1%-ით გაიზარდა. დამატებით, გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (61%), ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 4.1%-მდე შემცირდა. დიდი გავლენა ჰქონდა დაკრედიტების მკვეთრ ზრდას. ამასთანავე, ლარის გამყარებამ საგრძნობლად შეამცირა ლარის ეკვივალენტში იმპორტის ზრდა. შედეგად, 2022 წელს, ეკონომიკის ნომინალური ზრდა 20% დაფიქსირდა, თუმცა მაღალი ინფლაციის გამო წლის რეალური მშპ-ს საშუალო ზრდამ 10.1% შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2020-2022 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გაზარდა სამეწარმეო ხარჯები. შესაბამისად, შეიქმნა ინფლაციის ზრდის რისკი, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მთელი წლის განმავლობაში მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნა. პანდემიის პერიოდში ინფლაციის ზრდაზე მოქმედი ფაქტორებისა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების ზრდის შედეგად, საშუალო

ნათია ხუციშვილი

წლიური ინფლაცია 2021 წელთან შედარებით 2.3 პპ-ით გაიზარდა და 11.9% შეადგინა. 2022 წელს ამას დაემატა რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც საგრძნობლად გაზარდა სამომხმარებლო პროდუქტების ფასები. ასევე, რუსეთ-უკრაინიდან დიდი მიგრაციის გამო, გაიზარდა მოთხოვნაც, რამაც ფასების მოკლერი ზრდა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, 2023 წელს ინფლაცია უკვე დაუბრუნდა სამიზნე მაჩვენებელს - 3%-ს. ზოგადად, ინფლაცია მნიშვნელოვან მსოფლიო გამოწვევად გადაიქცა პანდემიის დაწყების შემდეგ.

2021-2022 წლებში ინფლაციის მოსათოკად, რეგულატორმა რამდენჯერმე გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ჯამურად 2021 წელს 2.5, ხოლო 2022 წელს - 0.5 საპროცენტო პუნქტით. შედეგად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2022 წლის ბოლოს 11.0% დაფიქსირდა.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკი

დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განაახლა დასაქმებისა და უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, თვითდასაქმებულად აღარ ჩაითვლება საკუთარ საოჯახო მეურნეობაში მომუშავე პირი, რომელიც პროდუქციის უმეტეს ნაწილს (50%-ზე მეტს) პირადი მოხმარებისათვის აწარმოებს. ასეთი პირები გადანაწილდებიან უმუშევართა ან მოსახლეობის იმ კატეგორიაში, რომელიც სამუშაო ძალად არ მოიაზრება. ახალი სტანდარტის დანერგვის გამო, აუცილებელი გახდა ისტორიული მონაცემების გადაანგარიშება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზრუნველყო 2010 წლიდან არსებული მონაცემების განახლება.

2021 წელთან შედარებით 2022 წელს უმუშევრობის დონე 3.3 საპროცენტო პუნქტით შემცირდა და 17.3% შეადგინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო მთავრობისა და ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით, მომატებული მოთხოვნით რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციის გამო და საქართველოდან უმუშევარი ხალხის გადინებით.

ნაირა ნექსიწვაძე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ექსპორტი და იმპორტი

ეკონომიკის გახსნის და ბოლო 2 წლის განმავლობაში ორნიშნა მშპ-ს ფონზე, 2022 წელს საქონლის ექსპორტმა 5.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებსა (48.2%) და ევროკავშირზე (15.4%).

ეკონომიკის გახსნამ, რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციამ, ტურიზმის აღდგენამ, ვალუტის გამყარებამ და გზავნილების მატებამ გაზარდა შიდა მოთხოვნა და, შესაბამისად, იმპორტიც. 2022 წელს საქონლის იმპორტმა 13.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 34.6%-ით მეტია. იმპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე (27.4%), ევროკავშირსა (22.6%) და თურქეთზე (17.5%).

ტურიზმი

2022 წლისათვის ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი) 7.6%-ით. ასევე საგრძნობი გაუმჯობესებაა წლიდან წლამდეც. კერძოდ, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 182.5%–ით გაიზარდა შემოსავლები ტურიზმიდან და 3,517 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ნაცია ნებისმიერი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2022 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება წლიურად 86.1%-ით (2,023 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა და 4,372 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის მთავარი კონტრიბუტორი რუსეთიდან გზავნილებია, კერძოდ, 2021 წელთან შედარებით 402%–იანი ზრდა დაფიქსირდა.

ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წილი – 47.5%, რუსეთზე მოდიოდა (2,068 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 29.8 პპ-ით ზრდას), მეორე ადგილი 9.9%-ით ეჭირა იტალიას (431.7 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 6.5 პპ-ით შემცირებას), რომელსაც 7.5%-ით მოსდევდა აშშ (327 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 4.6 პპ-ით შემცირებას) და საბერძნეთი 5.1%-ით (223.9 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 5.1 პპ-ით შემცირებას).




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით 2022 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 2,000 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 61.1%-ით მეტია 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით. ასევე ეს არის ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.


ამავე მონაცემებით 2021 წელს განხორციელებული FDI-ის ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ფინანსურ სექტორზე - 26.3%, რომელსაც მოსდევდა უძრავი ქონება 20.3%-ით, წყალმომარაგება 9.3%-ით, ენერგეტიკა 7.5%-ით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიმდინარე ანგარიში

2022 წელს 2021 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილმა გზავნილებმა, ექსპორტმა, უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა, ვალუტის გამყარებამ და ეკონომიკის გახსნამ დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. 2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 4.1% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის რეზერვები

2022 წელს 2021 წელთან შედარებით ლარის სამუალო წლიური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 9.5%-ით, ევროსთან მიმართებით 19.3%-ით და რუსულ რუბლთან მიმართებით 1.1%-ით გაუფასურდა და თურქული ლირის მიმართ 52.2%-ით გამყარდა.

ლარის გაცვლითი კურსის გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსისა და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის, წლიდან წლამდე, შესაბამისად, 24.9%-ითა და 15%-ით ზრდაში აისახა. 2021 წლის უცხოური ვალუტის რეზერვების რაოდენობამ 4,902 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საკრედიტო ბაზარი

საკრედიტო ბაზარი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100 ათასი ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით კომერციული ბანკების პორტფელი 14.24%-ით (1,057 მლნ ლარი) გაიზარდა და 8,478 მლნ ლარი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი გაიზარდა 15.72%-ით (214 მლნ ლარი) და 1,574 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საკრედიტო ბაზრის ჯამური ზომა გაიზარდა 14.47%-ით (1,271 მლნ ლარი) და 10,052 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით სასესხო კონტრაქტების ბაზარი გაიზარდა 2.74%-ით (91.7 ათასი) და 3.43 მლნ კონტრაქტი შეადგინა. კომერციული ბანკების კონტრაქტები შემცირდა 0.33%-ით (8.7 ათასი) და 2.61 მლნ კონტრაქტი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები კი 13.82%-ით (100.4 ათასი) შემცირდა და 827.2 ათასი სასესხო კონტრაქტი შეადგინა.

საერთაშორისო რეიტინგები

- S&P გლობალური რეიტინგი

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური მაკროეკონომიკური ტენდენციები და მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი აისახა S&P საკრედიტო რეიტინგშიც, რომელშიც საქართველოს პერსპექტივის შეფასება პოზიტიურიდან ნეგატიურით შეიცვალა, ხოლო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად BB დონეზე დარჩა. 2022 წლის პოზიტიური შედეგებიდან გამომდინარე, S&P-მ გააუმჯობესა საქართველოს პერსპექტივის შეფასება ნეგატიურად სტაბილურამდე, ხოლო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად დატოვა BB დონეზე.

კორპორაციული სტრატეგია

მიკრობანკის მოახლოებული ლიცენზირების და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გაჩენის ფონზე, ჩვენ ახლებურად შევხედეთ ჩვენს მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ამავდროულად, განვაახლეთ ჩვენი ბრენდის დაპირება, ჩამოვაყალიბეთ ახლებური ხედვა მომხმარებელთა სეგმენტის, პროდუქტებისა და იმ სერვისების მიმართ, რომელთა შეთავაზებასაც ვგეგმავთ.

„კრისტალის" განახლებული **მისიაა გაამლიეროს მეწარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით,** რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

განახლებული ხედვის მიხედვით, „კრისტალი" უნდა იყოს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/ გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის", როგორც **ბრენდის დაპირებაა, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა,** უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალური მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

„კრისტალის" **სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და, ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია,** რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის კონვერტაციას, მობილურ ბანკს, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურებას როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით **სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებზე.** მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, „კრისტალი" გააგრძელებს მომხმარებელთა იმავე სეგმენტის მომსახურებას, თანდათანობით მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს ბევრად უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით და შექმნის მეტ ღირებულებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, სტრატეგიული ამოცანები შემდეგია:


1. წამყვანი პოზიციის მოპოვება ბაზრის მიკროსაფინანსო სეგმენტში და გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.
2. ძირითად (მიკრო) მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში ბიზნესის წილის თანმიმდევრული ზრდა.
3. შემნახველი პროდუქტების დანერგვა, ფოკუსირება ძირითად მომხმარებლებზე ან იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც ამჟამად მცირე თანხა აქვთ დასაზოგი, მაგრამ არ აქვთ

ბანკებთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე მაღალი შემოსავლის მქონე პირებზე და კორპორაციებზე.

4. არსებული საკრედიტო პროდუქტების (სესხები, ლიზინგი და ა.შ.) შემდგომი განვითარება.
5. არასაკრედიტო პროდუქტების შემუშავება.
6. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და ოპერაციული პროცედურების განახლება ტრანსფორმირებული ინსტიტუტის საჭიროებების მხარდასაჭერად.
7. ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ბიზნესმოდელი

„კრისტალი" არის წამყვანი ქართული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას სთავაზობს.
ჩვენ ფოკუსირებული ვართ მიკროსაფინანსო მომხმარებლისათვის საუკეთესო და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებაზე ფილიალებისა და ციფრული არხების გამოყენებით.
ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს „კრისტალის" ბიზნესმოდელს:



* *სამომავლო პროდუქტები და სეგმენტები*

ჩვენი საკრედიტო მიმართულება საცალო და ბიზნეს მომხმარებლებს პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს, ხოლო კომფორტული და ინოვაციური მიკროსაფინანსო გადაწყვეტილებები, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებით გათვალისწინებულ პერსონალიზებულ კონსულტაციებთან და განვითარებაზე მიმართულ სერვისებთან ერთად მომხმარებელთათვის განსაკუთრებულ გამოცდილებას უზრუნველყოფს.

ნათია ხუციშვილი

ჩვენი არასაკრედიტო მიმართულება მომხმარებლებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, როგორიცაა გადახდები, ფულადი გზავნილები, ვალუტის კონვერტაცია, დაზღვევა და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

„კრისტალის" დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და მიღებულია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენს. გარდა ამისა, „კრისტალმა" შეიმუშავა დაფინანსების ალტერნატიული წყარო, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება.

ბიზნესის მნიშვნელოვანი სიახლეები

2022 წელი, გამოწვევებით აღსავსე საოპერაციო გარემოს მიუხედავად, ბიზნესისათვის შედეგების გაუმჯობესების წელიწადი იყო.

2022 წელს „კრისტალის" საკრედიტო პორტფელი დაახლოებით 12%-ით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 400 მლნ ლარი[4] შეადგინა. აქტიური საკრედიტო კლიენტების რაოდენობა 120,000–ს გადასცდა.

2022 წელს კომპანია 180,000-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%-ით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აქცენტი უმთავრესად აგრო და მიკროდაკრედიტებაზე გაკეთდა და წლის განმავლობაში დაახლოებით 50 მლნ ლარით გაიზარდა, რაც 2021 წელთან შედარებით 41%-ით მეტია.

ეს წელიწადი პროდუქტების განახლების კუთხითაც საკმაოდ აქტიური იყო. წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ავტოპროდუქტის მიმართულებით, სრულად განახლდა მისი მახასიათებლები და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს მოერგო. პროდუქტის გაყიდვაში მთლიანი ქსელი ჩაერთო და მომხმარებელთა უფრო ფართო სეგმენტისათვის გახდა ხელმისაწვდომი. შედეგად, პორტფელი 300%-ით გაიზარდა და წლის ბოლოს 14.7 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს მთავარი ფოკუსი გაკეთდა 30,000 ლარამდე სესხის გაცემის პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაზე. წლის განმავლობაში კომპანია აღნიშნული მიმართულებით 80,000-მდე მომხმარებელს მოემსახურა. გაცემული სესხების მოცულობამ 310 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელზე 23%-ით მეტია.

კომპანია წარმატებით ახორციელებს DFC/USAID/Sida საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში სესხების გაცემას. გარანტიით გაცემულია 6000-ზე მეტი სესხი 23 მლნ ლარის მოცულობით. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სირთულეების ფონზე, საგარანტიო სქემა გარკვეულ მოქნილობასა და სითამამეს მატებს კომპანიას დაფინანსებისას, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას ფინანსურ

[4] სასესხო პორტფელის ძირი თანხა

ნათია ხუციშვილი

რესურსებზე. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ საგარანტიო მექანიზმით 75-მდე პრობლემური სესხის ანაზღაურება შეძლო, რომელთა მოცულობაც დაახლოებით 170,000 ლარია.

კომპანია აქტიურად განაგრძობს მწვანე მიმართულების განვითარებას. 2022 წელს მწვანე მიზნობრიობის დაფინანსებით გაცემული თანხა 22 მლნ-ზე მეტ ლარს შეადგენს, რაც 46%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული ასევე მოიცავს „კრისტალის" მომხმარებლისათვის მზის პანელების (მზის ელექტროსადგურის) დაფინანსებას, რაც ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

არასაკრედიტო პროდუქტების განვითარება მიმდინარე წელს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. მაგალითად, კომპანიაში დაინერგა ახალი არასაკრედიტო პროდუქტი - მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) მომსახურება, რომელიც, როგორც დამატებითი კომფორტი, საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

2022 წლის ბოლოს მნიშვნელოვნად გამარტივდა ფულადი გზავნილების მიღების პროცესი, რამაც საშუალება მისცა კომპანიას წლის განმავლობაში 183,000-მდე მომხმარებელს მომსახურებოდა. ჯამურად 2022 წელს კომპანიამ ფულადი გზავნილებიდან 650,000 ლარამდე შემოსავალი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით მეტია.

2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სადაზღვევო პროდუქტის მოდიფიცირებისა და ახალი სადაზღვევო პროდუქტების დანერგვის კუთხით. კერძოდ, მომხმარებლებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, დააზღვიონ რისკები სიცოცხლის, ავტო და აგრო მიმართულებით. პარტნიორი სადაზღვევო კომპანიების მრავალფეროვნება კი მომხმარებლებს მათზე მორგებული პირობების არჩევის შესაძლებლობას აძლევს. ჯამურად დაზღვეულია 90,000-მდე კლიენტი. 2022 წლის განმავლობაში სიცოცხლის დაზღვევის პორტფელი 130 მლნ ლარით გაიზარდა და წლის ბოლოს დაახლოებით 300 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალის მოცულობამ 420,000 ლარამდე შეადგინა.

2022 წლის გაზაფხულიდან კომპანიაში დაინერგა სრულიად ახალი სადაზღვევო პროდუქტი - ავტოდაზღვევა, რომელიც, თავისი შინაარსით, მორგებულია მომხმარებლებსა და ავტოსესხის პროდუქტის საჭიროებებზე. ამ მიმართულებით დაზღვევის პორტფელი 12 მლნ ლარს შეადგენს, კლიენტთა რაოდენობა კი 1,100-ს აღემატება.

2022 წლის ივლისიდან გაფართოვდა „ფეი ბოჭვების" ჭრელი, რამაც საშუალება მისცა კომპანიას 500 ლარამდე ტრანზაქციები სრულად გადმოეტანა სალაროებიდან. განიტვირთა სალაროებთან რიგები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომხმარებელთა მომსახურების პროცესი.

მომხმარებლებისა და პროცესების ხარისხის მიმართ „კრისტალის" მიერ გამოჩენილმა მუდმივმა ყურადღებამ სათანადო შედეგი გამოიღო. 2022 წელს ACT-ის მიერ ჩატარებული ბრენდისა და ბაზრის კვლევის მიხედვით, „კრისტალი" მსხვილ სისტემურ ბანკებს შორის წამყვან პოზიციას იკავებს: კომპანიის მომხმარებელთა კმაყოფილების საშუალო ქულა 10 ქულიანი სკალიდან 9.3-ს აღწევს.

ლიზინგი

ლიზინგი სს „მისო კრისტალის" სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც 2020 წლიდან წარმატებით ვითარდება. დღეისათვის ლიზინგის ჯამური პორტფელი 10 მლნ ლარს შეადგენს და 250 მომხმარებელს მოიცავს. მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი მეწარმე იურიდიული პირია.

2022 წლის განმავლობაში პორტფელის ზრდამ 74% შეადგინა. პორტფელში, ძირითადად, კონცენტრირებულია შემდეგი სექტორები: მშენებლობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, წარმოება, სოფლის მეურნეობა. ამ უკანასკნელის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ მართულმა იაფი აგროლიზინგის პროგრამამ.

გასული წლის განმავლობაში მომგებიანობამ (yield) 26.4% შეადგინა. ასევე მკვეთრად გაუმჯობესდა საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი და ეფექტიანობა. „კრისტალმა" გახსნა წარმომადგენლობა ქალაქ ბათუმში, ასევე იგეგმება შესვლა სხვადასხვა რეგიონში. 2023 წელს კომპანიის ამოცანაა, თბილისსა და ბათუმთან ერთად, ქუთაისშიც იყოს წარმოდგენილი.

პორტფელის ზრდასთან ერთად, მიღწეულ იქნა პორტფელის ხარისხის დაგეგმილი პარამეტრებიც. NPL-ი (PAR 90+restructured) 5.5%-ს შეადგენს. განვითარდა შეწყვეტილი კონტრაქტების რემარკეტინგის პროცესი. შედეგად, აღნიშნული ოპერაციების ჯამური დანაკარგი ნულს უტოლდება.

ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება

2022 წელს პანდემიის ეფექტს დაერთო რეგიონული არასტაბილურობა, ომი უკრაინაში და გაზრდილი ინფლაციური წნეხი. ეს ყოველივე ზიანს აყენებდა ქვეყნის იმიჯს, რაც ავტომატურად აისახებოდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. გამოწვევების საპასუხოდ, „კრისტალის" გუნდმა გადაწყვიტა ყოველთვიურად მოემზადებინა და პარტნიორებისათვის მიეწოდებინა სანდო მასალა მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების, ასევე „კრისტალის" ფინანსური და საოპერაციო შედეგების შესახებ. ამგვარმა გამჭვირვალე მიდგომამ შედეგი გამოიღო და წლის განმავლობაში გუნდმა დაფინანსების არათუ შენარჩუნება, არამედ გაზრდა და ახალი პარტნიორების მოზიდვაც შეძლო.

2022 წელს შესრულდა 24 ტრანზაქცია, ჯამში 238.3 მლნ ლარის მოცულობით, აქედან:

- 6 - საერთაშორისო პარტნიორთან (100.3 მლნ ლარი)
- 18 - ადგილობრივ ბანკთან (138 მლნ ლარი).

ვალუტების თანაფარდობამ კი 82% ლარი და 18% აშშ დოლარი შეადგინა.

პარალელურად, „კრისტალს" არ შეუწყვეტია დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება და კაპიტალის ბაზარზე აქტიურად მუშაობა. საბროკერო სააგენტო Galt & Taggart-თან თანამშრომლობით, კომპანიამ 25 მლნ ლარის მოცულობის ტრანზაქციაზე მუშაობა დაიწყო. აღნიშნული ტრანზაქცია „კრისტალისათვის" რიგით მე-3 გარიგება იყო, რამაც მას ადგილობრივ ბაზარზე სანდოობა შემატა და გაზარდა მისით დაინტერესება. საბოლოოდ, შეთანხმება აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს ბანკს შორის შედგა. მათი თანამონაწილეობა, შესაბამისად, 75%-ითა და 25%-ით განისაზღვრა. აღნიშნული ტრანზაქციის მიმართ ინტერესს აღძრავდა ისიც, რომ ეს იყო პირველი გარიგება, რომელიც „კრისტალსა" და ADB-ს შორის დაიდო. გარდა ამისა, გამოიცა სპეციალური დანიშნულების ობლიგაციები, კერძოდ, ქალი მეწარმეების დაფინანსების გასაძლიერებლად. ტრანზაქციის დასრულების თარიღად 2023 წლის 8 თებერვალი განისაზღვრა.

დაფინანსების ზემოაღნიშნული წყაროების (ადგილობრივი ბანკები, საერთაშორისო პარტნიორები, კაპიტალის ბაზარი) გარდა, „კრისტალის" გუნდმა ალტერნატიული დაფინანსების არხის განვითარება დაისახა მიზნად. ვიდრე კომპანია მიკრობანკის სტატუსსა და დეპოზიტების მიღების უფლებას მოიპოვებდა, დაიგეგმა მომხმარებლისათვის თამასუქის პროდუქტის შეთავაზება, რაც ამ მიმართულებით წარმატებით შესრულებული სამუშაოების შემდეგ 2022 წლის მე-4 კვარტალში ოფიციალურად დაინერგა.

გართულებული საერთაშორისო სიტუაციის ფონზე, „კრისტალმა" გამოწვევებს ჯეროვნად უპასუხა და წელიწადი, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო FITCH RATINGS-ის შეფასებით, სტაბილურად დაასრულა. სააგენტოსთან პარტნიორობა 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს და ამ ხნის განმავლობაში მხარეებმა ნდობაზე დაფუძნებული, მტკიცე თანამშრომლობა განავითარეს.

2022 წელს განხორციელებული ტრანზაქციები

FMO BlueOrchard symbiotics Developing World Markets

Triodos Investment Management

TBC BANK PASHA Bank

2022 წლის ტექნიკური დახმარება

დაფინანსების პროცესის პარალელურად, გუნდმა ტექნიკური დახმარების მიმართულებითაც იმუშავა. წლის დასაწყისიდან მთავარი აქცენტი საბანკო ტრანსფორმაციის პროექტის მხარდაჭერაზე გაკეთდა და საგრანტო პროგრამების მიზნობრიობაც სწორედ საბანკო საჭიროებებით განისაზღვრა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა ჰოლანდიის განვითარების ბანკთან (FMO), რომლის ფარგლებშიც 200,000 ევროს მოცულობის 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. შეთანხმება საბანკო ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული პროექტების თანადაფინანსებას ითვალისწინებს.

ნათია ნემსიწვერიძე

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა 2022 წელს

რისკის მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. რისკის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით 2022 წელს კომპანიამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

<u>საკრედიტო რისკის მართვა</u>

- 2022 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა კომპანიის რისკის მადა, რაც საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.
- მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილების ინსტრუმენტების დანერგვის შედეგად, გაძლიერდა კომპანიის ანდერაიტინგის მიმართულება. აღნიშნული ინსტრუმენტები ემყარება როგორც ექსპერტულ ცოდნას, ისე მონაცემებს, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
- პორტფელური რისკების მიმართულება მონაცემებსა და სტატისტიკურ ანალიზზე დამყარებულ გადაწყვეტილებებზე გაცილებით მეტად გახდა ორიენტირებული. პორტფელის ანალიზის პროცესი მნიშვნელოვნად განახლდა და გაცილებით ინფორმაციული გახდა, რაც ხელს უწყობს რისკის უკეთ იდენტიფიცირებას.
- მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დათვლის მოდელი IFRS-9 მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა. განახლებული მოდელი საშუალებას აძლევს კომპანიას გაცილებით მაღალი სიზუსტით დათვალოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და უზრუნველყოს მისი პრევენცია.
- განახლდა საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის (დივერსიფიკაციის) ლიმიტები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონცენტრაციის რისკი; ეს კი, თავის მხრივ, პორტფელის სტაბილურ მართვას უზრუნველყოფს.
- შეიქმნა კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც კონტრაგენტის რისკის შეფასებასა და მონიტორინგს, შესაბამისი ლიმიტების მართვას უზრუნველყოფს.

<u>საოპერაციო რისკის მართვა</u>

- 2022 წელს დაინერგა რისკის თვითშეფასება (RSA). აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს კომპანიას შეაფასოს კრიტიკულ ბიზნესპროცესებში არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა და სისუსტეები.
- დაინერგა მნიშვნელოვანი რისკების ინდიკატორები (KRI), რაც საშუალებას აძლევს კომპანიას ადრეულ ეტაპზევე მოახდინოს მოსალოდნელი რისკების იდენტიფიკაცია და პრევენცია.

- დაინერგა ახალი რისკების მართვის პროცესი (NRA), რომელიც ხელს უწყობს ახალ პროდუქტებთან, არხებსა თუ პროცესებთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების წინასწარ განსაზღვრასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვას.

- განახლდა უკვე გამოვლენილი რისკების მონაცემთა ბაზა (RED). შედეგად, შეგროვებული მონაცემები გაცილებით უფრო ინფორმაციული გახდა ბიზნესპროცესებში კონტროლის მექანიზმების გასაძლიერებლად.

- განახლდა ბიზნესუწყვეტობის გეგმა (BCP), რომელიც საჭიროა კრიტიკულ სიტუაციაში ბიზნესპროცესების უწყვეტობის შესანარჩუნებლად და რომელმაც კომპანიაში არსებული ყველა კრიტიკული ბიზნესპროცესი მოიცვა.

<u>შესაბამისობის რისკის მართვა</u>

რისკის მიტიგაცია

- 2022 წელს განახლდა შესაბამისობის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ხედვის დანერგვას კომპანიის მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, ქმნის შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩოს.

- შესაბამისობის რისკის მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციასთან შესაბამისობას. 2022 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა აღნიშნული პროცესი, გაითვალისწინა რა რეგულატორის რეკომენდაციები. განახლდა პროცედურები, დაიხვეწა პროცესები და გაუმჯობესდა პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

- შესაბამისობის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიში რეგულარულად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

<u>ლიკვიდობის რისკის მართვა</u>

- 2022 წელს განახლდა ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც ლიკვიდობაზე ზემოქმედებს, ასევე განისაზღვრა პრევენციის მექანიზმები.

- კომპანია რეგულარულად ამზადებს სტრესტესტებს და გეგმავს შესაბამის ნაბიჯებს.

- ერთ წყაროზე დამოკიდებულების თავიდან ასარიდებლად, კომპანიას დადგენილი აქვს დაფინანსების წყაროს კონცენტრაციის ლიმიტი, რომელიც მთლიანი ვალდებულების 20%-ს შეადგენს.

- აღნიშნული რისკის მართვის ეფექტიანი ორგანოა ALCO-ს კომიტეტი, რომელიც 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებიდან მენეჯმენტის დაქვემდებარებაში გადავა. ეს კი უზრუნველყოფს კომიტეტის მოქნილობას და ხელს შეუწყობს მენეჯმენტის მიერ სწრაფ რეაგირებას.

ნათია ნემსიწვერიძე

- 2022 წელს კომპანიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა: რისკების დირექტორატში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. მოცემული ცვლილებით, მენეჯმენტმა ლიკვიდობის რისკის მართვის პროცესში სამი დონის დაცვის მექანიზმი დანერგა.

<u>სავალუტო რისკის მართვა</u>

- დამტკიცდა ღია პოზიციის +-10%-იანი ლიმიტი, რომელიც რისკის შეზღუდვას უზრუნველყოფს.
- 2022 წელს დაინერგა VAR-მეთოდი, რომელიც მოსალოდნელი დანაკარგების დაზუსტებულ კალკულაციას მოიცავს.

<u>საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა</u>

- 2022 წელს კომპანიამ ვადიანობის გადაფასების გაზომვის ინსტრუმენტი (maturity repricing gap) დანერგა, რომელიც 12 თვის მოსალოდნელი ზარალის დათვლისა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

<u>კაპიტალის ადეკვატურობის რისკის მართვა</u>

- 2022 წელს კომპანიამ დანერგა კაპიტალის ადეკვატურობის მართვის პოლიტიკა, განისაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილებები და პასუხისმგებელი მიმართულებები.
- პოლიტიკასთან ერთად, შემუშავდა კაპიტალის სტრესტესტი, რომელიც სხვადასხვა მაკროფაქტორისა და ბიზნესშედეგის კაპიტალზე ზეგავლენის წინასწარ გაანალიზებისა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.
- 2022 წელს კომპანიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა: რისკების დირექტორატში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ლიკვიდობის, სავალუტო, საპროცენტო და კაპიტალის ადეკვატურობის რისკის მართვის პროცესში დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებით, მენეჯმენტმა რისკის მართვის ყველა ზემოხსენებულ პროცესში სამი დონის დაცვის მექანიზმი დანერგა.

ნაირა ნებერიძე

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

ქართველი ქალი მეწარმეებისა და ახალგაზრდების გაძლიერება და მხარდაჭერა

„კრისტალის" მიერ 2020 წელს USAID Georgia-სთან პარტნიორობითა და ჰოლანდიელებთან ერთად **წამოწყებული საქართველოს ქალთა გაძლიერების მისიის (Buzz Georgia) ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 1,300 ქალი გაძლიერდა.**

- 1,300 მეწარმე ქალის პიროვნული და სამეწარმეო უნარების გაზრდითა და მოტივირებით გავაძლიერეთ 1,500 ქართული ოჯახი, 5,000-მდე მათი ოჯახის წევრი, 30-მდე სოფელი და ქალაქი და ამგვარად ხელი შევუწყვეთ ადგილობრივი დოვლათის შექმნასა და ზრდას საქართველოს რეგიონებში.

- მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 30-მდე ტრენინგი როგორც დისტანციურად, ისე დასწრებულად; ძირითადად მოვიცავით დასავლეთ საქართველოს რეგიონები: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა და ლეჩხუმი.

- დატრენინგებულ მეწარმე ქალთაგან 100-მდე ქალმა მონაწილეობა მიიღო USAID-ის საახალწლო-საშობაო გამოფენა-გაყიდვაში, რომელიც ყოველი წლის დეკემბერში ტარდება. მათ შეძლეს გაეყიდათ ათიათასობით ლარის პროდუქცია თბილისში არსებულ დედაენის ბაღში და ამასთანავე გაეცნოთ იგი ასობით მოსული სტუმრისა თუ დამთვალიერებლისათვის.

- YES-Georgia-ს პროექტის ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში 5625-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის, 3,888 გოგონამ და 1,738 ბიჭმა). 1,500-მდე ახალგაზრდამ წარმატებით გაიარა მეწარმეობის ტრენინგ-კურსი; „კრისტალმა" 96 ახალგაზრდა მეწარმე დააფინანსა (55 გოგონა და 41 ბიჭი), აღსანიშნავია, რომ 64 საწარმო უწყვეტად განაგრძობს წარმატებით საქმიანობას.

„კრისტალის" გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სისტემის დაბვენა GGF-სთან თანამშრომლობით

- 2022 წელს „კრისტალის" საერთაშორისო პარტნიორის – Finance in Motion/EFSE/GGF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა „კრისტალის" გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) სისტემების, პოლიტიკის, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და პროცედურების გეფ-ანალიზი; გადაიხედა მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები; „კრისტალის" სისუსტეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და განხორციელების სტრატეგია.

- სამომავლოდ, სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება საშუალებას მისცემს „კრისტალს" დანერგოს მდგრადობის ყოვლისმომცველი ჩარჩო და დააკმაყოფილოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის უნივერსალური სტანდარტები.

[illegible] და MSC MicroSave Consulting-ისთან წარმატებული თანამშრომლობა

პარტნიორობის ფარგლებში განისაზღვრა კლიმატზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლოგიური რისკის მართვის მიმართულებით არსებული ხარვეზები, ასევე შემუშავდა ძირითადი რეკომენდაციები.

წარმატებული თანამშრომლობა გერმანულ ფონდ „შპარკასესთან"

აქტიურად დავიწყეთ თანამშრომლობა ჩვენს ერთ-ერთ უცხოელ პარტნიორთან - გერმანული განვითარების საერთაშორისო ფონდთან **German Sparkassenstiftung.** თანამშრომლობა მიზნად ისახავს „კრისტალის" მწვანე და მდგრადი დაფინანსების კომპასის შესაძლებლობების განხილვასა და დანერგვას, მწვანე დაფინანსების სპიდომეტრისა და დაფინანსების საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას. განხორციელდა მდგრადი დაფინანსების იმპლემენტაციის შეფასება და სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა.

„კრისტალის" მწვანე პროდუქტების/მწვანე დაფინანსების ფარგლებში:

2022 წლის განმავლობაში დაზოგილ იქნა:

- 3,136,905 (KWH) ენერგია
- გარემოსთვის არიდებულ იქნა 464,119 კგ. CO_2

საგანმანათლებლო ღონისძიებები:

2022 წლის ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში კომპანიამ პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების, სტაჟირების პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებისა და გაყიდვების გუნდის წევრების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა ტრენინგები დაზოგვის მნიშვნელობის, ფულის დამცავი ნიშნების, კუპიურების შესამოწმებლად საჭირო ტექნიკებსა და ხელსაწყოების მოხმარების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ყალბი ფულის ამოცნობასა და შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებაში.

[illegible]

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

„კრისტალის" სოციალური პასუხისმგებლობა დასაქმებულების მიმართ ჯანსაღ, უსაფრთხო, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობასა და საქმიან დამოკიდებულებაში გამოიხატება. კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას იმგვარი გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კონკურენტუნარიან და ღირსეულ სამუშაო პირობებში თავიანთი თავის გამოვლენის, ჩართულობის, პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა მიეცემათ.

2022 წელი კომპანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტალანტების განვითარებისა და მართვის მიმართულებით. ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიუხედავად, კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც HR–მიმართულების საქმიანობის გაუმჯობესების, ისე თანამშრომლებზე ზრუნვის კუთხით.

- 2022 წელი კომპანიამ 1,051 დასაქმებულით დაასრულა.
- 2022 წლის განმავლობაში ეფექტიანად წარიმართა რეკრუტინგის პროცესი. ამ მხრივ, წელიწადი რეკორდული აღმოჩნდა. 2022 წელს „კრისტალის" გუნდს 395 თანამშრომელი შემოუერთდა: აქედან 122 ახალ პოზიციაზე, 273 კი ყოფილი თანამშრომლის ადგილზე დასაქმდა. რეკრუტინგის პროცესის სწორად მართვის შედეგად, ღია პოზიციები 23%-ით შიდა რესურსით შეივსო, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ „კრისტალში" კარიერული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა ყველა თანამშრომელს თანაბრად აქვს.

ერთად ვმუშაობთ, ერთად ვვითარდებით...

- კომპანია სტრატეგიის დონეზე იზიარებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს. იგი ხელს უწყობს „ინკლუზიური, თანასწორი განათლების უზრუნველყოფას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნას ყველასათვის" (SDG4). კომპანიაში შემუშავებულია სწავლების ისეთი მექანიზმი, რომელიც თანამშრომლებს ეხმარება მოკლე დროში შეძლონ როგორც ბიზნესპროცესებთან, ისე გუნდთან ადაპტაცია და პროფესიული ზრდა. ამ მიზნით, კომპანიაში მოქმედებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამა, რომლებიც ჩვენი გუნდის წევრებს კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს. 2022 წელს როგორც სათავო ოფისის, ისე საფილიალო ქსელის თანამშრომლებისათვის არაერთი ტრენინგი და ვებინარი ჩატარდა. მთლიანობაში, საბაზისო ტრენინგი - 232–მა, ხოლო სხვადასხვა სასწავლო ტრენინგი 435–თანამშრომელმა გაიარა; 98 მენეჯერს ჩაუტარდა ლიდერული უნარების განვითარების ტრენინგი; 1000-ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო სხვადასხვა სახის ცნობიერების ასამაღლებელ ვებინარს ინფორმაციული და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

- გაიმართა „კრისტალის“ ოლიმპიადის გამარჯვებულების დაჯილდოება. სამოტივაციო სისტემა ითვალისწინებდა მოტივირების როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ კომპონენტს. ოლიმპიადის ფარგლებში, გაყიდვების გუნდები და ინდივიდები კონკურენციის რეჟიმში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულები იღებდნენ წამახალისებელ პრიზებს, ასევე მენეჯმენტის აღიარებას. წლის განმავლობაში კონკურსის ფარგლებში მთლიანობაში 70-მდე ოფიცერი და 40-მდე ფილიალი დაჯილდოვდა.

- 2022 წელს პირველად ჩატარდა სამოტივაციო პროექტი „იდეების რალი“, რომლის მიზანი თანამშრომლების იმ ახალი იდეებისა და ინიციატივების გამოვლენა იყო, რომლებიც კომპანიის განვითარებისაკენ იყო მიმართული. დაჯილდოვდა 5 გამარჯვებული პროექტი, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა კომპანიამ უკვე დაიწყო.

- „კრისტალი“ როგორც განვითარების პლატფორმა საფინანსო სექტორით დაინტერესებულ ახალგაზრდებს პროფესიული ზრდის, განვითარებისა და შემდგომში ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას აძლევს. ამ მიზნით, კომპანიაში მოქმედი სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს 160-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა გადამზადება, 70-მდე სტაჟიორი კი კომპანიაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდა. აღნიშნული პროექტი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ახალი ტალანტების მოძიებისა და კომპანიის საკადრო რესურსის შევსების კუთხით.

- „კრისტალი“ რეგიონის მასშტაბით მიკროსაფინანსო სეგმენტში ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ინსტიტუტია. შესაბამისად, სტაჟირებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით კომპანიას არამხოლოდ ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლებლები მიმართავენ. კომპანიის მიერ განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების გასაცნობად 2022 წელს „კრისტალს“ ალბანეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის დელეგაცია სტუმრობდა. გამორჩეული იყო ვენეციის უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირება: კომპანია მათ სამი თვის განმავლობაში მასპინძლობდა და დახმარებას უწევდა როგორც უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გაანალიზებაში, ისე კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

- სტაჟირების პროგრამაში ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმის მიზნით, კომპანია ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობს და რეგულარულად მართავს საინფორმაციო-გაცნობით შეხვედრებს სტუდენტებთან, მათ შორის, რეგიონებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელს თანამშრომლობის მემორანდუმი 4 უნივერსიტეტთან გაფორმდა.

- 2022 წელს კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ფორუმში.

- წლის განმავლობაში კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საფილიალო ქსელის თანამშრომლების ანაზღაურებას, რაც დიდწილად აისახება მათ მოტივაციასა და კომპანიის მიმართ ერთგულებაზე. ამ მიზნით განახლდა საბონუსე და სახელფასო სქემები 11 პოზიციისთვის. მთლიანობაში, განახლება 299 თანამშრომელს შეეხო.

- [illegible] სასწავლო გასვლითი ღონისძიებები, რომელთა ფარგლებში გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საუკეთესო თანამშრომლები. 45 თანამშრომელს მადლობის სიგელი გადაეცა.

ნათია მესხიშვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიები

კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად მიკრობანკად ტრანსფორმაცია აქვს დასახული. შესაბამისად, 2022 წელს „კრისტალმა“ კვლავ განაგრძო აღნიშნული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა: ძირითადი ოპერაციული და საკრედიტო სისტემის განვითარება, ახალი სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფისა და პროდუქტების დანერგვა. განახლდა ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია, განისაზღვრა გრძელვადიანი გეგმა, შეთანხმდა ციფრული ტრანსფორმაციისათვის საჭირო ყველა პროექტი და პროცესი.

რეგულარულად ხდებოდა ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის, ახალი პროექტების, „ქორ სისტემის“ განახლება და რეგულაციებთან მორგება. განხორციელდა რამდენიმე ძირეული ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია. წარმატებით განხორციელდა რამდენიმე კრიტიკული სისტემის ბიზნესუწყვეტობის პროცესის შემოწმება და ტესტირება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების მიმართულება

2022 წლის პირველ ნახევარში ახალი სერვერული აპარატურის შეძენა და მონტაჟი განხორციელდა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა სერვისების მიწოდების წარმადობა და მათი ბიზნესუწყვეტობის ხარისხი. კომპანია აქტიურად მუშაობდა ღრუბლოვან ჰიბრიდულ სისტემებზე. 2022 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით გაუმჯობესება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო; მოხდა საჭირო სერვისების მიგრაცია ღრუბლოვან და ჰიბრიდულ არქიტექტურაზე. განხორციელდა სისტემების ოპტიმიზაცია და ხარჯების შემცირება.

მიმდინარე წელს განახლდა კომპანიის სერვისდესკი და რამდენიმე კრიტიკული ინფრასტრუქტურული პროცესი. კომპანიაში დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგის პროექტი, რომლის მეშვეობითაც 95%-ით შემცირდა ინციდენტების რაოდენობა ერთ-ერთ კრიტიკულ მიმართულებაზე. დაინერგა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო სერვერული ინფრასტრუქტურა; განხორციელდა დატაცენტრებს შორის სერვერების მიგრაცია და ოპტიმიზაცია.

პროექტების მართვისა და ბიზნესანალიზის მიმართულება

2022 წელს კომპანიაში წარმატებით განხორციელდა 45-მდე სხვადასხვა ზომის პროექტი, მათ შორის, „კრისტალის“ ახალი კორპორაციული ვებგვერდი და ჩატბოტი, AML და შესაბამისობის მართვის ახალი სისტემის დანერგვა, გადასვლა კრედიტინფოს ახალ ვერსიაზე, თამასუქის პროდუქტის დანერგვა, პლანშეტით სესხის გაცემა, გარიგების მოდულის დანერგვა ნაღდი ოპერაციებისათვის და სხვა მრავალი.

აღსანიშნავია პროცესების ავტომატიზების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, გაუმჯობესდა 20-მდე სხვადასხვა ბიზნესპროცესი, მოხდა მათი დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია. საგრძნობლად დაიხვეწა და განვითარდა ჩვენი განვადებებისა და სესხების პლატფორმა, რომლის გამოყენებაც კიდევ უფრო მოსახერხებელი, ეფექტიანი და დაცული გახდა. „კრისტალ ლიზინგის“ „ქორ სისტემის“ მიმართულებით მრავალი ცვლილება და პროექტი

განხორციელდა რაც სისტემის მომხმარებლებისათვის მუშაობის ოპტიმიზაციასა და სისწრაფის დაწერვას უწყობს ხელს.

განახლდა პროექტების მართვის მეთოდოლოგია, დაინერგა პორტფელის მართვის პროცესი, განახლდა პროექტების მართვის მიდგომები და მოხდა მათი ოპტიმიზაცია. ჩატარდა IT–გუნდის ტრენინგი „აჯაილ“ მეთოდოლოგიის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების მიმართულება

დაინერგა და ადაპტირდა თანამედროვე ხელსაწყოები და სტანდარტები, რამაც გაზარდა ინფორმაციული უსაფრთხოების დონე. რეგულარულად ხორციელდება ახალი გადაწყვეტილებისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით შემოწმება, მხარდაჭერა და დაწერგვა.

გაუმჯობესდა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამა, რაც მოიცავდა ტრენინგებს ყველა თანამშრომლისა და მიზნობრივი გუნდებისათვის. ჩატარდა მთლიანი პერსონალის ტესტირება, რამდენჯერმე მოეწყო შეტევის სიმულაცია.

განხორციელდა რისკების შეფასება ბიზნესპროცესების ჭრილში. შეფასდა იდენტიფიცირებული რისკები და მომზადდა სამოქმედო გეგმები. გადაიხედა და გაუმჯობესდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, პოლიტიკა და სტანდარტი. მოხდა არსებული დოკუმენტების განახლება და ახალი დოკუმენტების შედგენა.

2022 წელს მომზადდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ავარიული აღდგენის გეგმები (DRP). აღნიშნული აქტივობის ფარგლებში მოეწყო რამდენიმე სცენარის რეალურ გარემოში ტესტირება. განხორციელდა სხვადასხვა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე შეღწევადობის ტესტირება და გაფართოვდა სისუსტეების სკანირების პროცესის არეალი.

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულება

მიმართულებამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია კომპანიის შიგნით დანერგილი სისტემების დასახვეწად და განსავითარებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია სესხების პლატფორმის განვითარება და დახვეწა, რაც კომპანიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიული ამოცანაა. დაიხვეწა სესხების დამუშავებისა და პროცესინგის სისტემა; გადაწყვეტილების მიღების სისტემის - ციფრული პლატფორმა „აკიდოს“ განვითარებამ და დახვეწამ უზრუნველყო სესხის გაცემის პროცესის ავტომატიზაცია და სრული პროცესის დაჩქარება. განხორციელდა რამდენიმე პროექტი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პერიოდულად მიმდინარეობდა კრიტიკული სერვისებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური და ვერსიული განახლება, მათი რეგულაციებთან მორგება. განხორციელდა არქიტექტურული ცვლილებები, მოხდა სერვისების ნაწილის მიგრაცია.

დაიხვეწა და განვითარდა ბიზნესინტელიჯენსის სისტემა. მოხდა ახალი „ქორ სისტემის“ მორგება მარეგულირებელ და კომპანიის შიდა რეპორტინგის საჭიროებებზე.

ნათია ნემსიწვერიძე

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მიმართულება

განმარტებულდა კომპანიაში დანერგილი მრავალი გადაწყვეტილების, მათ შორის, საოპერაციო და საკრედიტო სისტემის სრული ტესტირების მრავალჯერადი იტერაცია. პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მართვის კუთხით, მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ტესტირების ავტომატიზაციის პროცესის დაწყება. ავტომატიზაციის დანერგვა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის სასიცოცხლო ციკლში უზრუნველყოფს პროდუქტის დასრულების (Time To market) სისწრაფეს და შეცდომების რისკის მინიმიზაციას. მიმართულების უმნიშვნელოვანეს ამოცანად 2023 წელს კომპანიაში ავტომატიზაციის დანერგვა დავისახეთ.

მმართველობითი ანგარიში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ამ წლიური ანგარიშის წარდგენა და აქციონერებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდება. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები. იგი აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის პოზიციისა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

ეს ანგარიში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მმართველობის კოდექსის გამჟღავნების სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად (იხილეთ დანართი N 1).

განცხადება მმართველობის საკითხებზე წინამდებარე ანგარიშის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტები, მიმოხილულია მთავარი მიღწევები და გეგმები.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

2022 წელს ჩვენ დავიწყეთ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების შერჩევა, რის შედეგადაც სამი ახალი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი დაინიშნა. დამოუკიდებელი წევრების შემადგენლობა 4-მდე გაიზარდა, 3 წევრი კი დამფუძნებელ აქციონერთა და ინვესტორთა წარმომადგენელია. შერჩევა ეფუძნებოდა მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებულ უნარ-შესაძლებლობების მატრიცას. ახალი წევრების ექსპერტიზა მოიცავს, მათ შორის, საბანკო, „ფინტექ" და სტრატეგიული HR-ის სფეროებს.

უფლებამოსილებათა დელეგირება

უფლებამოსილებათა გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების შედეგად, საზედამხედველო და აღმასრულებელი ფუნქციების გამოყვნა გაიწერა და გამჭვირვალე გახდა. აღნიშნულმა უზრუნველყო სიცხადე თითოეული მმართველობითი ერთეულის ფუნქციების შესახებ, მირითად კორპორაციულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. გადაწყვეტილების მიღების პროცესი შემუშავდა საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც შეესაბამება საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსს.

სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაცია და მასალები

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა წლიური დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს საბჭოს რეგულარულ გადაწყვეტილებებს და საბჭოს რესურსებისა და დროის მაქსიმალურად ოპტიმალურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

საბჭოს აქტიური ჩართულობითა და კორპორაციული მართვის კონსულტანტის - Nestor Advisors-ის მხარდაჭერით, „კრისტალმა" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მენეჯმენტის ანგარიშებისა და საბჭოსა თუ კომიტეტის სხვა მასალის ხარისხი. მცირე გამონაკლისების გარდა, დაცული იყო მენეჯმენტის მიერ დოკუმენტების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადები. გარდა ამისა, საბჭომ გააძლიერა ბიუჯეტირების პროცესი და შემოიღო ფინანსური პროგნოზების ახალი წესი.

კომიტეტები

საბანკო ტრანსფორმაციისათვის მზადების პროცესში „კრისტალმა" შეცვალა კომიტეტის სტრუქტურა და ის საუკეთესო საბანკო პრაქტიკას შეუსაბამა. ჩვენ შევამცირეთ საბჭოს კომიტეტების რაოდენობა. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ მომზადებული მოკლე ანგარიშები. კომიტეტების განახლებული დებულებები უზრუნველყოფს აუდიტისა და რისკის კომიტეტებს შორის თანამშრომლობას. კომიტეტების შემადგენლობა იმგვარად შეიცვალა, რომ გაუმჯობესდა მათი დამოუკიდებლობისა და საბჭოს რესურსების გამოყენების ხარისხი. წარსულში საბჭოს ყველა წევრი ყველა კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა. საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით, არჩეულ იქნენ დამოუკიდებელი თავმჯდომარეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების კომიტეტის, აუდიტის კომიტეტისა და ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტის ეფექტიანი და მიუკერძოებელი საქმიანობისათვის.

საუკეთესო საბანკო სტანდარტების შესაბამისად, „კრისტალმა" გადაწყვიტა აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) საბჭოდან მმართველ გუნდში გადაეტანა. აღნიშნული ცვლილება საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ შევა ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ ALCO-ს ყოველდღიურ ფუნქციებს მენეჯმენტი განახორციელებს, ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც ვალდებულებების აღებას, დიდი ხარჯების გაწევასა და ძირითადი რისკის პარამეტრების განსაზღვრას უკავშირდება, რისკების კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცემა.

კორპორაციული მდივანი

„კრისტალმა" გააძლიერა კორპორაციული მდივნის როლი, რომელსაც ახლა აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე სრულად ამ მიმართულებაზე ორიენტირებული და გამოცდილი პროფესიონალი ასრულებს, რომელმაც საჭირო შესაძლებლობის განვითარებისათვის შესაბამისი ტრენინგი გაიარა. კორპორაციული მდივნის მთავარი ფუნქციაა სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი გუნდის მხარდაჭერა კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის გზით.

სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

იმ ფაქტის დასაბალანსებლად, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დამფუძნებელი და ყველაზე მსხვილი ინდივიდუალური აქციონერია, საბჭომ შექმნა უფროსი დამოუკიდებელი წევრის პოზიცია, რომელიც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრაზეა პასუხისმგებელი. იგი მოქმედებს როგორც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და უზრუნველყოფს მის მხარდაჭერას საბჭოს მიზნების განხორციელებაში. უფროს დამოუკიდებელ დირექტორს ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქცია იმ სიტუაციებში, როდესაც თავმჯდომარეს აქვს არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი.

სტრატეგია და პოლიტიკები

სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო შინაგანაწესი კორპორაციული სტრატეგიის შემუშავების, მისი რეგულარული გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანისათვის. პოლიცა გარე შეხვედრა სამეთვალყურეო საბჭოსა და გაფართოებული მმართველი გუნდის მონაწილეობით. პროცესის მხარდასაჭერად საბჭომ შექმნა სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებითი მმართველი კომიტეტი. შედეგად, „კრისტალმა" შეიმუშავა 2023-2025 წლების კორპორაციული სტრატეგია, საბანკო ტრანსფორმაციის საგზაო რუკის ჩათვლით. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, მიღებულ იქნა რამდენიმე პოლიტიკა, ძირითადად, რისკის მართვის საკითხების შესახებ.

ESG-ის განვითარება

„კრისტალმა" მიიღო ტექნიკური დახმარება Finance in Motion/EFSE/GGF გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგებისა და რისკების მართვის გასაძლიერებლად.

გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება ტარდება 2022 წლის E&S შედეგების შესაფასებლად. დასკვნები „კრისტალის" 2022 წლის მდგრადობის ანგარიშში იქნება ხელმისაწვდომი.

Nestor Advisors-ის მიერ კორპორაციული მმართველობის რეკომენდაციების შესასრულებლად, საბჭომ კორპორაციული მართვის განვითარების პროგრამის (CGDP) საგანგებო/დროებითი კომიტეტი დააარსა. 2022 წელს CGDP კომიტეტმა დაასრულა 21 რეკომენდაციის შესრულება „კრისტალის" კორპორაციული მმართველობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო ატარებს ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომლის ფარგლებშიც აფასებს თავმჯდომარის, საბჭოს, ცალკეული წევრებისა და კომიტეტების მუშაობას. შედეგები ეცნობება წევრებს და აისახება უნარ-შესაძლებლობების მატრიცასა და სასწავლო გეგმაში. ყოველწლიური შეფასება ვრცელდება კორპორაციულ მდივანზე, შიდა აუდიტის ხელმძღვანელსა და მმართველი გუნდის წევრებზე. საბჭოს ბოლო გარე შეფასება 2021 წელს მმართველობის კონსულტანტმა Nestor Advisors-მა ჩაატარა. ანალოგიური რიგითი გარე შეფასება 2024 წელს ჩატარდება.

გეგმები

2023 წელს ჩვენ ვგეგმავთ Nestor Advisors-ის მიერ გაცემული დანარჩენი რეკომენდაციების შესრულებას, როგორებიცაა AML და შესაბამისობის გაძლიერება, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მეორე ხაზის შექმნა, შეტყობინების მექანიზმის გაძლიერება და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების სისტემის განახლება. პრიორიტეტი იქნება საბანკო ტრანსფორმაცია და დარჩენილი პოლიტიკების მიღება, ასევე ცვლილებების შეტანა წესდებასა და აქციონერთა შეთანხმებაში.

დაბოლოს, კორპორაციული სტრატეგიის დამტკიცების კვალობაზე, საბჭოს ახალი პრიორიტეტია აღმასრულებელი გუნდის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შეფასება, მენეჯმენტის კრიტიკულ პოზიციებზე კადრების დაქირავება, ისე როგორც მთელი ორგანიზაციისათვის შედეგების მართვის ადეკვატური მექანიზმის შედგენა და კრიტიკული პოზიციებისათვის მემკვიდრეობითობის დაგეგმვა.

დასახრულ, მსურს მადლობა გადავუხადო სამეთვალყურეო საბჭოს, მმართველ გუნდს, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და მის გუნდს, კორპორაციულ მდივანსა და ჩვენს გარე მრჩევლებს მხარდაჭერისათვის, შრომისმოყვარეობისა და პროფესიონალიზმისათვის.

პატივისცემით,

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭო

„კრისტალს" ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან, მათ შორის არის ოთხი დამოუკიდებელი წევრი და ინვესტორის სამი წარმომადგენელი. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი საქმიანობის ყველა ასპექტის ეფექტიანობისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები არსებითად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მეწარმე და „კრისტალის" დამფუძნებელია. იგი ფონდ „კრისტალის" გამგეობის თავმჯდომარეა და რამდენიმე არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობს. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს „კრისტალს" უთმობს, ხოლო მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით, აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

საბჭოს შემადგენლობა

„კრისტალი" იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას, განსაზღვრავს საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): გიორგი არველაძე (საქართველო), დამოუკიდებელი წევრი და უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებით მმართველ კომიტეტს; მატანგი გოვრიშანკარი (ინდოეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს; იან დევინგაერტი (ბელგია), დანიშნული Incofin IM-ის მიერ; რობერტ სკოტ კოსმანი (აშშ),

ნათია ნემსიძე

დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს; ალექმ რემტულა (აშშ), დანიშნული DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; ლილტ გარაიანი (სომხეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის კომიტეტს; სუმა სვამინათანი (აშშ), ალტერნატიული წევრი DWM-იდან.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2022 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 12 შეხვედრა: 1 უშუალო და 11 ვირტუალური. 2022 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

- შიდა აუდიტის კომიტეტი - 3–ჯერ;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) - 6–ჯერ;
- რისკების კომიტეტი - 2–ჯერ;
- გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი - 1-ხელ;
- ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი - 2–ჯერ;
- კორპორაციული მართვის განვითარების პროგრამის (CGDP) საგანგებო/დროებითი კომიტეტი - 6–ჯერ;
- სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებითი მმართველი კომიტეტი - 3–ჯერ.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, საბჭოს დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, აქციონერებისათვის ისეთი სამოქმედო გეგმის შეთავაზებას, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

ნათია ნემსიწვერიძე

კორპორაციული მართვა

„კრისტალის" კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა უზრუნველყოს კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში მიზნების ახახვა. თითოეულ უფროს ოფიცერს შესასრულებლად განსაზღვრება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მათი ცვლადი კომპენსაციის მნიშვნელოვანი საფუძველია. შედეგად, აღნიშნული ამოცანები გადაეცემა ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შეფასების მთავარი ინდიკატორებით. ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, საბჭომ უზრუნველყოს „კრისტალის" მიერ მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩართულობის კვლევას. დაბოლოს, სოციალური კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს სოციალური გავლენის ხარისხს. „კრისტალს" დანერგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებითა და პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით. „კრისტალი" მოწოდებულია, მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს, რომლის შესახებ დეტალური ანგარიში მოცემულია N1 დანართში.

ნათია წერეთელი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

არჩილ ბაკურაძე /სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/

სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე. გახლდათ მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარე, ამჟამად კი მისი გამგეობის წევრია. არჩილ ბაკურაძე არის ფონდ „კრისტალის" გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიატი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის (Stichting Vluchteling) Van HeuvenGoedhart-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).

გიორგი არველაძე /უფროსი დამოუკიდებელი წევრი/

სს „მისო კრისტალში" უკავია სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრის პოზიცია; ამჟამად „კრისტალის" სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებით მმართველ კომიტეტს ხელმძღვანელობს. გიორგი არველაძე ქართველი ბიზნესმენია, რომელსაც საბანკო სფეროში საქმიანობის 20–წლიანი გამოცდილება აქვს. უმრავი ქონების, ტრანსპორტირებისა და ენერგეტიკის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე, იგი საქართველოს უმსხვილესი ბანკის – „თიბისი ბანკის" მმართველი დირექტორი და არასაპროცენტო შემოსავლების, კვლევებისა და საბროკერო საქმიანობის მიმართულებას ხელმძღვანელობდა. მანამდე კი „ლიბერთი ბანკის" - საქართველოში სიდიდით მე-3 ბანკის (650 ფილიალითა და 5,300-ზე მეტი თანამშრომლით) გენერალური დირექტორი იყო. მისი დირექტორობის პერიოდში ბანკმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია და 2 წელიწადში წმინდა მოგების წლიურმა ზრდამ დაახლოებით 200% შეადგინა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე მას იმავე ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა და სტრატეგიული პროექტების, ხაზინისა და კერძო ბანკინგის მიმართულებას ხელმძღვანელობდა (2009-2011); მოგვიანებით ასევე ეკავა საოპერაციო დირექტორის პოზიცია (2011-2013).

2009 წელს საქართველოში დაბრუნებამდე, იგი მუშაობდა ლონდონში, BNP Paribas-ში, სტრუქტურირებული პროდუქტების გუნდში, მანამდე კი საქართველოს ეროვნულ ბანკში. გიორგი არველაძე ლონდონის ბიზნესსკოლის მაგისტრის ხარისხს ფლობს.

მატანგი გოვრიშანკარი /დამოუკიდებელი წევრი/

40 წელია საქმიანობს მმართველ პოზიციებზე ბიზნესისა და ადამიანური რესურსების მიმართულებებით როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამჟამად „კრისტალის" ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს ხელმძღვანელობს. აქვს სხვადასხვა დარგში მოქმედ წამყვან კორპორაციებთან, მათ შორის, Standard Chartered Bank-თან, Reebok-თან, GE-სა და Cummins Inc-თან მუშაობის გამოცდილება. ბოლო დროს ის დასაქმებული იყო BP plc-ში, სადაც გლობალური შესაძლებლობების განვითარების ხელმძღვანელისა და გლობალური ლიდერობის აკადემიის დირექტორის პოზიცია ეკავა. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი დირექტორია; ამჟამად არის ინდოეთში მოქმედი არაერთი საბჭოს წევრი ისეთ მრავალფეროვან დარგებში, როგორებიც არის ფინანსური სერვისები, IT და წარმოება. როგორც ბიზნესისა და ადამიანური რესურსების პროფესიონალი, მატანგი ასევე ეწევა დამოუკიდებელ საკონსულტაციო პრაქტიკას აღმასრულებელი რგოლის ქოუჩინგსა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. მას

ნათია წერეთელი

აქვს ბიზნესპროცესების, ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციოლოგიაში, ასევე ინდოეთის წამყვანი ბიზნესსკოლის (XLRI, Jamshedpur) მაგისტრის ხარისხს მენეჯმენტსა და სამრეწველო ურთიერთობებში. მისი მიზანია ეფექტიანი გუნდების ფორმირება. რამდენიმე ორგანიზაციაში აქტიურად არის ჩაბმული ხელმძღვანელი პირების მენტორინგისა და სწავლების პროცესში.

იან დევინგაერტი /წევრი/

Incofin IM-ში კერძო ინვესტირების ფონდის დირექტორია. აქვს კაპიტალის ბაზარზე სააქციო კაპიტალის შეძენის, მართვისა და რეალიზების მიმართულებით მდიდარი გამოცდილება. განხორციელებული აქვს ევროპასა და აზიაში 70-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია. არის სხვადასხვა კერძო ფონდის მმართველი პარტნიორი, მმართველი დირექტორი და საინვესტიციო კომიტეტის წევრი. აჟამად, წყლის რესურსების ახლად შექმნილი ფონდის საინვესტიციო კომიტეტის წევრია. ბატონ დევინგაერტს საბჭოს შემადგენლობაში საქმიანობის მდიდარი გამოცდილება აქვს, მრავალ ქვეყანასა და სექტორში. „კრისტალის" გარდა, ის ამჟამად ბანკების - Lovcen-ის (მონტენეგრო) და Arvand-ის (ტაჯიკეთი) საბჭოს წევრია.

რობერტ კოსმანი /დამოუკიდებელი წევრი/

რობერტ კოსმანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. 33 წელია, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 სხვადასხვა ქვეყანაში საცალო, მცირე და საშუალო საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს. ამჟამად ხელმძღვანელობს „კრისტალის" რისკების კომიტეტს. 2004-2020 წლებში მას Raiffeisen Bank International-ში, უკრაინის ოფისში საცალო/SME ბანკინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა; ხელმძღვანელობდა SME რისკებს ავსტრიაში, ეკავა CIO-სა და COO-ს თანამდებობები. მანამდე კი განვითარების უფროსი ბანკირის რანგში EBRD-თან, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და USAID-თან მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურიზაციის კუთხით თანამშრომლობდა. ამჟამად იგი აქტიურად საქმიანობს როგორც Fintech Angel ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი/მენტორი უკრაინაში.

ლილიტ გარაიანი /დამოუკიდებელი წევრი/

ფინანსისტი, „კრისტალის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივლისიდან. ამჟამად არის „კრისტალის" აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის პროკრედიტის კორპორაციის უმაღლესი რგოლის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული და ACCA-ს წევრი.

ალექს რემტულა /წევრი/

პარტნიორი და DWM-ის კერძო ინვესტიციათა გუნდის ხელმძღვანელი. ალექს რემტულა 2011 წლიდან არის საბჭოს წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. ის ამჟამად ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს. მისი კარიერა საინვესტიციო-საბანკო სფეროში JP Morgan-ში დაიწყო და აქვს 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება გლობალურად, როგორც სამეწარმეო კაპიტალის, ასევე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი ინვესტირების კუთხით. მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნესსკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი პრინსტონის უნივერსიტეტში.

სუმა სვამინათანი /ალტერნატიული წევრი/

DWM-ის კერძო ინვესტიციების ვიცე–პრეზიდენტი. სუმა სვამინათანი 2020 წლიდან არის „კრისტალის" სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. DWM–ში მუშაობის დაწყებამდე იყო კონსულტანტი ნიუ–იორკის საკონსულტაციო კომპანია Empire Valuation Consultant–ში. მას აქვს საჯარო და კერძო კომპანიების კაპიტალის, სესხისა და რთული აქტივების/ფასიანი ქაღალდების შეფასების მართვის გამოცდილება პოტენციური ინვესტიციების, ფინანსური ანგარიშგებისა და კორპორაციული დაგეგმვის მიზნებისათვის. ასევე Infosys Technologies–ის მხრიდან მუშაობდა ტექნოლოგად Capital One AutoFinance–ში. ფლობს NYU's Stern ბიზნესსკოლის MBA ხარისხს, სადაც, ინდოეთის ქსოვის ინდუსტრიაში კოოპერაციულ საზოგადოებებთან მუშაობის შედეგად, გახდა ფაკულტეტის სტიპენდიატი სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. ფლობს ოსმანიის უნივერსიტეტის (ჰიდერაბადი, ინდოეთი) ელექტროინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს.

****

ნინო მეტრეველი /კორპორაციული მდივანი/

„კრისტალის" გუნდს 2019 წელს შემოუერთდა, აღმასრულებელი თანამემწის რანგში. კარიერა მასწავლებლობითა და თარჯიმნობით დაიწყო, აქვს სხვადასხვა სფეროში 20 წლამდე მუშაობის გამოცდილება, აქედან, 18 წელია ფინანსურ ინსტიტუტებში მოღვაწეობს. 2019 წლიდან არის პროექტის ოფიცერი USAID-ის მიერ დაფინანსებული „ფონდ კრისტალის" პროგრამის YES-Georgia–ს ფარგლებში. მას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლების, ადმინისტრაციული ერთეულების მართვის, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან დაკავშირებული კომიტეტების სამუშაო ციკლისა და პროექტების მართვის კუთხით. 2008-2015 წლებში იყო „ბანკ ჯონსტანტას" სამდივნოს უფროსი და კორპორაციული მდივანი. 2015-2018 წლებში მუშაობდა „თიბისი ბანკის" მარკეტინგის დეპარტამენტში, სადაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა PR-ისა და MSME-ის მიმართულებებთან. არის ფილოლოგი (ინგლისური ენა), ასევე გავლილი აქვს სპეციალიზაცია PR-ში.

მმართველი გუნდი

ილია რევია /უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი/

ილია გახლავთ წარმატებული მენეჯერი, მდიდარი გამოცდილებით საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და საფინანსო სექტორში. კარიერა 1998 წელს დაიწყო, როგორც პროგრამისტ-ანალიტიკოსმა. 2001-2006 წლებში მუშაობდა IT პროექტის მართვის მიმართულებით აშშ-ის იურიდიულ კომპანიაში, 2007-2009 წლებში კი დასაქმებული იყო თიბისი ბანკში. 2009 წელს ილია რევია საქართველოს ბანკს შეუერთდა, სადაც მოგვიანებით უფროსი საინფორმაციო ოფიცრის მოადგილედ დაინიშნა და სათავეში კომპანიის არაერთ სტრატეგიულ და კომპლექსურ პროექტს ჩაუდგა, მათ შორის, „პრივატბანკ საქართველოს" შეძენას და Agile-ტრანსფორმაციას. 2019 წლის ივნისიდან ილია რევია დაინიშნა ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის" უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. იგი არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტის მენეჯმენტში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მართვაში და შვედეთის იონჩეპინგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ბიზნესინოვაციებში. ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

დავით ბენდელიანი /უფროსი ფინანსური ოფიცერი/

2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის" ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში". იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. მიღებული აქვს სერტიფიკატები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტების განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.

მელანია კუჭუხიძე /უფროსი ბიზნესოფიცერი/

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი გახლავთ მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 14-წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს" საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. 2010-2015 წლებში გახლდათ „ბანკი კონსტანტას" ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, შემდგომ, 2016 წლამდე მუშაობდა „თიბისი ბანკის" მიკრობიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს შეუერთდა „კრისტალს" ქსელის მართვის უფროსის პოზიციაზე, მანამდე 2 წლის განმავლობაში გახლდათ „მწვანე ლიისის" ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს დაინიშნა „კრისტალის" უფროსი ბიზნესოფიცრის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან არის უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი არის „ვითიბი ბანკის" კორპორაციული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მიღებული აქვს ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში.

ნაათ ნებსიხეიძე

[illegible] ჩიტაიშვილი /ადამიანების უფროსი ოფიცერი/

ადამიანების უფროსი ოფიცერი. 2005 წელს იყო ქუთაისის თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი. 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში. „კრისტალს" 2006 წელს შეუერთდა. დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, არის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრი, მიღებული აქვს ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი. გავლილი აქვს სასწავლო კურსი სტრასბურგში, ევროპის საბჭოში.

ბექა ციცქიშვილი/უფროსი საინფორმაციო ოფიცერი/

უფროსი საინფორმაციო ოფიცერი 2018 წლიდან, იყო „აჭარა გრუპის" უფროსი საინფორმაციო ოფიცერი, მუშაობდა შპს „ავიატორსა" და „ბანკ რესპუბლიკაში" საინფორმაციო სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არის შპს „ნექსტ სტეპის" თანადამფუძნებელი. მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი კავკასიის ბიზნესსკოლასა და გრენობლის ბიზნესის სკოლაში, ფლობს ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრის ხარისხს.

გიორგი (გოგა) მეგენეიშვილი /რისკების უფროსი ოფიცერი/

გიორგი (გოგა) მეგენეიშვილი სს „მისო კრისტალის" რისკების უფროსი ოფიცერია. მას 2005 წლიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა და განვითარების საინტერესო გზა განვლო. რისკების მართვის კლასიკური მიდგომების დანერგვით მან კომპანიის განვითარებაში ღირებული წვლილი შეიტანა. არის რისკების სერტიფიცირებული მენეჯერი. მას ასევე მიღებული აქვს მიკროფინანსების მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი (ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა). გავლილი აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კახა გაბესკირია /სს „კრისტალ ლიზინგის" უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი/

კახა გაბესკირია „კრისტალის" გუნდს 2009 წელს შეუერთდა. ეკავა სხვადასხვა აღმასრულებელი პოზიცია, როგორებიცაა უფროსი საკრედიტო ოფიცერი, უფროსი ოპერაციების ოფიცერი და უფროსი ბიზნესოფიცერი. 2020 წლიდან იგი დაინიშნა „მისო კრისტალის" შვილობილი კომპანიის „კრისტალ ლიზინგის" უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. ბატონ გაბესკირიას „პროკრედიტ ბანკში", MSME სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მიღებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, სერტიფიცირებულია პროექტების მართვაში, ბიზნესის ანალიზში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, საკრედიტო პორტფელის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვაში.

გიორგი ჯანელიძე /შპს „კრისტალ კონსალტინგის" უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი/

გიორგი ჯანელიძე „კრისტალ კონსალტინგის" უფროსი აღმასრულებელი ოფიცერია. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მას „მისო კრისტალში" სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, ამჟამად კი არის აღმასრულებელი ბიზნესკონსალტინგის მიმართულებით. 2008 წლიდან მუშაობს

[illegible]

არასამთავრობო ორგანიზაციაში და კერძო სექტორში. მას აქვს მიკროფინანსების, მარკეტინგის, IT, პროექტების მართვისა და MSE მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ამასთანავე, მას განვითარებული აქვს რამდენიმე სტარტაპი ბიზნესიდეიდან საბოლოო პროდუქტამდე. არის IT სპეციალისტი, სერტიფიცირებული პროექტის მენეჯერი და ციფრული მარკეტოლოგი. ფლობს მაგისტრის ხარისხს IT და ეკონომიკის მიმართულებით. ამჟამად სწავლობს დოქტორანტურაში.

ნაცია მესხიშვილი

კომიტეტების ანგარიშები

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრისა (CFO) და უფროსი ბიზნესოფიცრის (CBO) შემადგენლობით. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიზანია „კრისტალში“ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ლიკვიდობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროების მიმოხილვას, უცხოურ ვალუტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო განაკვეთის, კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის რისკების მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ. ALCO მონიტორინგს უწევს წლიური ბიუჯეტის ინდიკატორების შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში კი მათ განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

2022 წელს ჩატარებული სხდომები: 6
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- ფინანსური შედეგები;
- ფინანსური გეგმა;
- ბიუჯეტის პარამეტრები;
- პორტფელის ხარისხი;
- საკრედიტო რესურსები და დაფინანსება.

გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

მოხარულნი ვართ გაცნობოთ, რომ 2022 წელი მნიშვნელოვანი იყო „კრისტალისათვის“, კერძოდ კი, „კრისტალის“ გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) კომიტეტისათვის. კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) განყოფილების ხელმძღვანელის, მაია ქობალიას კომპეტენტური ხელმძღვანელობით, „კრისტალის“ მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა ქვეყანაში ახალგაზრდებისა და ქალი მეწარმეების მხარდაჭერის თვალსაზრისით. საქართველოში ეკონომიკურ სფეროში არსებული მუდმივი გენდერული პრობლემების ფონზე, რომლებიც პანდემიის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, „კრისტალმა“ ტრენინგებით ხელი შეუწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით 1 300 მეწარმე ქალის პიროვნული განვითარებასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას „მაზ საქართველო“-ს ფარგლებში - რომელიც განხორციელდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის YES-Georgia-ს ეგიდით და ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივასთან პარტნიორობით. „კრისტალი“ კვლავ განაგრძობს ამ ინიციატივიანი და

ქალებისთვის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის შეთავაზებას მათი შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ჯგ ბენეფიციარებზე მიმართული ამ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გარდა, „კრისტალს“ შეუძლია იამაყოს იმ მრავალი პარტნიორობით, რომლებიც ემსახურებოდა მისი ორგანიზაციული ვალდებულების შესაბამისად მდგრადი და მწვანე დაფინანსების სისტემის შექმნას. ასევე სოციალური გავლენის გაზომვისადმი მყარი მიდგომის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, აღსანიშნავია ჩვენი ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული მუდმივი მხარდაჭერა, რომელთა გარეშეც ეს ინიციატივები შეუძლებელი იქნებოდა. ამ პარტნიორებს შორის არიან:

- *EFSE (ევროპულ ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის) / Green for Growth Fund (ფონდი მწვანე ზრდისთვის) / Finance in Motion (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის გაძლიერება)*
- *გერმანული Sparkassenstiftung და პროფესორი დოქტორი ტომას ჰელლო (მწვანე ფინანსები/მდგრადობის შეფასება)*
- *განვითარებადი მსოფლიო მაზრები (DWM) და MSC MicroSave Consulting (ზომები კლიმატის ცვლილებებისათვის)*
- *Proparco და 60 Decibels (სოციალური ზემოქმედების გაზომვა)*

მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მომავლის მიმართ და მოუთმენლად ველი „კრისტალის“ მიღწევებს 2023 და მომდევნო წლებში.

პატივისცემით,
ალექს რემტულა

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელების ზედამხედველობა. კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და პასუხისმგებლობიანი დაფინანსების პრინციპებისა და საქმიანობის განსაზღვრა, ასევე მათი განხორციელების მონიტორინგი. ამრიგად, კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე.

2022 წელს ჩატარებული სხდომები: 1
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- მიმდინარე პროექტები და საქმიანობა;
- გარემოსდაცვითი გავლენის შეფასება;
- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა და რეკომენდაციები;

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ნათია მელხუაძე

პერსონალის აქციონერებო და პარტნიორებო,

მადლობას გიხდით „კრისტალის“ გუნდის მუდმივი მხარდაჭერისათვის. განსახილველი წლის განმავლობაში აღინიშნა კადრების მაღალი დენადობა როგორც ძირითად, ისე სპეციალიზებულ ტექნიკურ სფეროებში. წლის განმავლობაში დავიქირავეთ სულ 395 ადამიანი, აქედან 273 როგორც ყოფილი თანამშრომლის შემცვლელი, ხოლო 122 ახალი მიმართულებისათვის. წლის ბოლოს ჩვენი საერთო რაოდენობა კონტრაქტორების ჩათვლით 1 171 (1 051 სრულ განაკვეთზე, 120 კონტრაქტორი) იყო. მმართველი გუნდი და სამეთვალყურეო საბჭო აღიარებენ, რომ კადრების შემცირება ძირითადი რისკის სფეროა და დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს ამ საკითხის მოსაგვარებლად, რაც მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ზომებს თანამშრომლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. აქცენტი კეთდება ნიჭიერი კადრების აღზრდაზე წარმატებული სტაჟირების პროგრამის, ტრენინგების და ახალი უნარების განვითარების გზით, ასევე ჩვენი ნიჭიერი თანამშრომლებისათვის შესაძლებლობების უზრუნველყოფის საშუალებით. მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ 2022 წელს ყველა ღია პოზიციის 23% შიდა ვაკანსიების მეშვეობით შეივსო. უკვე შეიმჩნევა გადინების ტემპის კლება და კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით. ჩვენ ასევე ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი თანამშრომლების მთლიანი პროდუქტიულობის გაუმჯობესებას ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. წამოვიწყეთ რამდენიმე ინიციატივა, როგორებიცაა „გაყიდვების ძალის ეფექტიანობა“ და შედეგების მართვის განახლებული სისტემა. გუნდი ასევე ყურადღებას უთმობს ადამიანური რესურსების ძირითადი პროცესების გაციფრულებას, რათა უზრუნველყოს სისწრაფე და ეფექტიანობა. ჩვენ გულდასმით ვმუშაობთ იმისთვის, რომ ორგანიზაცია საბანკო ტრანსფორმაციას სათანადოდ მომზადებული შეხვდეს.

პატივისცემით,

მატანგი გოვრიშაწკარი

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კომპანიის ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრასა და ზედამხედველობაზე ისე, რომ ხელი შეუწყოს ბიზნესის უწყვეტობას ადამიანების მეშვეობით. გარდა ამისა, კომიტეტის ფოკუსირების საგანს წარმოადგენს უფროსი ოფიცრების შრომის ანაზღაურება და საქმიანობის შეფასება, რათა უზრუნველყოფილ იქნას წახალისების სამართლიანი და შესატყვისი მექანიზმები. კომიტეტის ყურადღება ასევე მიმართულია მენეჯმენტის წახალისებაზე დანერგოს მემკვიდრეობითობის დაგეგმვის საიმედო პროცესი, რომელსაც კომიტეტის წევრები და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში სულ მცირე ორჯერ განიხილავენ. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების შერჩევის პროცესის დანერგვაზე, ასევე შერჩევის უზრუნველყოფაზე სამართლიანად, წესდებისა და აქციონერთა ხელშეკრულების შესაბამისად. კომიტეტი პასუხისმგებელია შეაფასოს სამეთვალყურეო საბჭოს გამართული ფუნქციონირება, საჭიროების შემთხვევაში კი, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესების გასაუმჯობესებლად.

2022 წელს ჩატარებული სხდომები: 2
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

ნათია ციხისწყაროძე

- სამეთვალყურეო საბჭოს 3 ახალი არაალმასრულებელი დამოუკიდებელი დირექტორის შერჩევა და დამტკიცება აქციონერების მიერ (2022 წლის 19 აპრილისა და 2022 წლის 18 ნოემბრის სხდომები);
- შედეგების მართვის პროცესის განახლება, რომელიც დაწერგილი იქნება 2023 წელს;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრისა და უფროსი ოფიცრებისთვის შეფასების ეფექტური პროცესის შემუშავება;
- მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ზომების განსაზღვრა;
- საჭიროებისამებრ, ბიზნესის მხარდასაჭერად აუცილებელი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

შიდა აუდიტის კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული გეოპოლიტიკური და მაკროეკონომიკური გაურკვევლობის ფონზე, აუდიტის კომიტეტმა გაზარდა ძალისხმევა ორგანიზაციის შიდა კონტროლის გარემოს გასაძლიერებლად. 2022 წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტმა მიიღო დამატებითი ზომები შიდა კონტროლის სისტემის მეთოდოლოგიური სტრუქტურის, კერძოდ, შიდა კონტროლის ფუნქციის გაძლიერების მიზნით. გარდა ამისა, გააქტიურდა თანამშრომლობა სხვა კომიტეტებთან (მაგ.: რისკების მართვის კომიტეტთან).
2023 წელს კომიტეტი გააგრძელებს მუშაობას ორგანიზაციის შიდა კონტროლის გარემოს შემდგომ გაძლიერებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე.

პატივისცემით,

ლილიტ გარაიანი

აუდიტის კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს სტრუქტურირებული, სისტემატური ზედამხედველობა ორგანიზაციული მართვის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის საკითხებზე. კომიტეტი საბჭოსა და მენეჯმენტს ეხმარება რჩევებითა და მითითებებით ინიციატივების ადეკვატურობის შესახებ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

1. ღირებულებები და ეთიკა;
2. მმართველობითი სტრუქტურა;
3. შიდა კონტროლის სტრუქტურა;
4. ზედამხედველობა შიდა აუდიტის საქმიანობაზე, გარე აუდიტორებსა და რწმუნების გამცემ სხვა მხარეებზე;
5. ფინანსური და საჯარო ანგარიშგება

ზოგადად, აუდიტის კომიტეტი განიხილავს ზემოთ აღნიშნულ თითოეულ პუნქტს და აძლევს საბჭოს დამოუკიდებელ რჩევებსა და მითითებებს მენეჯმენტის მიერ გამოყენებული პრაქტიკის ადეკვატურობასა და ეფექტიანობაზე, ასევე ამ პრაქტიკის პოტენციური გაუმჯობესების გზებზე.

2022 წელს ჩატარებული სხდომები: 3
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- აუდიტის შედეგები;
- განახლებული ანგარიში აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ;
- შიდა აუდიტის წლიური გეგმა;
- აუდიტის პოლიტიკისა და პროცედურების განხილვა და დამტკიცება.

რისკების კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

კოვიდ-19-ის მიღმა გამოწვევებისა და უკრაინაში ომით შექმნილი გაურკვეველი მაკროეკონომიკური პირობების გამო, კომიტეტი ყურადღებით აკონტროლებდა მათი მართვისა და შემსუბუქების მიზნით მიღებული ზომებს. კომიტეტი საბჭოსა და სხვა კომიტეტებთან სრული კოორდინაციით ყურადღებით აკვირდებოდა როგორც ყოველდღიურ, ისე სტრატეგიულ, არასტანდარტულ რისკებს. ჩვენ ფოკუსირებას ვაკეთებთ შუალედურ სტრატეგიულ რისკებზე, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს „კრისტალის" მიზნებსა და რისკის პროფილს. სტრატეგიასთან დაკავშირებული შეხვედრა, რომელიც ჩვენ 2022 წლის ივნისში ჩავატარეთ, კიდევ ერთი ფორუმი იყო, რათა შეგვესწავლა და განგვეხილა საქართველოს ეკონომიკასა და „კრისტალზე" ომის გავლენით წარმოქმნილი რისკები, მიზნების ახალი სფეროები და ბაზრის სეგმენტები. კომიტეტი დიდ ყურადღებას დაუთმობს როგორც ამ, ისე მომავალში წარმოქმნილ რისკებს, რათა სათანადოდ მართოს ისინი ყოველდღიური საქმიანობის პროცესში.

პატივისცემით,
რობერტ კოსმანი

კომიტეტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს რისკის ყველა კატეგორიის ობიექტური შეფასება და კონტროლი, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და რისკების მართვის შესაბამისი სისტემის შექმნა. კერძოდ, კომიტეტი მხარდაჭერას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კონტროლში და შეთანხმებულად მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტებთან, რომლებიც გარკვეული ტიპის რისკებს ზედამხედველობენ. კომიტეტის მმართველობის გაძლიერების მიზნით, იგი შედგება 3 დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორისაგან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. კომიტეტი შეიქმნა იმისთვის, რომ დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოს მის პასუხისმგებლობაში შემავალი რიგი საკითხების შეფასებასა და ზედამხედველობაში, როგორიც არის:

- ჯგუფზე ზემოქმედების მქონე რისკების კონტროლი და მართვა;

ნათია ბერიძე

- რისკის მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოსა და რისკის მართვის მიდგომის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება;
- რისკის დასაშვები დონის მონიტორინგი, ჯგუფის რისკის საერთო პროფილისა და მატერიალური რისკის ტიპების შეფასება;
- შესაბამისობის მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი, რომელიც გავლენას ახდენს მატერიალური რისკის ტიპებზე; და
- რისკის კულტურა და ქცევები.

სექტემბერში, ახალი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი რისკების კომიტეტის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა, დეკემბერში კი საბჭომ რისკების კომიტეტის ახალი წესდება დაამტკიცა.

რისკების ახალი კომიტეტის პირველ შეხვედრაზე მენეჯმენტმა წარმოადგინა რისკის მართვის ახალი სტრუქტურა, საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები, შესაბამისობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა (AML & Compliance), საოპერაციო რისკების მართვის პრინციპები, რისკების მართვის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი (KPI) და რისკის დასაშვები ლიმიტები. 2023 წელს ორგანიზაციის მხარდასაჭერად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პრობლემური სესხების ამოღების შესახებ ახალი პროექტის დასაწყებად და საკრედიტო პოლიტიკისა და რისკის დასაშვები დონის დოკუმენტების განსაახლებლად.

2022 წელს ჩატარებული სხდომები: 2

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- რისკების მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება;
- რისკების მართვის მაჩვენებლების მიმოხილვა და ტრიგერების მონიტორინგი;
- საკრედიტო პოლიტიკისა და რისკის მადის გავლენა ორგანიზაციაზე;
- KYC („იცნობდე შენს კლიენტს"), AML (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა) და შესაბამისობის ფუნქციების გაუმჯობესება;
- დავალიანების სრული ამოღების ფუნქციის მიმოხილვა;
- რისკის მართვის მოდელების, მათ შორის ლიკვიდობისა და კაპიტალის სტრეს ტესტირება.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ნათია ფხაკაძე

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებშიც სამართლიანად არის წარმოდგენილი სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს შპს „კრისტალ კონსალტინგის“ (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მათი საოპერაციო შედეგები, ფულადი ნაკადები და კაპიტალში ცვლილება ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკა იმგვარად, რომ ასახავდეს რელევანტურ, შედარებად და გასაგებ მონაცემებს;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიურ მოთხოვნებთან შესაბამისობა მომხმარებლებს კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენების და პირობების ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის გაგების შესაძლებლობას არ აძლევს;
- ჯგუფის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ინფორმაციის გამჟღავნება მმართველობით ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით;
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რაც აჩვენებს და განმარტავს ჯგუფის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ასევე საშუალებას აძლევს მას უზრუნველყოს ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობა ფასს სტანდარტებთან;
- საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია მათთვის ჯგუფის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

ნათია ნებიერიძე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და დამტკიცებაზე

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2023 წლის 25 მაისს ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

ნათია ნებიერიძე

Deloitte.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქართველოს საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის („კომპანია") და მისი შვილობილის („ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული დღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისა და კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას მასზე.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის დასკვნას მის თაობაზე.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური

ნათია ხელისუფლის

ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფისა და კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ჯგუფისა და კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე, შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენა იქონიოს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის ნებაყოფლობით განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მუდმივობის დარღვევის გზით;

- მოვეცნობილი გაითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქონით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მუშაობის თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფისა და კომპანიისშიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფისა და კომპანიის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი და კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილი მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიეთ და შევასრულეთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ჯგუფისა და კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

Deloitte.

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.

[illegible] ნაცვლიშვილი
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

[illegible], საქართველო
2023 წლის 25 მაისი

ნათია ნაცვლიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	6	107,853	95,124
საპროცენტო ხარჯი	6	(36,288)	(31,744)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების ზარალის განცდამდე		71,565	63,380
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	13,14,18	(6,606)	(2,693)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		64,959	60,687
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	12	(17,389)	(4,620)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	7	5,547	(7,853)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	8	1,436	442
სხვა შემოსავალი		356	580
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		(10,050)	(11,451)
საოპერაციო შემოსავალი		54,909	49,236
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(29,780)	(26,506)
ქვეითის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	(6,850)	(6,759)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(10,636)	(9,788)
მოგება დაბეგვრამდე		7,643	6,183
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	10	232	(3,003)
წლის წმინდა მოგება		7,875	3,180
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		7,875	3,180

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხა ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	6	107,853	95,124
საპროცენტო ხარჯი	6	(36,288)	(31,744)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების ზარალის განედამდე		71,565	63,380
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	13,14,18	(6,606)	(2,693)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		64,959	60,687
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	12	(17,389)	(4,620)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	7	5,549	(7,854)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	8	1,436	442
სხვა შემოსავალი		121	353
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		(10,283)	(11,679)
საოპერაციო შემოსავალი		54,676	49,008
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(29,491)	(26,347)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	(6,796)	(6,735)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(10,612)	(9,785)
მოგება დაბეგვრამდე		7,777	6,141
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	10	232	(3,003)
წლის წმინდა მოგება		8,009	3,138
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,009	3,138

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	27,812	19,127
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	12	-	103
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	13	388,795	347,941
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	14	9,841	5,662
ძირითადი საშუალებები	15	3,972	4,277
აქტივის გამოყენების უფლება	16	8,152	8,295
არამატერიალური აქტივები	17	4,147	4,494
გასაყიდად გამიზნული აქტივები		197	-
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	10	699	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	10	3,305	1,699
სხვა აქტივები	18	6,336	4,581
სულ აქტივები		**453,256**	**396,179**
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12	8,032	188
ნასესხები სახსრები	19	356,499	314,405
საიჯარო ვალდებულება	16	8,121	9,127
გადასახდელი დივიდენდები	21	997	996
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	10	-	1,124
სხვა ვალდებულებები	20	12,534	10,144
სულ ვალდებულებები		**386,183**	**335,984**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	21	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	21	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		41,328	34,450
სულ საკუთარი კაპიტალი		**67,073**	**60,195**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**453,256**	**396,179**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რუგია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

ნ. მესხიშვილი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	27,785	19,102
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	12	-	103
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	13	388,795	347,941
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	14	9,841	5,662
მარაგები საწყობში	15	3,968	4,271
აქტივის გამოყენების უფლება	16	8,152	8,295
არამატერიალური აქტივები	17	4,035	4,330
გასაყიდად გამიზნული აქტივები		197	
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	10	699	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	10	3,305	1,699
სხვა აქტივები	18	6,336	4,581
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		340	272
სულ აქტივები		453,453	396,256
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12	8,032	188
წასესხები სახსრები	19	356,499	314,405
საიჯარო ვალდებულება	16	8,121	9,127
გადასახდელი დივიდენდები	21	997	996
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	10	-	1,124
სხვა ვალდებულებები	20	12,520	10,144
სულ ვალდებულებები		386,169	335,984
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	21	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	21	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		41,539	34,527
სულ საკუთარი კაპიტალი		67,284	60,272
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		453,453	396,256

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	32,266	58,011
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	3,180	3,180
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(996)	(996)
2021 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	34,450	60,195
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	7,875	7,875
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	41,328	67,073

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

ნ. ფხაკაძე

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	საქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	32,385	58,130
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	3,138	3,138
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(996)	(996)
2021 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	34,527	60,272
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	8,009	8,009
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	41,539	67,284

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი"

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		7,643	6,183
კორექტირება:			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით		17,389	4,620
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	6,850	6,759
საპროცენტო შემოსავალი	6	(107,853)	(95,124)
საპროცენტო ხარჯები	6	36,288	31,744
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მჭრელ აქტივებზე		6,606	2,693
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7	(20,846)	(7,569)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები		17	3
ოქრის გაუქმებით მიღებული შემოსულობა		(5)	(9)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		(53,911)	(50,700)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ზრდა/მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების კლება		(8,905)	(2,110)
მოამზადებლებზე გაცემულ სესხების ზრდა		(44,894)	(36,529)
ოქრებში წმინდა ინვესტიციების შემცირება/(ზრდა)		2,943	(3,500)
გასაყიდად გამიზნული აქტივების ზრდა		(197)	-
სხვა აქტივების (ზრდა)/კლება		(2,241)	61
სხვა ვალდებულებების ზრდა		2,345	8,291
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(50,989)	(33,787)
მიღებული პროცენტი		98,364	96,975
გადახდილი პროცენტი		(34,823)	(31,459)
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,197)	(5)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(44,516)	(18,976)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	15	(1,739)	(1,127)
არამატერიალური აქტივების შეძენა	17	(955)	(2,989)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		142	190
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,552)	(3,926)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	19	238,304	185,290
ნასესხები სახსრების დაფარვა	19	(175,210)	(143,177)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		-	(12,407)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(3,560)	(3,521)
გადახდილი დივიდენდები	21	(996)	(999)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		58,538	25,186
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		11,470	2,284
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		(2,785)	(1,041)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	19,127	17,884
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	27,812	19,127

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2023 წლის 25 მაისი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/ დაბეგვრამდე		7,777	6,141
კორექტირება:			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით		17,389	4,620
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	6,796	6,735
საპროცენტო შემოსავალი	6	(107,853)	(95,124)
საპროცენტო ხარჯები	6	36,288	31,744
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე		6,606	2,693
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (შემოსელობა)	7	(20,848)	(7,568)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები		17	3
იჯარის გაუქმებით მიღებული შემოსელობა		(5)	(9)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გახვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		(53,833)	(50,765)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ზრდა/მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების კლება		(8,905)	(2,110)
მოძმბარებლებზე გაცემული სესხების ზრდა		(44,894)	(36,529)
ოქარებში წმინდა ინვესტიციების შემცირება/(ზრდა)		2,943	(3,500)
გასაყიდად გამიზნული აქტივების ზრდა		(197)	-
სხვა აქტივების ზრდა		(2,241)	(54)
სხვა ვალდებულებების ზრდა		2,359	8,293
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(50,935)	(33,900)
მიღებული პროცენტი		98,364	96,975
გადახდილი პროცენტი		(34,823)	(31,459)
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,197)	(5)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(44,424)	(19,154)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ინვესტიცია შეილობილ საწარმოში		(68)	(26)
ძირითადი საშუალებების შეძენა	15	(1,741)	(1,126)
არამატერიალური აქტივების შეძენა	17	(979)	(2,804)
შემოსელობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		142	190
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,646)	(3,766)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსელობა ნასესხებ სახსრებიდან	19	238,304	185,290
ნასესხები სახსრების დაფარვა	19	(175,210)	(143,177)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		-	(12,407)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(3,560)	(3,521)
გადახდილი დივიდენდები	21	(996)	(999)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		58,538	25,186
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		11,468	2,266
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		(2,785)	(1,041)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	19,102	17,877
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	27,785	19,102

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 25 მარტი
თბილისი, საქართველო

68-152 გვერდებზე დართული შენიშვნები წარმადებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

ნათია წულუკიძე

1. ორგანიზაცია

შს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი" (შემდგომში „კომპანია") 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „ფონდი კრისტალის" (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) გადაწყვეტილების საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (თარიღი: 2006 წლის 18 ივლისი) შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი საწარმო - შპს „კრისტალ კონსალტინგი". შვილობილი საწარმო თანდათანობით იწყებს ფუნქციონირებას და მისი მთავარი საქმიანობა იქნება საკონსულტაციო მომსახურებები, საორგანიზაციო განვითარება, ხელმძღვანელობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მომსახურება მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის.

შს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის" და შპს „კრისტალ კონსალტინგის" („ჯგუფი") იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული მმართველი გუნდი.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შესაძენად და სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდაათი ფილიალი (2021 წ.: ორმოცდაათი ფილიალი) აქვს, სათაო ოფისები კითაბილისსა და ქუთაისში.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული საქციო კაპიტალის მფლობელები:		
AGRIF COÖPERATIEF U.A.	38.75%	38.75%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.37%	12.37%
ფონდი კრისტალი	0.09%	0.09%
ინდივიდუალური აქციონერები	48.79%	48.79%
სულ	100%	100%

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერები არიან „AGRIF COÖPERATIEF U.A." და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF", 38.75% და 12.37%-იანი წილით (შესაბამისად).

ჯგუფი საქართველოშია რეგისტრირებული და თავის სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს. ჯგუფი თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს ლიკვიდობის მიხედვით წარადგენს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მოკლევადიანი) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გრძელვადიანი) დავალიანების ამოღებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ანალიზი წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს") მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ") მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც: ა) კომპანიას აქვს ძალაუფლება თავის ინვესტირების ობიექტებზე; ბ) კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და გ) კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ამ ძალაუფლებით თავის უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

თუკი ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოთ მითითებული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი, ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს. როდესაც ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას იმ შემთხვევაში აქვს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, როცა ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობა. ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და ვითარებას ითვალისწინებს იმის შეფასებაში ჯგუფის ხმის უფლებები ინვესტირებულ საწარმოში შეესაბამება თუ არა მისთვის უფლებამოსილების გადაცემას, მათ შორის: ჯგუფის მიერ ფლობილი ხმის უფლებების ზომას, სხვა ხმის მფლობელების საკუთრების წილის ზომასთან და განაწილებასთან მიმართებაში; ჯგუფის, სხვა ხმის უფლების მფლობელების და სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებას; უფლებებს, რომლებიც სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებიდან წარმოიშობა და ნებისმიერ დამატებით ფაქტს და ვითარებას, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ჯგუფს შესწევს ან არ შესწევს უნარი შესაბამისი საქმიანობები განახორციელოს ისეთ დროს, როდესაც საჭიროა

ნათია წერეთელი

გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ხმის მიცემის შაბლონები, აქციონერთა წინა კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს ამგვარ კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც წყდება კომპანიის კონტროლი შვილობილ საწარმოზე. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტს. შვილობილი საწარმოების მთლიანი სრული შემოსავალი უკავშირდება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტებს, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს არასაკონტროლო პაკეტების ნაშთის დეფიციტს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ფუნქციონირებადი საწარმო - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის ჯგუფის საერთო ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, ჯგუფი შესაბამისობაშია ფინანსურ კოვენანტებთან. 2022 წლის განმავლობაში დაირღვა ადგილობრივ კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო კრედიტორებთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრული რამდენიმე კოვენანტი, რაზეც ჯგუფმა სასწრაფო წესით მიმართა ყველა თავის პარტნიორს 2022 წელსვე და სთხოვა შესაბამისი წერილობითი ნებართვების გაცემა. ყველა შემთხვევაში, შესაბამისი წერილობითი ნებართვების მიღება დროულად მოხდა, 2022 წლის ბოლომდე. ადგილი არ ჰქონია კრედიტორის მიერ საკრედიტო რესურსის ვადაზე ადრე გამოხმობის არც ერთ შემთხვევას. ჯგუფს პარტნიორთა კარგად დივერსიფიცირებული პული აქვს, რომელიც მას წლის განმავლობაში ლიკვიდურობის და დაფინანსების ხარჯის ეფექტურად მართვის შესაძლებლობას აძლევს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ჯგუფს საკმარისი რესურსები აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად. ასევე იხილეთ 27-ე შენიშვნა.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდით. პირვანდელი ღირებულება, როგორც

წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ჯგუფი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამოსავალი მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებს (დაუკორექტირებელი), რომლებზეც საწარმოს წვდომა აქვს შეფასების თარიღში; მე-2 დონის ამოსავალი ინფორმაცია არის 1-ელ დონეში შესული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც ემპირიულია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან ირიბად; მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა - კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საქმიანობს ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარსადგენი ვალუტაა ლარი. თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

ურთიერთგაქვითვა - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკაში.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - შენიშვნები მოცემულია მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ციფრებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დამატებით, ე.ი. ფინანსური ღირებულებით ამორტიზებული ღირებულებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის კორექტირებამდე. გარდა შემდეგისა: ა) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, საწყისი აღიარებიდან ჯგუფი ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს კრედიტზე მორგებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს არ წარმოადგენს, მაგრამ შემდგომში გახდნენ გაუფასურებული ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნულად ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულად (FVTPL) კლასიფიცირებულების გარდა. ფინანსური აქტივებისთვის, შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ჯგუფი იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ამორტიზებულ ღირებულებაზე, ე.ი. მთლიან საბალანსო ღირებულებას გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ჯარიმებიდან შემოსავალი შესულია საპროცენტო შემოსავალში, როგორც საკრედიტო რისკის ნაგულისხმები კომპენსაცია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას ჯგუფი მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გამოყენებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ბდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო მოგებაში ან ზარალში ვადის გასვლისთანავე აღირიცხება. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება ამონაგებად მომსახურების გაწევისთანავე.

ყველა დანარჩენი საზღაურის და საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
თუ გარიგების ფასი განსხვავდება საწყისი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ჯგუფი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს.

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა საწყისი აღიარებისას აღირიცხება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ფასის შესაბამისად (ე.ი. პირველი დღის მოგება ან ზარალი შეიცვლება მისი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

საწყისი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში რაციონალურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშვება ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები, აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ქვემოთ მოცემული შეფასების კატეგორიებიდან ერთ-ერთში: ამორტიზებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI") დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

არა-სავაჭროდ გამიზნული საკუთარი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადაწყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული შეფასებულად ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ზემოთ განსაზღვრული ფორმით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

საწყისი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია გამოუხმობადად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ამგვარი ქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული ჯგუფის ფინანსური აქტივებია შემდეგი:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	SPPI	შეფასების კატეგორია
წარმოებული ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	FVTPL
ფულადი ნაშთები ბანკებში	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ნაწილდა ინვესტიცია ოჯარებში	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა მოთხოვნები	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

<u>ბიზნესმოდელის შეფასება</u>

ჯგუფი ახდენს იმ ბიზნესმოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. შესაბამისი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დამტკიცებული პოლიტიკები და პორტფელების მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმძღვანელობის სტრატეგია არის თუ არა ორიენტირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადების ნებისმიერი დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებაზე და ფულადი ნაკადების გამოთავისუფლებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშება;

ნათია ნემსიწვერიძე

- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელში არსებული ფინანსური აქტივების) შესრულების მაჩვენებლებზე და როგორ ხდება ამ რისკების მართვა;
- როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვის სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

<u>შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა" ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას საწყისი აღიარებისას. „პროცენტი" არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის. ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ჯგუფი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი შედგება სახელშეკრულებო პირობისგან, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შესაძლოა შეცვალონ სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორიც ცვლადგანაკვეთიანი შესაძლებლობები;
- ავანსები და გახანგრძლივების შესაძლებლობები; და
- ვადებს, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ჯგუფის ფულადი ნაკადების მოთხოვნას (ე.ი. შემოუბრუნებელი შესაძლებლობები).

რეკლასიფიკაცია

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს. თუ ბიზნეს მოდელი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ფინანსური

აქტივების ფლობის შეფასება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან, ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნესმოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება საანგარიშგებო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და შეუზღუდავ ნაშთებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 90 დღე ან მასზე ნაკლებია და ისინი თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არაწარმოებული ფინანსური აქტივებია. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სამართლიანი, ხოლო შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ხელშეკრულებებს და სავალუტო სვოპებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც ფორმდება წარმოებული ხელშეკრულება და შემდგომში ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც უყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და არაემპირიული ამოსავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ასევე გამოიყენება მოთხოვნამდე ანაბრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადის გარეშე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან მოთხოვნებს და ვალდებულებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მისაღებ საპროგნოზო ფულად ნაკადებს, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადასა და კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები - სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელების შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით ნასესხები სახსრების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

საიჯარო ვალდებულება - საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით შემცირებულ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადიანობაზე. საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მის თვითღირებულებას უახლოვდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულება, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1-ლი დონე	27,812	27,812	19,127	19,127
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	388,795	397,757	347,941	352,884
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	მე-3 დონე	9,842	9,842	5,662	5,662

ნათია ბერსენაძე

სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	3,652	3,652	2,056	2,056
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	356,499	356,662	314,405	314,166
საოჯარო ვალდებულება	მე-3 დონე	8,121	8,121	9,127	9,127
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	12,484	12,484	9,992	9,992

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ (კონკრეტულად, შეფასების მეთოდ(ებ)ი და გამოყენებული ამოსავალი მონაცემები).

	სამართლიანი ღირებულება					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	სამართლიანი ღირებულების იერარქია	შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემ(ებ)ი	მნიშვნელოვანი არაკამირიული ამოსავალი მონაცემ(ებ)ი	არაკამირიული ამოსავალი მონაცემების და სამართლიანი ღირებულების დამოკიდებულება
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	-	103	მე-2 დონე	მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის (დაკვირვებადი ფორვარდული გაცვლითი კურსიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში) და სახელშეკრულებო ფორვარდული განაკვეთების საფუძველზე.	N/A	N/A
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	8,032	188	მე-2 დონე			

ჯგუფი იყენებს ფართოდ აღიარებულ შეფასების მოდელებს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, როგორიც არის უცხოური ვალუტის გაცვლის ხელშეკრულებები და სავალუტო სვოპები, რომლისთვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს ნაკლებ განსჯას და შეფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან.

25. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების შექმნა; და
- აქციონერებისთვის ადეკვატური უკუგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და საოპერაციო აქტივების რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი შესაბამისობაშია მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური ნორმატივები, როგორიც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ჭონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაგირავებული აქტივებისა და ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

2018 წლის 1 სექტემბერი - 2018 წლის 31 დეკემბერი: სულ მცირე 16%
2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 30 ივნისი: 16-18%
2019 წლის 1 ივლისის შემდეგ - სულ მცირე 18%

ფინანსურ სექტორზე კოვიდ-19-ის გავლენის- გათვალისწინებით, სებ-მა გამოსცა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ცალკეული შემთხვევების საფუძველზე. ჯგუფი შეესაბამებოდა მოთხოვნებს მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე საანგარიშგებო თარიღების მდგომარეობით (2022: 16%; 2021: 14%).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაანგარიშების საფუძველია სებ-ის წესები და გაიდლაინები, რომლებიც მარეგულირებლის მიერ არის გაცემული, და არა ფასს სტანდარტები:

	2022	2021
საქვით კაპიტალი	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება	50,506	47,307
უფლებამოსილი სუბორდინირებული ვალი	8,646	13,010
მარეგულირებელი კაპიტალი შემცირებამდე	**84,897**	**86,062**
მინუს არამატერიალური აქტივები	(3,689)	(3,970)
მინუს შვილობილ საწარმოში ინვესტიცია	(340)	(273)
მარეგულირებელი კაპიტალი	**80,868**	**81,819**

	2022	2021
სულ აქტივები დაქვითვებამდე	455,036	403,946
მინუს არამატერიალური აქტივები	(3,689)	(3,970)
მინუს შვილობილ საწარმოში ინვესტიცია	(340)	(273)
სულ აქტივები დაქვითვების შემდეგ	**451,007**	**399,703**

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი[5]	17.93%	20.47%

ჯგუფი ასევე აკონტროლებს თავის კაპიტალის ადეკვატურობის დონეს სასესხო კოვენანტებთან შესაბამისობაზე, რაც დაანგარიშდება სესხის გამცემების მოთხოვნების შესაბამისად. ამ კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

26. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა არსებითი მნიშვნელობის არის ბიზნესისთვის და ასევე არსებით ელემენტს წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფის ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების დაწესება, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას.

სამეთვალყურეო საბჭოს მის კომიტეტებთან ერთად აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა რისკის მართვის სტრუქტურის მიმოხილვაზე, მნიშვნელოვანი რისკების მართვის მიმოხილვასა და თავისი რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე, ასევე მნიშვნელოვანი მსხვილი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს რისკების მართვის კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტი პასუხს აგებენ რისკის შემსუბუქების ღონისძიებების გაკონტროლებასა და განხორციელებაზე, ასევე იმის დამტკიცებაზე, რომ ჯგუფი ფუნქციონირებს რისკის

[5] არააუდიტირებული

დადგენილი პარამეტრების ფარგლები. რისკის მართვის განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. ის პირდაპირ აღმასრულებელი საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, პორტფელურ და საოპერაციო დონეებზე, იმართება და კონტროლირდება საკრედიტო კომიტეტების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სისტემებით. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ჯგუფი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განცალკევებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის სფეროში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფს აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მიმდინარე მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სესხზე განაცხადების დაფინანსების ან უარყოფის შესახებ. კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ექვრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სისწორე არის იმ საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ავსებს საკრედიტო განაცხადს მას შემდეგ, რაც განხორციელდება განმცხადებლის ბიზნესის შემოწმება და საკრედიტო რისკების შეფასება, საკრედიტო ქულების მოდელების და განცხადების მონაცემების შემოწმების პროცედურების შემოწმების გზით. საბოლოოდ საკრედიტო კომიტეტის წევრები აფასებენ განცხადებას დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ საკრედიტო ოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების ხელმძღვანელობისთვის მიწოდებას. სესხების რეგულარულ მონიტორინგს ასევე ახორციელებს მონიტორინგის დეპარტამენტი. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის ყოველთვიურად მიწოდების გზით. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი გარანტიების მიღებით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ფასდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ, საკრედიტო კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაჩვიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს კრედიტორები ან დაკავშირებული კრედიტორების ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აჭარბებდეს მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობის 10%-ს.

პორტფელის სეგმენტებად დაყოფა

პორტფელის სეგმენტებად დაყოფის მიზნისათვის, პორტფელის ჯგუფების რისკების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, პორტფელი იყოფა ჯგუფად პროდუქტის ტიპების მიხედვით: მიკრო ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, სამომხმარებლო, განვადება და სალომბარდო სესხები. ვინტაჟ-ანალიზი და დეფოლტის განაკვეთის ანალიზი ტარდება იდენტიფიცირებული სეგმენტების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით. დეფოლტის ალბათობა დაანგარიშდება განცალკევებით, ზემოთ ხსენებული თითოეული ჯგუფისთვის.

კლიენტის დაქვემდებარება დამატებით იყოფა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ სესხებად, რადგან ეს ორი სხვადასხვა მახასიათებლებით ხასიათდება და განსხვავებული რისკის მატარებლები არიან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყის ეტაპზე დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისობაშია და ხელმისაწვდომია დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე - თვისებრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, ასევე საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშგების თარიღში დარჩენილი ვადის დეფოლტის ალბათობა; დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების საწყისი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.
- საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული.

ჯგუფი ახორციელებს იმ კრიტერიუმის ეფექტურობის მონიტორინგს, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიკაციისთვის რეგულარული შემოწმების გზით იმის დასადასტურებლად, რომ:

- კრიტერიუმი არის სწორად შემუშავებული მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენისთვის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიმართულებით, სანამ დაფიქსირდება დეფოლტი;
- კრიტერიუმი არ განიხილავს იმ მომენტს, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12-თვიან და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობებს შორის.

დეფოლტის განმარტება

ჯგუფი დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში აღიარებს:

- ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურიზებულია >90 დღე
- კლიენტის გარდაცვალება
- ფორს-მაჟორული ვითარება, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კონტროლს
- სალომბარდო დეფოლტის ზღვარია >30 დღის ვადაგადაცილება

დეფოლტის განმარტება შეესაბამება სათანადო რეგულაციებს, ზღვრული 90-დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად.

ის სესხები, რომლებზეც ჯგუფმა აღიარა დეფოლტი, ითვლება გაუფასურებულ სესხებად.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს ორივე შემთხვევაში: ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, და ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას.

ჯგუფმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი დრაივერების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება პორტფელისთვის განვლილი მონაცემების ანალიზის გამოყენებით. მან შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობაზე და ანაზღაურების განაკვეთზე. ანალიზში გამოყენებული იყო შემდეგი მაკრო-ეკონომიკური ცვლადი მონაცემები:

- საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის განაკვეთი;
- ინფლაციის ტემპი;
- მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი;
- ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც გამოყენებულია 2022 წლის 31 დეკემბერს, 2023-დან 2025 წლამდე პერიოდისთვის საქართველოში:

	2023	2024	2025
მშპ-ის ზრდა			
საბაზისო სცენარი	4.0	5.5	5.0
ოპტიმისტური სცენარი	6.0	5.0	5.0
პესიმისტური სცენარი	2.0	4.0	5.0
ინფლაციის ტემპი			
საბაზისო სცენარი	5.3	3.1	3.0
ოპტიმისტური სცენარი	5.0	3.0	3.0
პესიმისტური სცენარი	9.0	6.0	3.0
მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი			
საბაზისო სცენარი	9.6	8.0	7.2
ოპტიმისტური სცენარი	8.5	7.0	7.0
პესიმისტური სცენარი	13.5	10.5	7.5
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი			
საბაზისო სცენარი	320.8	320.8	320.8
ოპტიმისტური სცენარი	325.6	325.6	325.6
პესიმისტური სცენარი	288.7	297.4	306.3

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, განისაზღვრება ორგანიზაციის შიგნით შემუშავებული სტატისტიკური მოდელებიდან და სხვა ისტორიული მონაცემიდან. ისინი კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციის ასასახად, ზემოთ აღწერილი წესით.

<u>დეფოლტის ალბათობა (PD)</u>

კოჰორტის მოდელი ცნობილი სტატისტიკური კონცეფციაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გადარჩენის ანალიზში და წარმოადგენს არსებობის მანძილზე მონაცემების სტატისტიკის სფეროს. პროცენტის ცვლადი მონაცემი წარმოადგენს მოვლენის წარმოშობის დროს. ის ჩვეულებრივ გამოიყენება სამედიცინო მედიკამენტების კვლევასა და საინჟინრო საქმეში საიმედოობის შესწავლისას. საკრედიტო რისკის შემთხვევაში, სადავო მოვლენა არის დეფოლტი.

როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პარაგრაფში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოიყენება PD (დეფოლტის ალბათობა), CPD-ის (დეფოლტის ერთობლივი ალბათობა) გამოყენებით. ორივე პარამეტრის მიღება მარტივად შეიძლება თითოეული დაქვემდებარებისთვის დაანგარიშებული საფრთხეების ფუნქციებიდან.

გადარჩენის მოდელის გამოყენების შედეგად, ადგილი აქვს ძველი მოდელიდან გადასვლას, მხოლოდ ვადაგადაცილების ახალ მოდელში ინდივიდუალურ შეფასებაზე მიგრაციის საფუძველზე. გამოყენებით ფაქტორებთან ერთად, ქცევითი ფაქტორები ემატება ახალ მოდელს, რომელიც ახდენს ამ მიდგომის განვითარების პოტენციალის გამოვლინებას დეფოლტის ალბათობის შეფასებაში.

დეფოლტის ალბათობის მოდელის სრული პროცედურის შეფასება ხუთ ძირითად ეტაპს მოიცავდა:

- მონაცემების მომზადება და კანდიდატების შერჩევა განმარტებითი ცვლადი მონაცემებისთვის.
- ერთჯერადი ანალიზი.
- მრავალფაქტორიანი ანალიზი.
- თანხვედრების შეფასება კოქსის პროპორციული რისკის მოდელში.
- ხარისხის და ისტორიული მონაცემების შეფასება.

ნათია ჩქოტუა

ბირითადი დაშვებები და სეგმენტაცია

მოდელირების მიზნებისთვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- მოქმედად ჩაითვალა თითოეული დავალიანების მხოლოდ პირველი დეფოლტი (ე.ი. დანარჩენი მონაცემები დეფოლტის დადგენის შემდეგ ჩამოიჭრა)
- პირველი დაკვირვების თარიღში ყველა ვადაგადაცილებული დავალიანება გამორიცხულია ნიმუშიდან
- დეფოლტი განისაზღვრა ორი კრიტერიუმის მიხედვით: ვადაგადაცილებული დღეები და ჩამოწერის სტატუსი
- ვადებში მყოფი სესხის ყოველი წარმოშობა მიიჩნეოდა ცალკე დაკვირვების საგნად

მოდელირება დაეფუძნა პროდუქტის ჯგუფის სეგმენტაციას, რომელიც სესხებს გამოჯნავს სტანდარტული მახასიათებლების მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 6.2%-ით, რაც შეადგენს 763/(763) ათას ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 5.2%-ით, რაც შეადგენს 657/(657) ათას ლარს.

<u>დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):</u>

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ჯგუფი აფასებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტირებული კონტრაჰენტების მოთხოვნების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. LGD დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10.0%-ით, რაც შეადგენს 1.236/(1.236) ათას ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10.0%-ით, რაც შეადგენს 1.255/(1255) ათას ლარს.

<u>დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).</u>

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ჯგუფი ანგარიშობს EAD-ს კონტრაჰენტის მიმდინარე დაქვემდებარებიდან და ხელშეკრულებით დაშვებული მიმდინარე თანხის პოტენციური ცვლილებიდან, ამორტიზაციის ჩათვლით. ფინანსური აქტივის EAD არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

მოქმედ მსესხებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოქმედ მსესხებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები	1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით: სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის							
ვადაგადაუცილებელი	43,364	(217)	(846)	(851)	(1,914)	41,450	4%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	294	-	(25)	(46)	(71)	223	24%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	148	-	(11)	(29)	(40)	108	27%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	233	-	(47)	(20)	(67)	166	29%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	736	-	-	(381)	(381)	355	52%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	**44,775**	**(217)**	**(929)**	**(1,327)**	**(2,473)**	**42,302**	**6%**
იპოთეკური სესხები							
ვადაგადაუცილებელი	22,387	(67)	(117)	(132)	(316)	22,071	1%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	59	-	-	(2)	(2)	57	3%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	5	-	(2)	-	(2)	3	40%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	13	-	(7)	-	(7)	6	54%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	25	-	-	(14)	(14)	11	56%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ იპოთეკური სესხები	**22,489**	**(67)**	**(126)**	**(148)**	**(341)**	**22,148**	**2%**
სასოფლო-სამეურნეო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	79,301	(2,928)	(918)	(1,059)	(4,905)	74,396	6%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	556	(1)	(96)	(33)	(130)	426	23%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	411	-	(89)	(62)	(151)	260	37%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	452	-	(102)	(63)	(165)	287	37%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,235	-	-	(740)	(740)	495	60%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სასოფლო-სამეურნეო სესხები	**81,955**	**(2,929)**	**(1,205)**	**(1,957)**	**(6,091)**	**75,864**	**7%**

მიკრო ბიზნეს-სესხები							
ვადაგადაუცილებელი	91,543	(706)	(376)	(474)	(1,556)	89,987	2%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	619	(1)	(41)	(55)	(97)	522	16%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	436	-	(46)	(37)	(83)	353	19%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	463	-	(110)	(24)	(134)	329	29%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,535	-	-	(829)	(829)	706	54%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ მიკრო ბიზნეს-სესხები	**94,596**	**(707)**	**(573)**	**(1,419)**	**(2,699)**	**91,897**	**3%**
განვადებები							
ვადაგადაუცილებელი	46,083	(131)	(8)	(6)	(145)	45,938	0%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	274	-	(4)	(2)	(6)	268	2%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	170	-	(9)	(2)	(11)	159	6%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	230	-	(24)	(5)	(29)	201	13%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	814	-	-	(180)	(180)	634	22%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ განვადებები	**47,571**	**(131)**	**(45)**	**(195)**	**(371)**	**47,200**	**1%**
სალომბარდო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	35,505	-	(2)	(89)	(91)	35,414	0%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	424	-	-	(26)	(26)	398	6%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	77	-	-	(22)	(22)	55	29%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სალომბარდო სესხები	**36,006**	**-**	**(2)**	**(137)**	**(139)**	**35,867**	**0%**
სამომხმარებლო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	72,756	(321)	(217)	(311)	(849)	71,907	1%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	749	-	(32)	(65)	(97)	652	13%
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	408	-	(64)	(24)	(88)	320	22%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	316	-	(100)	(14)	(114)	202	36%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	936	-	-	(500)	(500)	436	53%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სამომხმარებლო სესხები	**75,165**	**(321)**	**(413)**	**(914)**	**(1,648)**	**73,517**	**2%**
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**402,557**	**(4,372)**	**(3,293)**	**(6,097)**	**(13,762)**	**388,795**	**3%**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები	1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:							
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის							
ვადაგადაუცილებელი	52,470	(327)	(972)	(1,353)	(2,652)	49,818	5%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	356	-	(14)	(136)	(150)	206	42%
31-დან 60 დღემდე	134	-	(8)	(28)	(36)	98	27%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	55	-	-	(32)	(32)	23	58%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	409	-	-	(243)	(243)	166	59%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	**53,424**	**(327)**	**(994)**	**(1,792)**	**(3,113)**	**50,311**	**6%**
იპოთეკური სესხები							
ვადაგადაუცილებელი	28,079	(59)	(95)	(77)	(231)	27,848	1%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	37	-	-	(10)	(10)	27	27%
31-დან 60 დღემდე	49	-	(3)	-	(3)	46	6%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	53	-	(3)	(18)	(21)	32	40%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	5	-	-	(3)	(3)	2	60%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ იპოთეკური სესხები	**28,223**	**(59)**	**(101)**	**(108)**	**(268)**	**27,955**	**1%**
სასოფლო-სამეურნეო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	65,278	(1,054)	(682)	(1,389)	(3,125)	62,153	5%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	555	(3)	(62)	(103)	(168)	387	30%

31-დან 60 დღემდე	567	-	(81)	(197)	(278)	289	49%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	651	-	(158)	(227)	(385)	266	59%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,001	-	(15)	(667)	(682)	319	68%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სასოფლო-სამეურნეო სესხები	**68,052**	**(1,057)**	**(998)**	**(2,583)**	**(4,638)**	**63,414**	**7%**
მიკრო ბიზნეს-სესხები							
ვადაგადაუცილებელი	69,558	(901)	(337)	(734)	(1,972)	67,586	3%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	565	(2)	(30)	(66)	(98)	467	17%
31-დან 60 დღემდე	369	-	(70)	(41)	(111)	258	30%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	308	-	(70)	(79)	(149)	159	48%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,069	-	(20)	(688)	(708)	361	66%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ მიკრო ბიზნეს-სესხები	**71,869**	**(903)**	**(527)**	**(1,608)**	**(3,038)**	**68,831**	**4%**
განვადებები							
ვადაგადაუცილებელი	47,262	(292)	(24)	(55)	(371)	46,891	1%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	385	(1)	(11)	(6)	(18)	367	5%
31-დან 60 დღემდე	254	-	(30)	(10)	(40)	214	16%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	261	-	(60)	(14)	(74)	187	28%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	717	-	(51)	(402)	(453)	264	63%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ განვადებები	**48,879**	**(293)**	**(176)**	**(487)**	**(956)**	**47,923**	**2%**
სალომბარდო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	36,304	-	(2)	(60)	(62)	36,242	0%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	647	-	-	(20)	(20)	627	3%
31-დან 60 დღემდე	50	-	-	(10)	(10)	40	20%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	18	-	-	(3)	(3)	15	17%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	6	-	-	(1)	(1)	5	17%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სალომბარდო სესხები	**37,025**	**-**	**(2)**	**(94)**	**(96)**	**36,929**	**0%**
სამომხმარებლო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	52,802	(450)	(267)	(408)	(1,125)	51,677	2%

1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	487	(1)	(27)	(62)	(90)	397	18%
31-დან 60 დღემდე	193	-	(55)	(12)	(67)	126	35%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	299	-	(133)	(28)	(161)	138	54%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	688	-	(26)	(422)	(448)	240	65%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სამომხმარებლო სესხები	**54,469**	**(451)**	**(508)**	**(932)**	**(1,891)**	**52,578**	**3%**
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**361,941**	**(3,090)**	**(3,306)**	**(7,604)**	**(14,000)**	**347,941**	**4%**

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა მომხმარებლებზე გაცემულ კონკრეტულ სესხებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ყველა ამგვარი სესხი სულ მცირე მე-2 ეტაპზე გადავიდა, რომლის ზარალის რეზერვი შეფასდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. შესაბამისად, მე-2 ან მე-3 სტადიიდან 1-ზე გადასული შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მქონე სესხები არ არსებობს.

უზრუნველყოფის საგნისა და კრედიტის ბარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის ანალიზი, გაუფასურების გამოკლებით.

	2022 წლის 31 დეკემბერი	% სასესხო პორტფელი	2021 წლის 31 დეკემბერი	% სასესხო პორტფელი
უზრუნველყოფის გარეშე	291,728	75%	261,339	75%
უზრუნველყოფილი	97,067	25%	86,602	25%
სულ	**388,795**	**100%**	**347,941**	**100%**

უზრუნველყოფის ტიპი	2022 წლის 31 დეკემბერი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	66,286	(3,377)	62,909	219,936
მცირფასი ლითონები	16,712	(22)	16,690	19,668
მოძრავი ქონება	17,763	(295)	17,468	32,945
უზრუნველყოფის გარეშე	301,796	(10,068)	291,728	-
სულ	402,557	(13,762)	**388,795**	**272,549**

ნათია ნემსიწვერიძე

უზრუნველყოფის ტიპი	2021 წლის 31 დეკემბერი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2021 წლის 31 დეკემბერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2021 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2021 წლის 31 დეკემბერი უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	77,515	(4,519)	72,996	230,375
ძვირფასი ლითონები	8,405	(19)	8,386	36,415
მოძრავი ქონება	5,512	(292)	5,220	14,433
უზრუნველყოფის გარეშე	270,509	(9,170)	261,339	-
სულ	**361,941**	**(14,000)**	**347,941**	**281,223**

სესხების უზრუნველყოფას მეტწილად უძრავი ქონება, მოძრავი ქონება და ძვირფასი ლითონები წარმოადგენს. ამასთან სესხების უმრავლესობა თავდებობით არის უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფილი სესხები უმეტესად მოიცავს სალომბარდო, მომსახურების, სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სესხებს.

ხელმძღვანელობის შეფასებით, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება სესხის დაწყებისას სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას უდრის, 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზედმეტი თავდებობის ეფექტის გამოკლებით. დაბალი სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის გამო, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ შესაძლო ნეგატიურ მოძრაობას საბაზრო ფასებში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სესხების ამოღებადობაზე.

ფიზიკური პირებისგან მიღებული თავდებობები არ გათვალისწინდება გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის. შესაბამისად, ასეთი სესხები და ნაწილობრივ უზრუნველყოფილი დავალიანებების არაუზრუნველყოფილი ნაწილი წარმოდგენილია, როგორც სესხები უზრუნველყოფის გარეშე.

დასაკუთრებული აქტივები სხვა აქტივებშია წარმოდგენილი. იხილეთ მე-18 შენიშვნა.

სესხის დაფარვის ვადები

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადა მოცემულია ქვემოთ, რომელიც აჩვენებს სესხების სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საანგარიშგებო თარიღიდან დარჩენილ პერიოდს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის საერთო და კონკრეტული ცვალებადობა და ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის დონეში.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

საბაზრო რისკზე მთლიანი უფლებამოსილება ვრცელდება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტზე.

ჯგუფი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. ისინი რეგულარულად კონტროლდება და გადაიხედება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რაც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთების გეპ-ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ძირითადად ხდება საპროცენტო განაკვეთების გეპების მონიტორინგით. საპროცენტო ინტერვალის პოზიციის მიმოხილვა წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის მიღების თარიღსა და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადას შორის უმცირესით:

2022 წლის 31 დეკემბერი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,051	-	-	-	-	21,761	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	98,341	46,808	83,835	157,477	2,334	-	388,795
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	68	142	747	8,804	80	-	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	3	8	45	928	14	2,654	3,652
	104,463	46,958	84,627	167,209	2,428	24,415	430,100

ნათია ბერიძე

ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,032	-	-	-	8,032
წასესხები სახსრები	73,146	30,130	65,930	187,293	-	-	356,499
საოჯარო ვალდებულება	863	879	1,611	4,565	203	-	8,121
გადასახდელი დივიდენდები	-	-	997	-	-	-	997
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	12,484	12,484
	74,009	**31,009**	**76,570**	**191,858**	**203**	**12,484**	**386,133**
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი	**30,454**	**15,949**	**8,057**	**(24,649)**	**2,225**	**11,931**	
საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის გეპი	**30,454**	**46,403**	**54,460**	**29,811**	**32,036**	**43,967**	

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებულება
2021 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,379	-	-	-	-	15,748	19,127
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	103	-	-	-	-	-	130
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	111,053	37,998	68,090	128,124	2,676	-	347,941
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	63	82	254	5,263	-	-	5,662
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	2,056	2,056
	114,598	**38,080**	**68,344**	**133,387**	**2,676**	**17,804**	**374,889**
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	188	-	-	-	-	-	188
წასესხები სახსრები	19,142	44,685	71,885	172,348	6,345	-	314,405
საოჯარო ვალდებულება	933	949	1,778	5,079	388	-	9,127
გადასახდელი დივიდენდები	-	-	996	-	-	-	996
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	9,992	9,992
	20,263	**45,634**	**74,659**	**177,427**	**6,733**	**9,992**	**334,708**

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი	94,335	(7,554)	(6,315)	(44,040)	(4,057)	7,812
საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის გეპი	**94,335**	**86,781**	**80,466**	**36,426**	**32,369**	**40,181**

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები მიახლოებულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადამდე მიღებულ შემოსავალთან.

	2022			2021		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, %			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, %		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5.53%	1.00%	-	5.69%	0.00%	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	34.89%	18.80%	-	34.69%	18.53%	-
წმინდა ინვესტიცია ოყარებში	37.97%	-	-	36.43%	-	-
პროცენტიანი ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	15.59%	6.15%	-	14.77%	6.02%	-

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას, საპროცენტო განაკვეთის გეპ ანალიზის საფუძველზე ემატება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგი. წმინდა მოგების საპროცენტო განაკვეთების მერყეობის (გადაფასების რისკი) მიმართ მგრძნობელობის ანალიზი, 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	2022	2021
პარალელური ვარდნა 100 საბაზისო პუნქტით	(328)	(648)
პარალელური ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	328	648

ნათია ნუცუბიძე

სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ახდენს სავალუტო რისკზე მისი დაქვემდებარების ჰეჯირებას საკომპენსაციო სესხების გამოყენებით, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ინსტრუმენტებად (იხილეთ მე-12 შენიშვნა), ამგვარი საქმიანობები არ განისაზღვრება ჰეჯირების ურთიერთობად, ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

	ევრო	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,017	8,497	591	14,105
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	317	-	317
სხვა ფინანსური აქტივები	11	622	-	633
სულ აქტივები	**5,028**	**9,436**	**591**	**15,055**
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	144,544	-	144,544
საოჯარო ვალდებულება	-	6,783	-	6,783
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	43	-	43
სულ ვალდებულებები	**-**	**151,370**	**-**	**151,370**
წმინდა პოზიცია	**5,028**	**(141,934)**	**591**	**(136,315)**
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	**(2,162)**	**136,992**	**-**	**134,830**
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	**2,866**	**(4,942)**	**591**	**(1,485)**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

	ევრო	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,631	3,168	693	5,492
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	787	-	787
სხვა ფინანსური აქტივები	2	212	92	306
სულ აქტივები	**1,633**	**4,167**	**785**	**6,585**

ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	176,354	-	176,354
საოჯარო ვალდებულება	-	7,566	-	7,566
სხვა ფინანსური ვალდებულებები	22	16	-	38
სულ ვალდებულებები	22	183,936	-	183,958
წმინდა პოზიცია	1,611	(179,769)	785	(177,373)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	-	180,854	(2,026)	178,828
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	1,611	1,085	(1,241)	1,455

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		სპოტ-კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის	
	2022	2021	2022	2021
1 აშშ დოლარი	2.9156	3.2284	2.7020	3.0976
1 ევრო	3.0792	3.8299	2.8844	3.5040

ვალუტებთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება-ზარალს შემდეგი თანხებით გაზრდიდა (შეამცირებდა): ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც, ჯგუფის აზრით, მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2022	2021
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება ლარის მიმართ	(420)	92
ევროს 10%-ით გამყარება ლარის მიმართ	244	137

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებული ვალუტების მიმართ 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბერს თანაბარი უკუ ეფექტი ექნებოდა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენები თანხებით, ყველა სხვა ცვლადი მონაცემის უცვლელად შენარჩუნების საფუძველზე.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდობის მართვისთვის. სრული

შესაბამისობა საფინანსო დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ახორციელებს ლიკვიდობის მართვას ფონდებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერ დროს, რათა მოხდეს ვადადამდგარი ყველა სახის ფულადი ვალდებულების გათვალისწინება. ლიკვიდობის პოლიტიკას გადახედავენ და ამტკიცებენ აღმასრულებელი და სამეთვალყურეო საბჭოები.

ჯგუფი უზრუნველყოფს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსირების აქტიურ მხარდაჭერას სხვა ბანკებიდან და საფინანსო დაწესებულებებიდან მოკლე და გრძელ ვადიანი სესხების მიღების გზით, რასაც თან სდევს მაღალი ლიკვიდობის აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელები, იმისათვის, რომ მოხდეს სწრაფი და მეუფერხებელი რეაგირება ლიკვიდობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- მოსალოდნელი ფინანსური ნაკადის პროგნოზირებას ძირითადი ვალუტების შესაბამისად და ლიკვიდური აქტივების საჭირო დონის გათვალისწინებას მასთან ურთიერთობაში;
- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის შენარჩუნებასა და გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოქმედების გეგმის დაფინანსებას.

ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური დეპარტამენტი და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი. ბაზრის ნორმალურ პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდობის პოზიციის შესახებ კვირაში ერთხელ წარედგინება ხელმძღვანელობის რისკების მართვის კომიტეტს. ლიკვიდობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე, მათი შესაძლო ყველაზე ადრეული სახელშეკრულებო დაფარვის ვადების საფუძველზე. მთლიანი შემომავალი და გამავალი ნაკადები, რომლებიც ცხრილებშია მოცემული, წარმოადგენენ სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხა გასვლა	საბალანსო ღირებულება

ფინანსური ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	8,032	-	8,032	8,032
ნასესხები სახსრები	8,339	69,636	37,449	78,646	218,853	412,923	356,499
საიჯარო ვალდებულება	338	676	1,014	1,834	5,255	9,117	8,121
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	997	-	997	997
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,841	15	-	2,575	53	12,484	12,484
სულ ფინანსური ვალდებულებები	**18,518**	**70,327**	**38,463**	**92,084**	**224,161**	**443,553**	**386,133**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	მთლიანი თანხის გადიწერა	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	3	185	-	-	-	188	188
ნასესხები სახსრები	4,604	14,847	47,882	82,297	198,870	348,500	314,405
საიჯარო ვალდებულება	365	730	1,095	2,016	5,979	10,185	9,127
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	996	-	996	996
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,203	-	-	-	789	9,992	9,992
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,175**	**15,762**	**48,977**	**85,309**	**205,638**	**369,861**	**334,708**

გეოგრაფიული რისკი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი საქართველოშია განლაგებული და მისი ბიზნეს-გეგმები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობასა და სამართლებრივ ნორმაზე. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლების გამოვლენას. როგორც ასეთი, ჯგუფი ექვემდებარება ბიზნესის ან ქვეყნის სამართლებრივი გარემოს ნებისმიერ გაუარესების რისკს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა წასესხები სახსრები 228,008 ათასი ლარის, 102,725 ათასი ლარის და 25,766 ათასი ლარის ოდენობით ევროპაში, საქართველოსა და აშშ-ში დარეგისტრირებული კონტრაჰენტებისგან (შესაბამისად). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა წასესხები სახსრები 245,369 ათასი ლარის, 37,868 ათასი ლარის, 25,024 ათასი ლარის და 6,144 ათასი ლარის ოდენობით ევროპაში, საქართველოში, აშშ-სა და აზიაში დარეგისტრირებული კონტრაჰენტებისგან (შესაბამისად).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა მდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადაგადაც ილებული	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,812	-	-	-	-	-	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	55,600	35,109	130,643	157,477	2,334	7,632	388,795
წმინდა ინვესტიცია ოპარებში	13	37	810	7,841	80	1,060	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	1,942	1	50	1,564	14	81	3,652
სულ აქტივები	**85,367**	**35,147**	**131,503**	**166,882**	**2,428**	**8,773**	**430,100**
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,032	-	-	-	8,032
ნასესხები სახსრები	7,402	65,744	96,060	187,293	-	-	356,499
საოპარო ვალდებულება	284	579	2,490	4,565	203	-	8,121
გადასახდელი დივიდენდები	-	-	997	-	-	-	997
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,841	15	2,575	53	-	-	12,484
სულ ვალდებულებები	**17,527**	**66,338**	**110,154**	**191,911**	**203**	**-**	**386,133**
წმინდა პოზიცია	**67,840**	**(31,191)**	**21,349**	**(25,029)**	**2,225**	**8,773**	**43,967**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა მდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადაგადაც ილებული	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,127	-	-	-	-	-	19,127

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	103	-	-	-	-	-	103
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	74,334	30,991	106,088	128,124	2,676	5,728	347,941
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	3	58	229	4,474	-	898	5,662
სხვა ფინანსური აქტივები	1,559	-	-	497	-	-	2,056
სულ აქტივები	**95,126**	**31,049**	**106,317**	**133,095**	**2,676**	**6,626**	**374,889**
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	3	185	-	-	-	-	188
ნასესხები სახსრები	4,601	14,541	116,570	172,348	6,345	-	314,405
საიჯარო ვალდებულება	307	626	2,727	5,079	388	-	9,127
გადასახდელი დივიდენდები	-	-	996	-	-	-	996
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,203	-	-	789	-	-	9,992
სულ ვალდებულებები	**14,114**	**15,352**	**120,293**	**178,216**	**6,733**	**-**	**334,708**
წმინდა პოზიცია	**81,012**	**15,697**	**(13,976)**	**(45,121)**	**(4,057)**	**6,626**	**40,181**

27. შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა მიიღო შემდეგი დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ:

- 2023 წლის თებერვალში ჯგუფმა გამოუშვა 25,000 ათასი ლარის პირველი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაცია რეგიონში, აზიის განვითარების ბანკის („ADB“) ინვესტიციითა (75%) და საქართველოს ბანკის თანადაფინანსებით (25%).

- 2023 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა 5,000 ათასი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება „Incofin C.V.S.O“-სთან.

- 2023 წლის აპრილში ჯგუფმა გააფორმა 13,000 ათასი ლარის სასესხო ხელშეკრულება სს „ბაზის ბანკთან“, 10,000 ათასი ლარის სასესხო ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“ და 7,560 ათასი ლარის სასესხო ხელშეკრულება „EFSE S.A. SICAV-SIF“-თან.

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი	სტატუსი
